F-163
1960
ეროვნული ბიბლიოთეკა
f-2401
საქართ. ... ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 1960 წ.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

51. ზევადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად.
52. შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და დაცვის და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბების სამხედრო მოსამსახურეებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მოქმედების გავრცელების და სსრ კავშირის გაუქმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ზოგიერთი თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ.
53. საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.
54. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გაუმჯობესების ზომების შესახებ.
55. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 21 ივნისის № 643 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

56. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებისათვის დამატებითი პრემიების დაწესების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

57. ფასწარმოქმნის სამუშაოს გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
58. საქართველოს სსრ თევზჭერის კოლმეურნეობათა კოლექტივების წასახალისებლად რესპუბლიკური სოცშეჯიბრებისათვის კვარტალური პრემიების დაწესების შესახებ.
59. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობის დებულების დამტკიცების შესახებ.
60. სავაჭრო ქსელში საქონლის ცენტრალიზებული შეტანის შესახებ.
61. სამსახურებრივი შემთავსებლობის საკითხები.
62. გაქირავების პირობებში მიწოდებული მსუბუქი ავტომობილებით ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომსახურების შესახებ.
63. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
64. ქ. თბილისში კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ.
65. საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქებისა, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრებისათვის ახალი ფარგლების დადგენის შესახებ.
66. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
67. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ პირუტყვის დამზადების საორგანიზაციო-ზედნადები და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების ნორმების შესახებ.
68. იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.
69. სამეცნიერო-საკვლევო კრიმინალისტური ლაბორატორიის და ადვოკატთა კოლეგიის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისათვის გადაცემის შესახებ.
70. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
71. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
72. საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ.
73. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მეფუტკრეების შრომის [illegible] ანაზღაურების შესახებ.
75. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ.
76. სახვითი და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეალიზაციის მოწესრიგების ზომების შესახებ.
77. საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკთა დაჯილდოებისა და მათთვის ერთდროული დახმარების გასაწევად სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ.
78. საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.
79. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ.
80. მსუბუქი ტაქსმოტორებით სარგებლობის ტარიფების შეცვლის შესახებ.
81. „დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამატების თაობაზე.
82. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიუროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ.
83. საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
84. სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

## დადგენილებები

**51** ზევადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად.

შესასრულებლად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 8 ივნისის დადგენილებისა „ზევადიანი სამსახურის იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის ზომების შესახებ, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად", საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. გავრცელდეს ზევადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მე-4 მუხლის მოქმედება.

2. მიეცეთ ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ სამხედრო მოსამსახურეებს სესხი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის 7 ათასი მანეთის ოდენობით, რაც უნდა დაიფაროს 7 წლის განმავლობაში, დაწყებული სესხის გაცემის მეორე წლიდან.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1960 წლის 23 ივლისი, № 530

## 52 შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარებისა და დაცვის და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბების სამხედრო მოსამსახურეებზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილების მოქმედების გავრცელების და სსრ კავშირის გაუქმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატის ზოგიერთი თანამშრომლის საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 25 ივნისის დადგენილების შესასრულებლად, გავრცელდეს მოქმედება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 იანვრის № 74 დადგენილებისა „იმ სამხედრო მოსამსახურეთა შრომითი მოწყობისა და მატერიალურ-საყოფაცხოვრებო უზრუნველყოფის შესახებ, რომლებიც დათხოვნილი არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა ახალი მნიშვნელოვანი შემცირების კანონის შესაბამისად“, შინაგან საქმეთა სამინისტროების და ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბების ჯარებისა და დაცვის სამხედრო მოსამსახურეებზე, რომლებიც დათხოვნილი იქნებიან თადარიგში ან გადადგებიან სამსახურიდან ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბების და შინაგან საქმეთა სამინისტროების ჯარების რიცხვის შემცირებასთან დაკავშირებით, 1960 წლის განმავლობაში შესაბამისად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 დეკემბრის № 1432—638 დადგენილების და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 იანვრის № 44—16 დადგენილების შესაბამისად.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- |
| ვ. მჟავანაძე. | გ. ჯავახიშვილი. |

ქ. თბილისი, 1960 წლის 23 ივლისი, № 532

## 53 საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ

განიხილეს რა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობის შემოწმების მასალები, წარმოდგენილი საქართველოს პროფსაბჭოს მიერ, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებში რამდენადმე გაუმჯობესდა.

მაგრამ ბევრ საბჭოთა მეურნეობაში მუშა-მოსამსახურეებისათვის ჯერ კიდევ არ არის შექმნილი ნორმალური კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები. ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა საცხოვრებელი ფართობის მწვავე ნაკლებობას განიცდის. მოედნებზე საშენი მასალების უქონლობისა და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო, იფუშება საბინაო მშენებლობის გეგმა. კარდანახის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში რვაბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა 1950 წლიდან ჭიანურდება, ხოლო ვარიანის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობაში სამი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა კონსერვირებულია.

ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1960 წლისათვის სამტრესტის და საქკონსერვტრესტის არცერთ საბჭოთა მეურნეობაში არ დაუგეგმავს საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ობიექტების მშენებლობა; საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გეგმით გათვალისწინებული მშენებლობა 5.220 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობისა ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მოთხოვნილებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მათდამი დაქვემდებარებული ტრესტები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1959 წლის 24 აპრილის დადგენილებას „რესპუბლიკის მოსახლეობის საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ".

კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების არსებული ქსელი ვერ უზრუნველყოფს საბჭოთა მეურნეობების

მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას. ყველგან როდია მოწყობილი ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, საოჯახო საგნების შემკეთებელი სახელოსნოები. რესპუბლიკის 130 საბჭოთა მეურნეობიდან 59 საბჭოთა მეურნეობაში არ მოიპოვება აბანოები და საშხაპოები, მათ შორის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის 34 და სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის 25 საბჭოთა მეურნეობაში.

ჯერ კიდევ არ არის გადაწყვეტილი საბჭოთა მეურნეობების მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფის საკითხი. სახალხო მეურნეობის საბჭოს 12 საბჭოთა მეურნეობას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 29 საბჭოთა მეურნეობას არ გააჩნია წყალსადენი; ნაკლები ყურადღება ექცევა საბჭოთა მეურნეობებისა და დაბების ტერიტორიის კეთილმოწყობას.

სერიოზული ნაკლოვანებანი კვლავ ახასიათებს საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის საქმეს. რესპუბლიკის 30 საბჭოთა მეურნეობაში არ არის სასადილოები, მათ შორის სახალხო მეურნეობის საბჭოს 14 და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 16 საბჭოთა მეურნეობაში.

საბჭოთა მეურნეობების ყველა ხელმძღვანელი როდი გამოუყოფს საზოგადოებრივი კვების საწარმოებს სადგომებს სასადილოებისა და ბუფეტებისათვის, აგრეთვე სათბობს კერძების ღირებულების გაიაფების მიზნით.

ზოგიერთ სასადილოში ხშირად არ მოიპოვება ცხელი კერძები, ასორტიმენტი ერთფეროვანია, საჭმლის მომზადების ხარისხი დაბალია და სადილების ღირებულება მაღალი. ჯერ კიდევ საკმაოდ არ მარაგდებიან სასურსათო და სამრეწველო საქონლის მაღაზიები პროდუქტებით და პირველი მოთხოვნილების საქონლით.

საბჭოთა მეურნეობებში არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახების წევრთა სამედიცინო მომსახურება. მთელ რიგ საბჭოთა მეურნეობებს დღემდეც არ გააჩნიათ სამედიცინო პუნქტები და სხვა სამედიცინო დაწესებულებები. ადგილობრივი პროფკავშირული ორგანოების ცუდი მუშაობის გამო, საბჭოთა მეურნეობების უმეტესობაში სათანადო სიმაღლეზე არა დგას კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, კლუბებისა და წითელი კუთხეების სადგომები მოუვლელია, მათი შეკეთება არ წარმოებს, ზამთრის პერიოდში სადგომები არ თბება, ბევრ მათგანს არ მოეპოვება საჭირო ინვენტარი.

მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობების ცენტრალურ საკარმიდამო ნაკვეთებზე, ფერმებსა და განყოფილებებში სრულიად არ მოიპოვება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; რადიოფიცირებული არ არის მუშათა დაბები; იშვიათად წარმოებს კინოფილმების ჩვენება; ლექციები და მოხსენებები შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება; არ არის მოწყობილი წრეობრივი მუშაობა, სუსტად არის დაყენებული ფიზკულტურული მუშაობა.

საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საბავშვო დაწესებულებათა მოწყობას საბჭოთა მეურნეობებში. 54 საბჭოთა მეურნეობაში არ მოიპოვება საბავშვო ბაღები, აქედან სოფლის მეურნეობის სამინისტროს 30 და სახალხო მეურნეობის საბჭოს 24 საბჭოთა მეურნეობაში, აგრეთვე საბავშვო ბაგები არ არის რესპუბლიკის 75 საბჭოთა მეურნეობაში.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მათდამი დაქვემდებარებული ტრესტები არ იღებდნენ საკმაო ზომებს საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კპ საოლქო და რაიონული კომიტეტები, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭო, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები, პროფკავშირთა საბჭოები და პროფკავშირთა დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტები სუსტად მუშაობდნენ საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე და საკმაოდ არ ეხმაურებოდნენ ამ საქმეში არსებულ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს, პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას მიიღონ გადამწყვეტი ზომები რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო

მომსახურების გაუმჯობესებისათვის იმ ანგარიშით, რომ უახლოეს წლებში უზრუნველყოფილ იქნას საბჭოთა მეურნეობების მოსახლეობა ყველგან კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური საწარმოების საჭირო ქსელით.

2. მიღებულ იქნას ცნობად:

ა) საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. შ. ჭანუყვაძის განცხადება, რომ მიმდინარე წელს საბჭოთა მეურნეობებში დამთავრდება მშენებლობა და საექსპლუატაციოდ გადაეცემა 5,22 ათასი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სასადილოების 15 შენობა 750 დასაჯდომი ადგილით, აბანოების 7 შენობა, 6 პურის საცხობი და საყოფაცხოვრებო მომსახურების 2 კომბინატი და რომ სამინისტროს მიერ დასახულია ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საცხოვრებელი სახლებისა და საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობას საბჭოთა მეურნეობებში 1961 — 1962 წლებში;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ჩოგოვაძის განცხადება, რომ მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის საბჭოს საბჭოთა მეურნეობებში საექსპლუატაციოდ გადაეცემა 3.090 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აბანოს ერთი შენობა და ერთ საბჭოთა მეურნეობაში დამთავრდება წყალსადენის მშენებლობა, ამასთან მის მიერ დასახულია ღონისძიებანი, რომელთა მიხედვით საბჭოთა მეურნეობებში განხორციელდება საცხოვრებელი და კულტურულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობა 1961—1962 წლებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ კაპიტალდაბანდებების გარდა, რომლებიც სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გამოიყოფა, დიდი ოდენობით გამოიყენონ საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტების მშენებლობისათვის სახსრები დირექტორის ფონდიდან, მეურნეობათა გაფართოების ფონდიდან და სხვა წყაროებიდან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს გაითვალისწინოს ყოველწლიური გეგმებით საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილება მშენებლობაზე.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დასახონ და უახლოეს ორი-

სამი წლის განმავლობაში განახორციელონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების, მუშათა დაბების ტერიტორიების და მისასვლელი გზების კეთილმოწყობისათვის, მიმდინარე წელს მოიყვანონ წესრიგზე კულტურულ-საყოფაცხოვრებო, კომუნალური და საბავშვო დაწესებულებანი, შესაბამისად გააწყონ ისინი საჭირო მაგარი და რბილი ინვენტარით.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას 1960 წლის დამლევამდე მოაწყონ რესპუბლიკის ყველა საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივი კვების საწარმოები და გამოყონ ამ მიზნისათვის საჭირო სადგომები, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებრივი კვების საქმის გაუმჯობესებას საბჭოთა მეურნეობებში, მეტი ყურადღება მიაქციონ ახალი დამხმარე მეურნეობების მოწყობას და მოქმედი ასეთი მეურნეობების გაფართოებას.

გააფართოონ საბჭოთა მეურნეობების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოთა ქსელი იმ ანგარიშით, რომ თვითეულ საბჭოთა მეურნეობას ექნეს აბანოები ან საშხაპოები, ფეხსაცმლის, ტანსაცმლის, კულტურული და საოჯახო საგნების შემკეთებელი სახელოსნოები.

7. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს 1961 წელს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ცეკავშირს მათი განაცხადებით მოწყობილობა და დამხმარე მასალები საბჭოთა მეურნეობების მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებისათვის.

8. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიიღოს ზომები, რათა ძირეულად გაუმჯობესდეს რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში მუშა-მოსამსახურეთა და მათი ოჯახის წევრთა სამედიცინო მომსახურება; შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

9. იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს კულტურულ-მასობრივი მუშაობა და საბჭოთა მეურნეობების ყველა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებისადმი ხელმძღვანელობა თავმოყრილ იქნეს პროფკავშირულ ორგანიზაციებში, გადაეცეს 1961 წლის 1 იანვრიდან საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კლუბები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები და კინოდანადგარები, რომლებიც

საბჭოთა მეურნეობების დაბებში მდებარეობენ, მთელი მოწყობი-ლობითა და ინვენტარით, პროფკავშირთა შესაბამისი დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების გამგებლობაში.

10. დაევალოთ საქართველოს პროფსაბჭოს და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს დასახონ ღონისძიებანი საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა შორის კულტურულ-მასობრივი და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. მუშაობის გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაგზავნონ საბჭოთა მეურნეობებში კლუბებისა და ბიბლიოთეკების გამოცდილი მუშაკები, მხატვრული თვითმოქმედების წრეების ხელმძღვანელები, ლექტორები, პერიოდულად მოაწყონ სემინარები სოფლის კულტმუშაკებისათვის.

11. დაევალოთ საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს და ცეკავშირის გამგეობას გააფართოონ წიგნის მაღაზიებისა და კიოსკების ქსელი საბჭოთა მეურნეობებში, უზრუნველყონ ისინი გაზეთებით, ჟურნალებით, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურით.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უახლოესი 2 წლის განმავლობაში დაამთავრონ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების სრული რადიოფიკაცია, ხოლო საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ შეასრულოს აღნიშნულ ვადებში სამუშაოები საბჭოთა მეურნეობებთან დადებული ხელშეკრულებების მიხედვით.

13. დაევალოთ სოფლის მეურნეობის და დამზადებათა მუშა-მოსამსახურეების, კვების მრეწველობის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებს შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, მიმართული რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების ძირეულად გაუმჯობესებისაკენ და სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად მიაღწიონ ამ დადგენილების შესრულებას.

14. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს უფრო კონკრეტულად იმუშაონ რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობების-მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხებზე. სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობას და მიიღონ გადაუდებელი ზომები ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისათვის.

15. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილებას და საქართველოს სსრ პროფკავშირთა საბჭოს.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| --- | --- |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1960 წლის 23 ივლისი № 539

## 54 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებმა სახალხო მეურნეობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარების შესახებ გამომგონებელთა, რაციონალიზატორთა და წარმოების ნოვატორთა შემოქმედებითი აქტივობის ახალი აღმავლობა გამოიწვია. ეს ბრწყინვალე გამოხატულებას პოულობს იმ წინადადებათა რაოდენობის განუწყვეტლივ გადიდებაში, რომლებიც მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკებისაგან შემოდის და რომელთა დანერგვა ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის შემდგომ ტექნიკურ პროგრესს.

1959 წელს საქართველოს სს რესპუბლიკაში წინადადებების წარმომდგენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი შეადგენდა 9492 კაცს, ე. ი. 13 პროცენტით მეტს, ვიდრე 1958 წელს, ხოლო მათგან შემოსულ წინადადებათა რაოდენობა 25,5 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად გადიდდა დასანერგავად მიღებულ წინადადებათა რაოდენობა. თუ 1959 წლის პირველ კვარტალში მიღებული იყო 4058 წინადადება, 1960 წლის ამავე პერიოდში მათი რიცხვი გაიზარდა 5326-მდე, ანუ 31 პროცენტით.

მაგრამ რესპუბლიკაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა გამოყენების საქმის მდგომარეობა კვლავ არადამაკმაყოფილებელია.

1957—1959 წლების პერიოდში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის მიერ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასანერგავად, რეკომენდებული იყო 141 გამოგონება, ფაქტიურად კი დაინერგა წარმოებაში ამავე პერიოდში მხოლოდ 25 წინადადება. რესპუბლიკაში მიღებული 33825 რაციონალიზატორული წინადადებიდან 1960 წლის დამდეგისათვის სახალხო მეურნეობაში დაუნერგავი დარჩა 7643 წინადადება.

სისტემატურად ვერ იყენებენ იმ სახსრებს, რომლებიც გამოყოფილია რესპუბლიკაში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისა და სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვისათვის. 1957—1959 წლების პერიოდში გამოყოფილი იყო 21961 ათასი მანეთი, ხოლო დახარჯულია 14554 ათასი მანეთი.

სამინისტროების, უწყებების, სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოების, ტრესტებისა და საწარმოების ზოგიერთი ხელმძღვანელი არ ითვალისწინებს გეგმებით გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა რეალიზაციასთან დაკავშირებული აუცილებელი სამუშაოების შესრულებას. მაგალითად, 1958 — 1959 წლებში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტმა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ურჩია დაენერგა 133 გამოგონება, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო 87 წინადადება, ხოლო დანერგა მარტო 22 წინადადება.

19493 ათას მანეთიდან, რაც საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს გამოეყო, 1957—1959 წლებში გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის, გამოყენებულია 13088 ათასი მანეთი, ანუ 68 პროცენტი.

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროში დღემდეც არ არის მოწყობილი გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განყოფილებები (ბიუროები), შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 15 დეკემბრის № 956 დადგენილებისა „გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ორგანოების შესახებ“, არა ჩანს სათანადო აღრიცხვა და ანგარიშგება რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხებზე.

ასეთი მდგომარეობაა წყალთა მეურნეობის, სოფლის მეურნეობის და სხვა სამინისტროებშიც.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 1959 წელს გაღებული 429000 მანეთიდან დახარჯულია მხოლოდ 45000 მანეთი. აღნიშნული სამინისტრო აჭიანურებს შემოსულ წინადადებათა განხილვას და მათ მომზადებას დასანერგავად.

მშენებლობის სამინისტრომ 257 ათასი მანეთიდან დახარჯა 169 ათასი მანეთი, რის გამო მიღებულ წინადადებათა რაოდენობა, განსახორციელებლად მიღებულ· წინადადებებთან შედარებით, შეადგენს 80 პროცენტამდე.

პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანიზაციები არ იღებენ სათანადო ზომებს იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რასაც ადგილი აქვს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ხაზით მუშაობაში.

სახალხო მეურნეობაში გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვის საქმის გაუმჯობესების მიზნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 მაისის № 531 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს შეიტანონ გამოგონებათა გამოყენება, მათი მნიშვნელობის მიხედვით, შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების უწყებების, საწარმოების მშენებლობებისა და ორგანიზაციების გეგმების ახალი ტექნიკის განაყოფებში; დააწესონ დანერგვის კონკრეტული ვადები და გაითვალისწინონ საჭირო ფულადი და მატერიალური სახსრები სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოების შესასრულებლად, საცდელი ნიმუშების დასამზადებლად.

რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა შეიტანონ ახალი ტექნიკის გეგმებში ან ქარხნების, ფაბრიკების, შახტების, მაღაროების, სამშენებლო-სამონტაჟო და სხვა ორგანიზაციათა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების გეგმებში, ხოლო ისეთ რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვა, რომლებსაც სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვთ—სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებისა და უწყებების გეგმებში, ამასთან გაითვალისწი-

ბიბლიოთეკა

ნონ ამ მიზნებისათვის საჭირო ფულადი და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებანი.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს უზრუნველყოს მიღებულ გამოგონებათა დროულად შერჩევა და საჭირო წინადადებათა მომზადება, რათა შეტანილ იქნას ისინი, მნიშვნელობის მიხედვით, შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების ახალი ტექნიკის გეგმებსა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების გეგმებში.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს მიიღონ კონკრეტული ზომები, რათა დაინერგოს მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამოგონებებისა და აღმოჩენების საქმეთა კომიტეტის მიერ რეკომენდებული წინადადებანი, აგრეთვე მიღებული რაციონალიზატორული წინადადებანი, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ უკვე მიმდინარე წელს იქნას რეალიზებული იმ გამოგონებათა და წინადადებათა მაქსიმალური რაოდენობა, რომლებიც უწინარეს ყოვლისა იძლევიან მნიშვნელოვან ეკონომიურ ეფექტს სახალხო მეურნეობისათვის.

4. უფლება მიენიჭოთ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ხარჯონ იმ სპეციალისტთა შრომის ასანაზღაურებლად, რომლებიც მათ შტატში იმყოფებიან და გამოყენებული არიან არასამუშაო დროს ან ძირითადი სამუშაოსაგან განთავისუფლებით გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ექსპერტიზასა და მათ დანერგვაში მონაწილეობისათვის, იმ სახსრების 20 პროცენტამდე, რაც განკუთვნილია გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის საწარმოებისა და ორგანიზაციების ხარჯთაღრიცხვებით, აგრეთვე საბიუჯეტო ასიგნობათა ხარჯზე, ხელფასის ფონდის ფარგლებში.

5. საქართველოს პროფსაბჭომ და მისმა ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანოებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, მშენებლობებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად რეგულარულად განიხილონ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანერგვის დავალების შესრულების შედეგები და მიიღონ საჭირო ზომები აღმოჩენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

6. დაევალოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა სრულიად საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკურ საბჭოს გააძლიეროს საზოგადოებრივი კონტროლი იმისადმი, რომ დროზე იქნას განხილული და წარმოებაში დანერგილი მიღებული გამოგონებანი და რაციონალიზატორული წინადადებანი და მოაწყოს სახალხო მეურნეობაში მათი ფართოდ გამოყენების პროპაგანდა.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ყურადღებას მიაქცევენ იმას, რომ საჭიროა შეიქმნას პირობები გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის შემდგომი განვითარებისათვის სოფლის მეურნეობაში და რჩევას აძლევენ კოლმეურნეობათა გამგეობებს გაითვალისწინონ საწარმოო-საფინანსო გეგმებით გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის საჭირო სახსრები, გამოყონ სპეციალისტები, რომლებიც დახმარებას გაუწევენ გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს წინადადებათა შემუშავებისა და მათი ექსპერიმენტული შემოწმების საქმეში.

8. დაევალოთ საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს:

ა) სასტიკი პარტიული კონტროლი გაუწიონ გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებების გამოყენებას საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ, ჩააბან ამ საქმეში პირველადი პარტორგანიზაციების კომისიები და თვალყური ადევნონ ახალი ტექნიკის დანერგვის გეგმების შესრულებას;

ბ) განიხილონ საკითხი, თუ როგორ სრულდება სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და ექსპერიმენტული სამუშაოები და მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვის გეგმები, გააძლიერონ მომთხოვნელობა იმ მუშაკებისადმი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ საქმისათვის; დროზე მიიღონ საჭირო ზომები, რათა აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი, რომლებიც აფერხებენ მიღებულ გამოგონებათა და რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას სახალხო მეურნე-

ობაში და ის ნაკლოვანებანი, რომლებიც გამომგონებლებთან და რაციონალიზატორებთან მუშაობას ახასიათებს.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
**ა. კოჩანოვი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 15 აგვისტო, № 589

**55 სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 21 ივნისის № 643 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.**

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 21 ივნისის № 643 დადგენილებისა „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ახალ წესთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ჩაითვალოს ძალადაკარგულად:

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 9 აპრილის № 604 დადგენილება „შავი ლითონების ნამტვრევის შეგროვებისა, გადამუშავებისა და გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების ღონისძიებათა შესახებ“ (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1940 წ. № 7, მუხ. 26-ე).

2. „ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა თაობაზე“ სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 9 იანვრის დადგენილების რეალიზაციის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 1 მარტის № 290 დადგენილების კა-

ეროვნული

რის — „ფართო მოხმარების საამქროებისა და ნარჩენების გამოყენების ხაზით“ მე-6 მუხლი (საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული, 1941 წ. № 10, მუხ. 52-ე).

3. „1946 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმის შესახებ“ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 27 მარტის № 263 დადგენილების მეორე კარის პირველი მუხლის ქვემუხლები „ბ“ და „გ“.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ<br>ცენტრალური კომიტეტის მდივანი<br>**ვ. მჟავანაძე.** | საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის<br>მოადგილე **მ. კუჭავა.** |

ქ. თბილისი, 1960 წლის 3 სექტემბერი, № 641.

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს დადგენილება

**56** საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებისათვის დამატებითი პრემიების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტომეურნეობათა რაოდენობის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

დაწესდეს დამატებით საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების იმ კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებმაც სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს,—თითო-თითო მეორე და თითო მესამე ფულადი პრემია.

| | |
|---|---|
| საქართველოს სსრ<br>მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის<br>მოადგილე **მ. კუჭავა.** | საქართველოს პროფსაბჭოს<br>თავმჯდომარე<br>**მ. ლელაშვილი.** |

ქ. თბილისი, 1960 წლის 29 აგვისტო № 599

ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

## 57 ფასწარმოქმნის სამუშაოს გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ფასწარმოქმნის მუშაობაში, მიუხედავად მისი რამდენადმე გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია, ვაჭრობის სამინისტრო, სახალხო მეურნეობის საბჭო, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო ჯერ კიდევ არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას ფასწარმოქმნის საკითხებს, არასაკმაო კონტროლს უწევენ საქვეუწყებო საწარმოებს, რაც იწვევს მნიშვნელოვან დარღვევებს.

საცალო ფასების დამტკიცება მთელ რიგ შემთხვევაში ყოვნდება, და ეს აფერხებს სავაჭრო ქსელში საქონლის შეტანას; საცალო ფასები განსხვავდება ზოგჯერ საქართველოს სს რესპუბლიკაში დამზადებული და სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ ერთნაირი ხარისხის საქონელს შორის. სახალხო მოხმარების ზოგიერთ საქონელზე დაწესებულია მეტისმეტად მაღალი საცალო ფასები; არის სახელმწიფო ფასების დარღვევის ფაქტები, ხშირად მაღაზიები საქონელს იღებენ არასწორი ნიშანდებით ან სავსებით უმისოდ; არასაკმაოდ დაკომპლექტებულია ფასების შტატი სახალხო მეურნეობის საბჭოში და რესპუბლიკურ ორგანიზაციებში; აღინიშნება ნაკლოვანებანი ფასწარმოქმნის ეკონომიურ მუშაობაში; დროებითი ფასების გადასინჯვა ხდება დიდი დაგვიანებით.

ფასწარმოქმნის სამუშაოთა შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს ერთი თვის ვადაში მოისმინონ საბჭოს, კოლეგიებისა და მინისტრთა საბჭოებისა და აღმასკომების სხდომებზე ფასწარმოქმნის დარგში მუშაობის მიმდინარეობის საკითხი და დასახონ მისი მკვეთრი გაუმჯობესების ღონისძიებანი, პერიოდულად მოისმინონ ფასების წარმოქმნის დარგში

შესრულებულ სამუშაოთა მდგომარეობის საკითხი მისი ეკონომიკური დონის ამაღლების მიზნით.

მიღებულ ღონისძიებათა შესახებ წარმოუდგინონ მოხსენება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 20 ივლისისათვის.

2. ფასწარმოქმნის აპარატის განმტკიცების მიზნით, წინადადება მიეცეთ:

ა) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს—სახალხო მეურნეობის საბჭოს აპარატის შტატებისა და ხელფასის ფონდის ანგარიშზე მოაწყოს ფასების განყოფილება დადგენილი წესით, ხოლო მანქანათმშენებლობის, საფეიქრო, ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამმართველოების საგეგმო განყოფილებებში სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოების აპარატისათვის 1960 წლის შტატებისა და ხელფასის ფონდების ფარგლებში დააწესოს ფასების დარგის უფროსი ეკონომისტის თანამდებობა;

ბ) საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს—საგეგმო-საფინანსო სამმართველოს შემადგენლობაში შექმნას ფასწარმოქმნის ჯგუფი ორი ერთეულის შემადგენლობით ამ სამინისტროს ცენტრალური აპარატის 1960 წლისათვის დამტკიცებული შტატებისა და ხელფასის ფონდების ხარჯზე;

გ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს — გაადიდოს ფასების განყოფილების შტატი 2 ერთეულით სამინისტროს შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

F-2401

3. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა სახელმწიფო საგეგმო კომისიებისა და ვაჭრობის სამინისტროების შტატებში შეიყვანოს ფასების დარგის თითო უფროსი ეკონომისტის თანამდებობა ამ რესპუბლიკების სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის შტატებისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) მოამზადოს წინადადებანი 1960 წლის 1 ივლისიდან დიდად რენტაბელური პროდუქციის, პირველ რიგში საშენი მასალების (აგურის, კირის, თაბაშირის, თეძამის ტუფის და სხვ.) საბითუმო ფასების გადასინჯვის შესახებ; განახორციელოს ღონისძიებანი წამგებიანი სახეობის პროდუქციის (მეტლახის ფილების, ღორღის, სილის, ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობანი, მერქნის ფილების და სხვ.) მაღალი თვითღირებულების მკვეთრი შემცირებისათვის ისე, რომ უახლოეს დროში მიღწეულ იქნეს წარმოების უზარალობა;

ბ) მოამზადოს წინადადებანი 1961 წლის 1 ივლისიდან პროდუქციის მუდმივი საბითუმო ფასების დამტკიცების შესახებ, რომელთა დროებითი ფასების მოქმედების ვადა მთავრდება და სასტიკი კონტროლი დააწესოს შემდგომ ამ ვადების დაცვისადმი;

გ) მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე გადასინჯოს იმ ნაკეთობათა და დეტალების ფასები, რომლებიც უნდა მიწოდებულ იქნეს კოოპერაციული წესით. ეს სამუშაო შესრულდეს იმ ანგარიშით, რომ აღმოიფხვრას როგორც მეტისმეტად დიდი მომგებიანობა, ისე წამგებიანობა;

დ) გააძლიეროს ეკონომიური მუშაობა ფასწარმოქმნის დარგში პროდუქციის ფასების დონისა და თვითღირებულების სისტემატური ანალიზის გზით, გამოავლინოს ფასების არასწორი თანაფარდობის, რენტაბელობის გადიდების ან გაუმართლებელი წამგებიანობის ფაქტები და დროულად მიიღოს ზომები ეკონომიურად დაუსაბუთებელი ფასების გადასასინჯად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს მოამზადოს წინადადებანი 1961 წლის 1 ივლისიდან საშენი მასალების, ლითონდამმუშავებელი მრეწველობის ნაკეთობათა და კულტსაქონლის საბითუმო ფასების გადასასინჯად, ამასთან მხედველობაში მიიღოს მეტისმეტად დიდი რენტაბელობის ლიკვიდაცია.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ა) განახორციელოს ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში წარმოებულ და სხვა რესპუბლიკებიდან შემოტანილ საქონელთა საცალო ფასების გასათანაბრებლად;

ბ) გაძლიერდეს სახელმწიფო ვაჭრობის ინსპექციისა და შესაბამისი სამრეწველო ვაჭრობის სამმართველოთა კონტროლი სახელმწიფო საცალო ფასების დაცვისადმი; ფასების დამრღვევნი მისცენ პასუხისგებაში.

7. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა მიიღონ ზომები საქონელთა ნიშანდების გაუმჯობესებისათვის და არ დაუშვან სავაჭრო ორგანიზაციებზე ნიშანდაუდებელი ან ცუდად ნიშანდებული და ფასების აღუნიშნავად საქონლის გადაცემა.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ გააძლიეროს ნიშანდებისადმი მოთხოვნა და არ დაუშვას არასწორად ნიშანდებული საქონლის გაყიდვა.

8. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ უზრუნველყონ საკმარისი რაოდენობის ტექნიკური პირობებისა და ფასების პრეისკურანტების დაბეჭდვა, ხოლო საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ გამოყოს სახსრები ამ მიზნით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 1 ივლისი № 454

## 58 საქართველოს სსრ თევზჭერის კოლმეურნეობათა კოლექტივების წასახალისებლად რესპუბლიკური სოცშეჯიბრებისათვის კვარტალური პრემიების დაწესების შესახებ

რესპუბლიკის თევზჭერის კოლმეურნეობებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლისათვის ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს დააწესოს ორი კვარტალური პრემია: პირველი—8.000 მანეთის და მეორე—6.000 მანეთის ოდენობით, რაც მიენიჭებათ თვითეული კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საუკეთესო თევზჭერის კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს.

2. დაწესდეს, რომ თევზჭერის კოლმეურნეობებსა და ბრიგადებს პრემიები მიეცემათ, უკეთუ დაცულია სოციალისტური შეჯიბრების შემდეგი პირობები:

ა) სახელმწიფოსათვის ნატურითა და ფასობრივი გამოხატულებით თევზის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულება ისე, რომ აუცილებლად იქნას დაცული გეგმური ხარისხიანობა,

ბ) თითო მებადურზე თევზის ჭერის გეგმის გადაჭარბებით შესრულება,

გ) მებადურთა გასვლა თევზის საჭერად გეგმური ოდენობით მაინც.

3. თევზჭერის კოლმეურნეობებს პრემიები მიეცემათ საქართვე-ლოს თევზჭერის კოლმეურნეობათა რეგულირების ფონდის ხარჯზე იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნას დაჯილდოების წესები, რაც გათვალისწინებულია სოციალისტური შეჯიბრების საერთო პირობებით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 11 აპრილის № 232 დადგენილებით.

4. პრემიების მინიჭებას ეწევა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 ივლისი № 461

## 59 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანავაჭრობის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავმანქანავაჭრობის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 8 ივლისი № 472

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 8 ივლისის № 472
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობა, რომელიც შექმნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 აპრილის № 222 დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 16 მარტის 296 დადგენილების შესაბამისად, წარმოადგენს რესპუბლიკური მნიშვნელობის ორგანიზაციას და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავმანქანვაჭრობას ეკისრება:

ა) განახორციელოს ავტომობილების, ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მიწისსათხრელი, საგზაო და სამშენებლო მანქანების, მოწყობილობის, სასუქების, ქიმიკატების, რეზინატექნიკური ნაწარმის და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლის გაყიდვა სოფლის მეურნეობისათვის, აგრეთვე აწარმოოს ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების ვაჭრობა მთელი სახალხო მეურნეობისათვის;

ბ) მიაწოდოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს მათთვის გამოყოფილი ფონდებით ავტომობილები, ტრაქტორები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, სათადარიგო ნაწილები, კვანძები და აგრეგატები იმ მანქანებისა და მოწყობილობის დასაკომპლექტებლად, რომლებიც მზადდება რესპუბლიკის საწარმოებში, და შიგადარგობრივი კოოპერაციის საჭიროებისათვის;

გ) განახორციელოს შავი და ფერადი ლითონების, ლაქ-საღებავი პროდუქციის და სამანქანო-სატრაქტორო პარკის რემონტისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო მასალების მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის;

დ) მიყიდოს საბჭოთა მეურნეობებს და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებს შავი და ფერადი

ლითონები, სატყეო და საშენი მასალები სარემონტო-საექსპლუატა-ციო საჭიროებისა და მშენებლობისათვის, აგრეთვე მაგარი [illegible] ბრეზენტი, საფუთავი ქსოვილები, ტომრები და სპეცტანსაცმელი.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავმან-ქანვაჭრობას მასზე დაკისრებული ამოცანების შესრულების მიზნით:

ა) აქვს ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში კანტორები, ხოლო რაიონებში — სარაიონთაშორისო განყოფილებები, რომლე-ბიც მოქმედებენ მათ შესახებ დამტკიცებული დებულებების შესა-ბამისად;

ბ) აქვს ცენტრალური ბაზა საწარმოო სააქროებით, რათა მოა-მარაგოს თავისი კანტორები ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქ-ში, აგრეთვე სარაიონთაშორისო განყოფილებები რაიონებში საწარ-მოო დანიშნულების საქონლით;

გ) აქვს მანქანებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონ-ლის გასაყიდი საწყობები და მაღაზიები, აგრეთვე ავტომობილებისა და ტრაქტორების სათადარიგო ნაწილების გასაყიდი სპეციალური მაღაზიები;

დ) გამოავლენს და შეისწავლის კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორ-განიზაციების მოთხოვნილებას საწარმოო დანიშნულების საქო-ნელზე;

ე) მოაწყობს ცნობების მიღებას რესპუბლიკის სახალხო მეურ-ნეობის საბჭოსა და მომმარაგებელი ორგანიზაციებისაგან საწარმოო დანიშნულების იმ ზედმეტი საქონლის შესახებ, რომელიც შეიძლე-ბა გადაეცეს მთავმანქანვაჭრობას კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის მისაყიდად;

ვ) გამოავლენს ავტომობილების, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილების, კვანძების, აგრეგა-ტების და ავტოსატრაქტორო ელექტრომოწყობილობის მოთხოვ-ნილებას მთლიანად რესპუბლიკაში და აღნიშნულ საქონელზე წა-რუდგენს განაცხადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელ-მწიფო საგეგმო კომისიას;

ზ) უზრუნველყოფს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად ამ დებულების მე-3 მუხ-ლის „ვ" ქვეპუნქტში აღნიშნული სათადარიგო ნაწილების, კვანძე-ბის, აგრეგატებისა და ელექტრომოწყობილობის წარმოების განაწი-

ლებას გეგმით დაწესებული ნომენკლატურისა და მოცულობის მი-ხედვით;

თ) გამოსცემს პლაკატებს, პროსპექტებს, ბიულეტენებს, საცნობარო და სხვა საინფორმაციო და სარეკლამო მასალებს ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა და საწარმოო დანიშნულების სხვა საქონლისათვის.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობა:

ა) განახორციელებს ხელმძღვანელობას კანტორების, სარაიონთაშორისო განყოფილებების მუშაობისა და მთავმანქანვაჭრობის მთელი სისტემისადმი და უშუალოდ განაგებს თავისი სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებს, მთავრობის მიერ მთლიანად მთავმანქანვაჭრობისათვის დამტკიცებული გეგმის საფუძველზე, შეადგენს მთავმანქანვაჭრობის შეჯამებით საფინანსო გეგმას, შეადგენს და დაამტკიცებს კანტორებისა და სარაიონთაშორისო განყოფილებებისათვის საქონელბრუნვის, კაპიტალდაბანდებების გეგმებს, შრომის, ბრუნვის ხარჯების და სამეურნეო საქმიანობის სხვა მაჩვენებლების გეგმებს და განახორციელებს მშენებლობას;

ბ) დაამტკიცებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ხარჯთაღრიცხვებს და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს მთავმანქანვაჭრობისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით, აგრეთვე დაამტკიცებს მუშათა და სხვა მუშაკთა რაოდენობას შრომის გეგმის ფარგლებში;

გ) აწარმოებს საჭიროების შემთხვევაში საქონლის გადანაწილებას კანტორებსა და განყოფილებებს შორის მთავმანქანვაჭრობისათვის გამოყოფილი ფონდების ფარგლებში;

დ) აწარმოებს ზედმეტი საბრუნავი სახსრების გადანაწილებას საანგარიშო ბალანსების საფუძველზე;

ე) განიხილავს და დაამტკიცებს კანტორების, სარაიონთაშორისო განყოფილებების და ცენტრალური ბაზის ბალანსებსა და ანგარიშებს და შეადგენს მთავმანქანვაჭრობისათვის შეჯამებით ანგარიშს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ;

ვ) განახორციელებს მთავმანქანვაჭრობის ნომენკლატურის კადრების შერჩევასა და განაწილებას, მოაწყობს თავისი სისტემის კადრების მომზადებასა და გადამზადებას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობა:

ა) განახორციელებს თავის საქმიანობას სრული სამეურნეო ანგარიშის საფუძველზე და მისი შენახვა იწარმოებს დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა საერთო საქონელბრუნვის ანარიცხების ხარჯზე;

ბ) გადაანაწილებს სახსრებს თავისი სისტემის ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის მთლიანად მთავმანქანვაჭრობისათვის დამტკიცებული საფინანსო გეგმის ფარგლებში, შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს როგორც სამეურნეო ანგარიშის, ისე მომჭირნეობის რეჟიმის დანერგვისა და განმტკიცებისათვის.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობა ათანხმებს თავის მუშაობას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ „სოიუზსელმაშთან“ და იღებს მისგან საქონელს სარესპუბლიკათაშორისო მიწოდების წესით.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობას სათავეში უდგას უფროსი; მთავმანქანვაჭრობის უფროსს და მის მოადგილეებს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მთავმანქანვაჭრობის, მისი კანტორების, სარაიონთაშორისო განყოფილებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობას;

ბ) მთავმანქანვაჭრობის კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების საფუძველზე. მათ შესასრულებლად და მოაწყობს ამ კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, აგრეთვე მათი შესრულების შემოწმებას;

გ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავმანქანვაჭრობის ცენტრალური აპარატის მუშაკებს და მთავმანქანვაჭრობისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული კანტორების, სარაიონთაშორისო განყოფილებების და სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებს;

დ) გასცემს მთავმანქანვაჭრობის სახელით მინდობილობებს, ხელს მოაწერს ფულად დოკუმენტებს, გამოვა წარმომადგენლად ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში, სასამართლო და არბიტრაჟის ორგანოებში, დადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობის სახელით სამეურნეო ხელშეკრულებებს.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავმანქანვაჭრობის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავმანქანვაჭრობას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და მისი სახელწოდება.

## 60 სავაჭრო ქსელში საქონლის ცენტრალიზებული შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს მოაწყონ 1960 წლის 1 აგვისტოდან ქ. თბილისში, სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში საქონლის ცენტრალიზებული შეტანა ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ამ ქალაქებში არსებული სამრეწველო საწარმოებიდან და უკანასკნელთა მატერიალური პასუხისმგებლობით, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ აღნიშნული საქონლის გაცემისა და სავაჭრო ქსელში მისი მიტანისათვის მიმწოდებელი სამრეწველო საწარმოები და პურეული პროდუქტების მთავარი სამმართველოს ბაზები ანგარიშს გაუსწორებენ უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო სავაჭრო ბაზების გვერდის ავლით.

3. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალოს სამრეწველო საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ საქონლის ცენტრალიზებულ შეტანას, გამოიტანონ უკან დაბრუნების დროს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელიდან დასაბრუნებელი ტარა, საინვენტარო ტარისა და შუშის ჭურჭლის ჩათვლით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ტარის შეგროვება დაკისრებული აქვს სპეციალურ ტარისშემგროვებელ ორგანიზაციებს.

4. საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ, სახალხო მეურნეობის საბჭომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პურეული პროდუქტების მთავარმა სამმართველომ და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, მოქმედი ერთიანი ტარიფების საფუძველზე, დააწესონ და შემოიღონ 1960 წლის 1 აგვისტოდან საქონლის ცენტრალიზებული შემოზიდვის საშუალო ტარიფები 1 მუხლში აღნიშნული თვითეული ქალაქისათვის ტვირთის სახეობათა მიხედვით, შეტანილი ტვირთის ერთ ტონაზე გაანგარიშებით ან განზომილების სხვა ერთეულების მიხედვით საშუალო მანძილზე.

5. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანოს ამ დადგენილების მე-2 მუხლიდან გამომდინარე ცვლილებები საბითუმო სავაჭრო ბაზებისა და შესაბამისი სამრეწველო საწარმოების საფინანსო გეგმებში.

6. საქონლის ცენტრალიზებული შემოზიდვის განსახორციელებლად გაუდიდდეს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს 1960 წლის 1 აგვისტოდან მუშაკთა რაოდენობა 121 კაცით 60,0 ათასი მან. ხელფასის თვიური ფონდით და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს 8 კაცით—3,4 ათასი მან. ხელფასის თვიური ფონდით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შეიტანოს შესაბამისი ცვლილებანი 1960 წლის შრომის გეგმაში მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის იმ გაუნაწილებელი რეზერვის ხარჯზე, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1960 წლის გეგმით;

7. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს 1960 წლის ივლისის დამლევამდე მოაწყოს სასურსათო საქონლის ცენტრალიზებული შეტანა სანატორიუმებსა და დასასვენებელ სახლებში ყველგან, სადაც კურორტვაჭრობის კანტორები მოიპოვება.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ზ. ა. კვაჭაძეს თვალყური ადევნოს ამ დადგენილების შესრულებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟორჟაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 ივლისი № 488

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 11 ივლისის №488
დადგენილების დანართი

## დ ა ვ ა ლ ე ბ ა

### საქონლის ცენტრალიზებული შეტანისა სავაჭრო ქსელში

| ქალაქების დასახელე-ბა | ვის შეაქვს საქონელი სავაჭრო ქსელში | რა საქონელი შეაქვთ |
|---|---|---|
| თბილისი | სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემას | პური, ხორცი, ძეხვის ნაწარმი, რძე და მჟავე რძის პროდუქტები, ყველი, მაკარონი, მარგარინი, მცენარეულის ზეთი, ღვინო-არყის ნაწარმი, ლუდი და ლიმონათი |
| | პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემას | ფქვილი და ბურღული |
| სოხუმი | სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემას | ხორცი, ძეხვის ნაწარმი, რძე და რძის მჟავე პროდუქტები, ყველი, ღვინო-არყის ნაწარმი |
| | პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემას | ფქვილი და ბურღული |
| ბათუმი | სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემას | ხორცი, ძეხვის ნაწარმი, ღვინო-არყის ნაწარმი, ლუდი |
| | პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემას | ფქვილი და ბურღული |
| ქუთაისი | სახალხო მეურნეობას საბჭოს სისტემას | პური, ხორცი, ძეხვის ნაწარმი, რძე და მჟავე რძის პროდუქტები, ყველი, ღვინო-არყის ნაწარმი, ლუდი |
| | პურეული პროდუქტების მთავარ სამმართველოს სისტემას | ფქვილი და ბურღული |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 61 სამსახურებრივი შემთავსებლობის საკითხები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 9 ივნისის № 594 დადგენილება „სამსახურებრივი შემთავსებლობის შეზღუდვის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დამატების შესახებ“ დაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს და დაევალოთ მათ მტკიცედ იხელმძღვანელონ აღნიშნული დადგენილებით შემთავსებლობის საკითხების გადაჭრის დროს.

2. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტრომ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა შეამოწმონ, თუ როგორ ასრულებენ მათდამი დაქვემდებარებული დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნულ დადგენილებებს და შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 1 ნოემბრისათვის.

3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროსთან შესათანხმებლად კულტურისა და ხელოვნების იმ ცალკეულ გამოჩენილ მოღვაწეთა სია, რომელთაც ნება უნდა დაერთოს იმუშაონ შეთავსებით კულტურის როგორც ერთ, ისე რამდენიმე დაწესებულებაში.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი, თუ რომელი რაიონები განიცდიან ექიმების ნაკლებობას, სადაც საჭიროა ნება დაერთოს ექიმებს, როგორც გამონაკლისი, 1960—1963 წლების განმავლობაში იმუშაონ შეთავსებით ჯანმრთელობის დაცვის როგორც სხვადასხვა დაწესებულებებში, ისე ერთი დაწესებულების შიგნითაც ისე, რომ მათი შრომის ანაზღაურება მოხდეს ფაქტიურად დახარჯული

სამუშაო დროის მიხედვით ძირითადი თანამდებობის ორი ეროვნული ბიბლიოთეკა
თის ფარგლებში.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროებთან ერთად, ერთი დეკადის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ განისაზღვროს რაოდენობა სპეციალისტებისა, რომლებიც მოწვეულ უნდა იქნან საშტატო შეთავსებლობის პირობებით სამასწავლებლო მუშაობისათვის უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებიც ამზადებენ უახლესი ტექნიკის დარგის სპეციალისტებს, ახლად მოწყობილ უმაღლეს სასწავლებლებში, აგრეთვე კულტურის, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მოღვაწეებისა სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შესათანხმებლად.

6 და 7. საოქმო წესით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 ივლისი № 498

ა ს ლ ი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 594

**1960 წლის 9 ივნისი**

**მოსკოვი, კრემლი**

**„სამსახურებრივი შეთავსებლობის შეზღუდვის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების დამატების შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ „სამსახურებრივი შეთავსებლობის შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება.

ა) მუშებსა და უმცროს მომსახურე პერსონალზე;

ბ) მოსამსახურეებზე, რომელთა თანამდებობრივი განაკვეთი ძირითად სამუშაო ადგილზე არ აღემატება თვეში 600 მანეთს.

2. მუშაკის მიერ სხვა ასანაზღაურებელი სამუშაოს შესრულება ძირითადი სამუშაოს გარდა, თუ მას არ უკავია შტატის თანამდებობა იმავე საწარმოში, დაწესებულებასა და ორგანიზაციაში შეთავსებლობად არ ითვლება (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებლების და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პედაგოგების მიერ კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამგის მოვალეობის შესრულება; სასწავლებელთა დირექტორების, დირექტორთა მოადგილეების, სასწავლო ნაწილის გამგეების სამასწავლებლო მუშაობა, საგნობრივი და ციკლური კომისიების ხელმძღვანელობა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მუშაობა მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელობის დარგში, მედიცინის მუშაკთა მორიგეობა სამუშაო დროის თვიური ნორმის გადამეტებით და ა. შ.).

შეთავსებლობად არ ითვლება სკოლების მასწავლებლების, საშუალო სპეციალურ და მუშაკთა შრომის ანაზღაურების მხრივ მათთან გათანაბრებული სხვა სასწავლებელთა მასწავლებლების მუშაობა, იმავე სასწავლებელში სასწავლო დატვირთვის დაწესებული ნორმის ზევით, აგრეთვე პედაგოგიური მუშაობა და წრეების ხელმძღვანელობა იმავე სასწავლებელში, სკოლამდელ, სკოლისგარეშე ან საბავშვო დაწესებულებაში.

3. შეთავსებლობად არ ითვლება ისეთ მოვალეობათა შესრულება, რომლებისთვისაც მთავრობის დადგენილებებით დაწესებულია განაკვეთის (სარგოს) დანამატი პროცენტულად ან მანეთობით.

4. როდესაც ხდება საშუალო ხელფასის გამოანგარიშება მასწავლებლებისა, რომლებიც მუშაობენ რამდენიმე სკოლაში, საშუალო-სპეციალურ და მუშაკთა შრომის ანაზღაურების მხრივ მათთან გათანაბრებულ სხვა სასწავლებლებში, აგრეთვე პედაგოგიური მუშაკებისა სკოლისგარეშე, სკოლამდელ და სხვა საბავშვო დაწესებულებებში (როგორც ერთ, ისე რამდენიმეში), გათვალისწინებულ იქნას ხელფასი ფაქტიური დატვირთვისათვის ყველა სამუშაო ადგილზე, მაგრამ არა უმეტეს ერთნახევარი სატარიფო განაკვეთისა (უმაღლესი განაკვეთი მოცემული მუშაკისათვის). გარდა ამისა, გათვალისწინებულ იქნეს დამატებითი საზღაური მუშაობისათვის, რომელიც არ ითვლება შეთავსებლობად ძირითად სამუშაო ადგილზე.

როდესაც ხდება იმ მედიცინის მუშაკთა საშუალო ხელფასის გამოანგარიშება შვებულების დროისათვის, რომლებიც შეთავსებით

 მარ. 61

მუშაობენ, გათვალისწინებულ იქნას აგრეთვე ხელფასი ამ მუშაო- ბიბლიოთეკა
ბისათვის.

5. დაწესდეს, რომ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკების მიერ პედაგოგიური სამუშაოს შესრულება საათობრივი ანაზღაურების პირობებით კურსებზე და სასწავლებლებში, სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში მოცულობით არა უმეტეს 240 საათისა წელიწადში, შეთავსებად არ ითვლება. ამ მუშაობის ნებართვას იძლევიან ორივე დაინტერესებული საწარმოს, დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელები.

6. უფლება მიენიჭოთ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს მოიწვიონ, როგორც გამონაკლისი, ყოველ ცალკე შემთხვევაში, კათედრების გამგეებად უმაღლეს სასწავლებლებში საათობრივი ანაზღაურების პირობებით მეცნიერი მუშაკები, რომლებიც სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მუშაობას ეწევიან სამეცნიეროსაკვლევ დაწესებულებებში, აგრეთვე დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში მომუშავე მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ისე, რომ მათი შრომა კათედრის გამგეობისათვის ანაზღაურებულ იქნას წელიწადში 100 საათის ანგარიშით.

იმ მეცნიერ მუშაკთა და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა შრომა, რომლებიც არ ირიცხებიან უმაღლესი სასწავლებლის შტატში და მოწვეული არიან უმაღლესი სასწავლებლების ასპირანტების ხელმძღვანელობისათვის, ანაზღაურებულ იქნას წელიწადში 50 საათის ანგარიშით თვითეული ასპირანტის ხელმძღვანელობისათვის.

ამ პუნქტში აღნიშნულ მუშაკებს ხელფასი ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით ნებადართული შემთავსებლობის საათებისათვის არ დაუკავდეთ.

7. დაწესდეს, რომ იმ პირთათვის, ვინც პედაგოგიურ მუშაობას ეწევა შრომის საათობრივი ანაზღაურების პირობებით, შრომის საათობრივი ანაზღაურების მოქმედი განაკვეთები, რომლებშიაც შეტანილია შვებულების დროის საზღაური, არ უნდა იქნას გადაანგარიშებული.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების 1 მუხლის დამატებით, ნებადართულ იქნას საშტატო შემთავსებლობა 1961—1963 წლებში მედიცინის მუშაკებისათვის, აგრეთვე სკოლების, სასწავლებლების, საშუალო სპეციალური სასწავლებლების, სკოლამდელი, სკოლისგარეშე და საბავშვო დაწესებულებების პედაგოგიური მუშაკებისათვის

9. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დართონ, როგორც გამონაკლისი, 1960–1963 წლებში ცალკეულ რაიონებში, სადაც ექიმების ნაკლებობაა, იმუშაონ ექიმებმა შეთავსებით ჯანმრთელობის დაცვის როგორც სხვადასხვა დაწესებულებაში, ისე ერთი დაწესებულების შიგნითაც, ისე რომ მათი შრომა ანაზღაურებულ იქნას ფაქტიურად დახარჯული სამუშაო დროის მიხედვით ძირითადი თანამდებობის ორი განაკვეთის ფარგლებში.

10. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან შეთანხმებით აძლიოს განმარტებანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1367 დადგენილების და ამ დადგენილების შეფარდების წესის შესახებ.

11—13. საოქმო წესით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

## 62 გაქირავების პირობებში მიწოდებული მსუბუქი ავტომობილებით ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომსახურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გაუდიდდეს 1960 წელს ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის ლიმიტი საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს, გაქირავების პირობებში მსუბუქი ავტომობილებით ქალაქ თბილისის მოსახლეობის მომსახურების მოწყობასთან დაკავშირებით, — 6 ერთეულით და მუშაკთა საერთო რაოდენობა საშუალო წლიური გამოანგარიშებით 19 ერთეულით, მათ შორის მესამე კვარტალისათვის 36 კაცით და IV კვარტალში 40 კაცით, ხელფასის ფონდის გაუდიდებლად. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შესაბამისი ცვლილებანი შეიტანოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს შრომის გეგმაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს გაქირავების პირობებში მსუბუქი ავტომობილე-ბით სარგებლობისათვის (უშოფრებოდ) დროებითი ტარიფები, და-ნართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 ივლისი, № 499

ეროვნული

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 11 ივლისის № 499
დადგენილების დანართი

## დროებითი ტარიფები

### ქირა მსუბუქი ავტომობილების სარგებლობისა გაქირავების პირობებით (უშოფროდ)

| | მ-20 „პობედა“ | მ-21 „ვოლგა„ | გაზ-69 | „მოსკვიჩი“ |
|---|---|---|---|---|
| სარგებლობის დროისათვის ერთ საათში | 3 მ. 90 კ. | 4 მ. 20 კ. | 3 მ. 80 კ. | 3 მ. 60 კ. |
| ერთ დღეღამეში | 31 მ. 50 კ. | 33 მ. 00 კ. | 31 მ. 00 კ. | 29 მ. 00 კ. |
| ერთ თვეში | 480 მ. 00 კ. | 505 მ. 00 კ. | 470 მ. 00 კ. | 440 მ. 00 კ. |
| დამატებით გარბენის ყოველ კილომეტრში | 33 კ. | 40 კ. | 39 კ. | 29 კ. |
| ავტომობილების მიერ მიწოდებულ, დახარჯულ ბენზინში | საცალო ფასად | | | |
| ავტომეურნეობის, ავტოსაბურების დაზიანებისათვის, ავტოსაბურების დაკარგვისათვის და სხვ. | მიყენებული ზარალის ფაქტიური ღირებულებით | | | |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაკაძე.**

**63** **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ**

ნაწილობრივ შესაცვლელად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 13 ივნისის № 427 დადგენილებისა „საქართველოს სსრ წყალთა რესურსების გამოყენების მოწესრიგებისა და მათი დაცვის გაძლიერების ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ზედაპირულ და მიწისქვეშა წყალთა რესურსების გამოყენების და დაცვის სამმართველოს ეწოდოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული წყალთა რესურსების გამოყენებისა და დაცვის კომიტეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჰირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 ივლისი, № 501

**64** **ქ. თბილისში კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისში გამოვლინებულია კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის პრინციპების უხეში დარღვევები, ბოროტმოქმედებანი და დამახინჯებანი.

ხშირად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების წევრთა შემადგენლობაში იღებენ ისეთ მოქალაქეებს, რომლებიც საცხოვრებელ ფართობს არ საჭიროებენ, ისეთ პირებს, რომელთაც აქვთ მშენებლობის წარმოებისათვის საჭირო სახსრების საეჭვო წყაროები, აგრეთვე ისეთ პირებს, რომლებიც საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ ეწევიან. ხშირად საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებსა და კოლექტივებში შეყავთ ფიქციური პირები. ბევრ შემთხვევაში საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების რეგისტრირებულ წევრთა რიცხვი შენდებად სახლში არ-

სებული ბინების რიცხვზე ნაკლებია. 23 კოოპერატივსა და კოლექტივში სახლების მშენებლობის დროს გავიდა 58 წევრი და ახლად მიღებულია 115 ახალი წევრი, რაც ხელს უწყობს ბინების სპეკულაციას.

მთელ რიგ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებსა და კოლექტივებში მშენებლობას ხელმძღვანელობენ საქმოსნები, რომლებმაც ეს საქმე იოლი გამდიდრების წყაროდ გადააქციეს.

84 სახლიდან, რომლებიც ამჟამად შენდება, 47 სახლს აშენებენ კოოპერატივები და 37 სახლს კოლექტივები. მაგრამ რამდენადაც ყველა კოოპერატივი ფულად ოპერაციებს ბანკის გვერდის ავლით ახორციელებს, მათ არა აქვთ შრომის გეგმა, მშენებლობას ეწევიან საკუთარი ძალებით და არა საიჯარო ორგანიზაციის მეშვეობით, ამავე დროს მათ საქმიანობასა და კოლექტივების საქმიანობას შორის არსებითად განსხვავება არ არის.

ბევრი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი და კოლექტივი საჭირო მასალებს, მოწყობილობასა და მექანიზმებს უკანონო გზით იღებს, მარტო 14 შემოწმებულ კოოპერატივსა და კოლექტივში 1959—1960 წლების მანძილზე უკანონო გზით მიღებული იყო სახელმწიფო ფასებში 1.370 ათასი ცალი აგური. მშენებლობებზე გამოყენებულია 26 ამწე მექანიზმი და 20 ბეტონსარევი და ხსნარსარევი მანქანა, რომლებიც აგრეთვე უკანონო გზით არის მიღებული.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილების საწინააღმდეგოდ, ნება დართო მთელ რიგ საბინაო-სამშენებლო კოლექტივებს საკუთარი ძალებით დაეწყოთ საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

როგორც წესი, საბინაო-სამშენებლო კოლექტივები სამუშაო ნახაზების შედგენას კერძო წესით ავალებენ ქალაქის საპროექტო ორგანიზაციების მუშაკებს, რომლებსაც ამისათვის დიდძალი თანხები ეძლევათ. ყველა სახლისათვის მუშავდება ინდივიდუალური პროექტები და ეს მაშინ, როდესაც ინდივიდუალური პროექტების გამოყენება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში შეიძლება. დაპროექტების ასეთი მანკიერი პრაქტიკა არაჯანსაღ ვითარებას წარმოშობს საპროექტო ორგანიზაციებში და ხელს უშლის მათ ნორმალურ მუშაობას.

საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივებისათვის განაშენიანებული ნაკვეთების გამოყოფის შექმნილი პრაქტიკა ხში-

რად დაკავშირებულია კანონის საწინააღმდეგო გარიგებებით, რაც არსებითად ნაკვეთების სპეკულაციით გამოიხატება.

ბიბლიოთეკა

უხეშად ირღვევა საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ გადაცემის დადგენილი წესი. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების 34 სახლში, რომლებსაც მნიშვნელოვანი დეფექტები აქვთ და რომლებიც ჯერ კიდევ არ მიუღია საქალაქო აღმასკომს, მობინადრეები უკვე ჩასახლებულია. ახლად აშენებულ სახლებში ჩასახლების დროს ყოველთვის როდი ხდება ბინების განთავისუფლება კომუნალურ სახლებში.

ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები შემარიგებლურად ეკიდებიან საშენი მასალების დატაცების და კოოპერაციული და კოლექტიური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე სახელმწიფო სამშენებლო ტექნიკისა და ტრანსპორტის უკანონოდ გამოყენების ფაქტებს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენი და მისი ადგილობრივი ორგანოები ჩამოშორდნენ მიწის ნაკვეთების გამოყოფის, დაპროექტების მოწესრიგების მათზე დაკისრებულ მოვალეობას და კონტროლს არ უწევენ კოოპერაციული და ინდივიდუალური სახლების მშენებლობას.

კოოპერაციულ და ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობაში სახელმწიფო წესრიგის დამყარების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს:

ა) შეაჩეროს საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც დაიწყეს და რასაც განაგრძობენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები და კოლექტივები საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილების საწინააღმდეგოდ, და გადაჭრას ამასთან დაკავშირებული საკითხი ცალკე თვითეული ობიექტის მიხედვით;

ბ) გააუქმოს გადაწყვეტილებანი მიწის ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე და საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ნებართვები, რაც მიცემული აქვთ №№ 48,84 საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს „მშენებელს" და №№ 16, 29 და 60 კოლექტივებს, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედგომიან სამშენებლო სამუშაოებს;

გ) დააწესოს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების თვითნებურად ჩასახლებული საცხოვრებელი სახლების მოუთავებელი სამუშაოების დამთავრების ვადები და მთელი სა-

მუშაოების დამთავრების შემდეგ ნება დართოს, რომ [illegible] მიღებულ იქნას საექსპლუატაციოდ.

მიიღოს ზომები იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც დაუშვეს იმ საცხოვრებელ სახლებში თვითნებურად ჩასახლება, რომელთა მშენებლობა არ დამთავრებულა და რომლებიც არ არის მიღებული საექსპლუატაციოდ, აგრეთვე იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებმაც არ ჩააბარეს თავიანთი ბინები კომუნალურ სახლებში;

დ) საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების დანარჩენი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრება დააკისროს სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციას და განსაზღვროს მშენებლობის დამთავრების ვადები იმისდა მიხედვით, თუ რამდენად არიან ისინი უზრუნველყოფილი საშენი მასალებითა და მოწყობილობით;

ე) ერთი კვირის ვადაში ჩამოართვას დადგენილი წესით და გადასცეს მთავართბილმშენს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების მშენებლობებზე გამოყენებული სამშენებლო მექანიზმები, რომლებიც უკანონოდ შეიძინეს მათ სხვადასხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისაგან;

ვ) დაამყაროს სახელმწიფოებრივი წესრიგი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საპროექტო ორგანიზაციებში, სასჯელი დაადოს იმ პირებს, რომლებმაც კერძო წესით შეადგინეს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების სახლების მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

დაწესდეს, რომ შემდეგში კოოპერაციული და ინდივიდუალური სახლების მშენებლობა განხორციელდება მხოლოდ სახელმწიფო-საპროექტო ორგანიზაციების მიერ შედგენილი პროექტებით;

ზ) ნაკვეთების გამოყოფა კოოპერაციული მშენებლობისათვის აწარმოოს მხოლოდ საცხოვრებელი კვარტალების დაგეგმვისა და რეკონსტრუქციის დამტკიცებული პროექტების შესაბამისად, ამასთან, არ დაუშვას უშუალო შეთანხმება ზარალის ანაზღაურების შესახებ მენაშენეებსა და იმ შენობათა მფლობელებს შორის, რომელთა ნაკვეთებზედაც განზრახულია მშენებლობა.

2. დაევალოს ქ. თბილისის საქალაქო აღმასკომს და რაიაღმასკომებს ერთი დეკადის ვადაში გულმოდგინედ გადასინჯონ ყველა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისა და კოლექტივის წევრთა შემადგენლობა.

შემდეგში ახალი კოოპერატივების მოწყობის დროს უზრუნველყონ, რომ ყოველმხრივ წინასწარ იქნას განხილული საწარმოებ-

ში, დაწესებულებებსა და რაიაღმასკომებში წევრთა სია[illegible]რე გაიცემოდეს ნებართვები კოოპერატივების მოწყობის შესახებ.

3. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის სანიმუშო წესდებას დაემატოს დებულება იმის შესახებ, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრთა შემადგენლობას და ამ შემადგენლობაში შემდგომ მომხდარ ცვლილებებს დაამტკიცებენ შესაბამისი საქალაქო (რაიონული) აღმასკომები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიასთან ერთად, ორი კვირის განმავლობაში წარმოადგინონ წინადადებანი საბინაო-სამშენებლო კოლექტივების დებულების ცვლილებათა და დამატებათა შესახებ.

5. დამტკიცდეს დებულება ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ და წესი საშენი მასალების შეძენისა საქართველოს სსრ ქალაქებსა და დაბებში.

6. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული და სადაბო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ დაუმთავრებელი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობის განგრძობა იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-5 მუხლით დამტკიცებული დებულებით.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენს და მის ადგილობრივ ორგანოებს გადაჭრით გააუმჯობესონ კონტროლი კოოპერაციული და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და ქალაქების განაშენიანების სისწორისადმი.

8. საქართველოს სსრ პროკურატურამ განიხილოს ფაქტები კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისა, რაც დაშვებულია საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მშენებლობებზე და მისცეს დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში.

9. დაევალოთ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს აღმოფხვრან ამ დადგენილებით აღნიშნული ნაკლოვანებანი, შექმნან კოოპერაციულ და ინდივიდუალურ მშენებლობაში კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ყოველგვარი გამოხატულებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულების ვითარება.

ჩაატარონ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებისა და კოლექტივების წევრთა შორის საჭირო მუშაობა და განუმარტონ მათ, რომ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ღონისძიებანი ხელს უწყობენ

კანონიერების განმტკიცებას, ემსახურებიან მშენებლობის [illegible]გების მიზნებს და დახმარებას უწევენ მათ აშენონ უფრო [illegible] უფრო მეტი საცხოვრებელი სახლები, აგრეთვე პირველ რიგში დააკმაყოფილონ ის მოქალაქეები, რომლებიც ნამდვილად საჭიროებენ საბინაო პირობების გაუმჯობესებას.

10. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განიხილონ კოოპერაციული და ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის საკითხები და მიიღონ ზომები ამ საქმეში წესრიგის დასამყარებლად.

მიღებული ზომების შესახებ მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 1 სექტემბრისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. მირაბაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 12 ივლისი, № 504.

*დამტკიცებულია*
*საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს*
*1960 წლის 12 ივლისის № 504*
*დადგენილებით*

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ

1. თვითეულ მოქალაქეს უფლება აქვს განახორციელოს ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა პირადი საკუთრების უფლებით სართულიანობისა და საცხოვრებელი ფართობის დაწესებული ნორმების ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.

რამდენიმე მოქალაქეს შეუძლია შექმნას კოლექტივი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის განსახორციელებლად შრომითი ურთიერთდახმარების საფუძველზე ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას თვი-

თეული მენაშენის პირადი საკუთრების უფლება ერთ ბინაზე მრავალბინიან სახლში, საცხოვრებელი ფართობის დაწესებული ნორმების ფარგლებში და მოქმედი კანონმდებლობის და ამ დებულების შესაბამისად.

შენიშვნა: ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში ინდივიდუალურ (მათ შორის კოლექტიურ) მშენებლობას ახორციელებენ სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილების შესაბამისად.

2. საცხოვრებელი სახლის მშენებლობა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე, უკეთუ არსებობს სათანადო წესით შეთანხმებული და დამტკიცებული პროექტი საცხოვრებელი სახლისა, ხელშეკრულება მიწის ნაკვეთის უვადო სარგებლობაში გადაცემის შესახებ და ნებართვა მშენებლობის შესახებ.

3. თუ ის პირი, რომელმაც ააშენა საცხოვრებელი სახლი ან მიიღო ბინა საბინაო-სამშენებლო კოლექტივის მიერ აშენებულ სახლში, სარგებლობს ბინით ან ოთახით კომუნალურ სახლში, იგი მოვალეა დაუყოვნებლივ ჩააბაროს ეს ბინა ან ოთახი ალმასკომს.

4. ნაკვეთები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში გამოეყოფათ მენაშენეებს იმ საწარმოებისა და დაწესებულებების მუშაობით, რომლებშიაც ისინი მუშაობენ.

არ დაიშვება ნაკვეთების გამოყოფა მენაშენეებისათვის, რომელთაც სურთ განმეორებით ააშენონ სახლი, მათ მიერ წინათ აშენებული სახლის გაყიდვის დღიდან 10 წლის ვადის გასვლამდე.

5. ნაკვეთები ერთი ან ორბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის გამოიყოფა მხოლოდ საკარმიდამო განაშენიანების ზონებში, ხოლო მრავალბინიანი სახლებისათვის — სართულიანობის მიხედვით და ქალაქის (დაბის) დაგეგმვის დამტკიცებული პროექტით გათვალისწინებული ზონირების შესაბამისად.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიშვება იმ პირობით, თუ არსებობს კვარტალის (მიკრორაიონის) დაგეგმვისა და განაშენიანების დამტკიცებული პროექტი და წინასწარ შესრულებულია ქუჩების კეთილმოწყობისა და პროფილირების სამუშაოები.

6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის ნაკვეთის მისაღებად მენაშენე ან მენაშენეთა კოლექტივი განცხადებით მიმართავს იმ საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრა-

ციას, სადაც ისინი მუშაობენ, თავიანთი საცხოვრებელი [illegible] და თვითეული მენაშენის ოჯახის შემადგენლობის, სახლის ტიპის და მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების, აგრეთვე სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების წყაროს აღნიშვნით, განცხადებაში აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მენაშენე გაცნობილია დებულებას ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის შესახებ და საშენი მასალების შეძენის წესს.

განცხადებას დაერთვის:

ა) ტექნიკური აღრიცხვის ბიუროს ცნობა იმის შესახებ, რომ მოქალაქეს, მის მეუღლეს და ოჯახის სხვა არასრულწლოვან წევრებს, რომლებიც მის კმაყოფაზე არიან, არ მოეპოვებათ პირადი საკუთრების უფლებით რეგისტრირებული საცხოვრებელი სახლი;

ბ) სახლმმართველობის ცნობა ოჯახის შემადგენლობისა და დაკავებული საცხოვრებელი ფართობის შესახებ;

გ) ცნობები ოჯახის წევრთა სამუშაო ადგილიდან, თუ რა თანამდებობა უკავია და რამდენს იღებს ხელფასს.

შენიშვნა: არამომუშავე მოქალაქეები (პენსიონერები, ინვალიდები) განცხადებებს ნაკვეთების მიღების შესახებ შეიტანენ უშუალოდ აღმასკომში, ამასთან აღნიშნული დოკუმენტების გარდა, დაურთავენ აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების ცნობებს პენსიის ოდენობის შესახებ.

7. საწარმოს ან დაწესებულების ადმინისტრაცია, პროფკავშირის ადგილობრივ კომიტეტთან ერთად, ორი კვირის ვადაში განიხილავს მენაშენეებისა და მენაშენეთა კოლექტივების განცხადებებს ნაკვეთების გამოყოფის შესახებ და, გადაარჩევს რა მათგან იმ განცხადებებს, რომელთა დაკმაყოფილება მას საჭიროდ მიაჩნია, წარუდგენს მათ ქალაქის (დაბის) აღმასრულებელ კომიტეტს თვითეული მენაშენის დახასიათებით და იმის აღნიშვნით, თუ რა თანამდებობა უკავია მას და რამდენს იღებს ხელფასს.

8. საწარმოებისა და დაწესებულებებისაგან შემოსულ განცხადებებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომები, წარმოდგენილი მასალების გულმოდგინედ შემოწმების შემდეგ, ერთი თვის ვადაში განიხილავენ მათ და მიიღებენ გადაწყვეტილებას.

გამოსაყოფი ნაკვეთების რაოდენობა დაწესდება ყოველწლიურად იმის მიხედვით, თუ რამდენი მოიპოვება საშენი მასალები ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის.

9. მენაშენე ან მენაშენეთა კოლექტივი, როგორც კი მიიღებს საცხოვრებელი სახლის შეთანხმებულ და დამტკიცებულ ტექნიკურ

დოკუმენტაციის, მოვალეა დადოს ხელშეკრულება მშრ[illegible] დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს აღმასკომთან [illegible] სახებ, რომ გადაეცეს მას მიწის ნაკვეთი უვადო სარგებლობისათვის.

შენიშვნა: კოლექტიურ საფუძვლებზე მრავალბინიანი სახლის მშენებლობის დროს, ხელშეკრულებას დადებს კოლექტივის რწმუნებული.

10. ხელშეკრულების დადება დამოწმდება სანოტარო კანტორაში საერთო წესით.

11. ნებართვას მშენებლობის განხორციელების შესახებ გასცემენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სადაბო საბჭოების აღმასკომები.

ნებართვა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ წარდგენილია საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაცია და სანოტარო კანტორის მიერ დამოწმებული ხელშეკრულება ნაკვეთის გადაცემის შესახებ უვადო სარგებლობისათვის.

12. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ახალი მშენებლობისა და რეკონსტრუქციისადმი კონტროლს განახორციელებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს აღმასკომი.

13. ყველა აშენებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი საექსპლუატაციოდ უნდა მიიღოს სახელმწიფო კომისიამ, სახელმწიფო კომისიის შემადგენლობა და მისი თავმჯდომარე დაინიშნებიან მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოს აღმასკომის განკარგულებით.

აშენებული სახლის საექსპლუატაციოდ მიღების აქტის შედგენამდე სახელმწიფო კომისია შეამოწმებს გასამართლებელ საბუთებს მენაშენეთა მიერ შეძენილი და გამოყენებული საშენი მასალების შესახებ.

გასამართლებელი საბუთების უქონლობის შემთხვევაში სახლის საექსპლუატაციოდ მიღების აქტი არ შედგება, ხოლო შედგება შესაბამისი აქტი, რომელიც გამოძიებისათვის გაეგზავნება პროკურატურის ადგილობრივ ორგანოებს.

შენიშვნა: იმ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მიღების დროს, რომელთა მშენებლობა დამთავრებულია ამ დებულების ძალაში შესვლამდე, გასამართლებელი საბუთების წარდგენა გამოყენებული საშენი მასალების შეძენის შესახებ საჭირო არ არის.

14. სახელმწიფო კომისიის მიერ შედგენილ აქტებს სახლების საექსპლუატაციოდ მიღების შესახებ დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (სადაბო) საბჭოების აღმასკომები და გადასცემენ შემკვეთებს.

შენიშვნა: თუ მენაშენე კომუნალური საცხოვრებელი ფართობით [illegible] აქტი მას ჩაბარდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ამ ფართობს [illegible] გადასცემს.

15. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში ახლად აშენებული ინდივიდუალური სახლთმფლობელობების ინვენტარიზაციას და რეგისტრაციას აწარმოებს ტექნიკური აღრიცხვის ბიურო მხოლოდ მას შემდეგ, რაც საცხოვრებელი სახლი გადაეცემა საექსპლუატაციოდ ამ დებულების 13 და 14 მუხლებით გათვალისწინებული წესით.

16. მოქალაქეები, რომლებიც ახორციელებენ მშენებლობას მათ მიერ თვითნებურად დაკავებულ ნაკვეთებზე, მიეცემიან სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 88[1] მუხლის შესაბამისად.

სართულიანობის, ოთახების რიცხვისა და ფართობის ოდენობის კანონით დაწესებული ნორმების დარღვევა გამოიწვევს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 147[1] მუხლის შესაბამისად, ნორმის გადამეტებით აშენებული ოთახებისა და ფართობის გადაცემას კომუნალურ ფონდში.

---

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 12 ივლისის № 504
დადგენილებით

## წ ე ს ი

### საშენი მასალების შეძენისა ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის საქართველოს სსრ ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში

იმ მიზნით, რომ დახმარება გაეწიოთ ინდივიდუალურ მენაშენეებს (მათ შორის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებს) მათ მიერ ძირითადი საშენი მასალების შეძენისა და საშენი მასალების ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საქმეში, — დაწესდეს:

1. მენაშენეებს შეუძლიათ შეიძინონ ძირითადი საშენი მასალები (აგური, ცემენტი, კირი, სამშენებლო რკინა, კრამიტი, ხე-ტყის მასალები, შიფერი, მინა, ქვაბები, რადიატორები და ცენტრალური გათბობის მილები, წყალსადენისა და საკანალიზაციო მილები) სა-

მუზ. 84

ვაჭრო ორგანიზაციების ან ცეკავშირის სისტემის საშენ მასალათა მომმარაგებელ საწყობებსა და მაღაზიებში.

2. მენაშენეებს საშენ მასალებს გამოუყოფენ საქალაქო და სადაბო აღმასკომები, ამასთან მისცემენ სახელობითს განრიგებს მასალების შეძენის შესახებ. განრიგები გამოიწერება სამ ცალად, რომელთაგან ერთი რჩება აღმასკომს, მეორე ეგზავნება სავაჭრო ორგანიზაციას და მესამე ეძლევა მენაშენეს.

განრიგების გამოწერა ხდება საშენ მასალათა იმ სპეციფიკაციის შესაბამისად, რომელიც აღნიშნულია საცხოვრებელი სახლის დამტკიცებულ ტექნიკურ დოკუმენტაციაში, მენაშენესთან შეთანხმებულ ვადებში და რაოდენობით.

3. მენაშენისათვის გამოყოფილი მასალები გამოსყიდული უნდა იქნას ორი კვირის ვადაში. მენაშენის მიზეზით დროზე გამოუსყიდველი მასალები აღმასკომებს შეუძლიათ გადასცენ სხვა მენაშენეებს.

4. მენაშენისათვის მასალების მიცემის დროს სავაჭრო ორგანიზაცია მოვალეა გამოუწეროს მას ქვითარი, რომელშიაც აღინიშნება მაღაზიის ზუსტი დასახელება, მასალების მიყიდვის თარიღი, მყიდველის გვარი, სახელი და მამის სახელი, განრიგის ნომერი, გაყიდული მასალების ზუსტი დასახელება, მათი რაოდენობა, ხარისხი, ფასი და საერთო თანხა.

5. მენაშენეების მიერ შეძენილი და მათ მიერ გამოუყენებელი მასალების გაყიდვა შეიძლება მხოლოდ საშენ მასალათა მაღაზიების მეშვეობით საკომისიო საფუძველზე.

6. საშენი მასალების შეძენის ეს წესი გამოყენებულ იქნება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების კაპიტალური რემონტის განხორციელების ან რეკონსტრუქციის დროსაც.

7. ზემოაღნიშნული წესი არ ვრცელდება ინდივიდუალურ მენაშენეებზე ქალაქ თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და რუსთავში, სადაც ინდივიდუალურ საბინაო მშენებლობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 22 ოქტომბრის № 841 დადგენილების შესაბამისად, სახელმწიფო სამშენებლო ორგანიზაციები ახორციელებენ.

---

## 65 საქართველოს სს რესპუბლიკაში ქალაქებისა, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრებისათვის ახალი ფარგლების დადგენის წესის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 22 თებერვლის დადგენილების შესაბამისად და საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრების მიწათსარგებლობის და განაშენიანების საკითხების მოწესრიგების მიზნით, აგრეთვე იმისათვის, რომ დროზე იქნას აღრიცხული მათი ტერიტორიების განვითარების პერსპექტივები დაგეგმვის დამტკიცებული პროექტების თანახმად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1960—1961 წლების განმავლობაში საქართველოს სსრ იმ ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრების ახალი ფარგლები, რომლებსაც დაგეგმვის დამტკიცებული პროექტები აქვთ.

2. შემოღებულ იქნას წესი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრების დაგეგმვის პროექტების და ახალი ფარგლების პროექტების იმავდროულად წარდგენას დასამტკიცებლად.

3. დაეკისროთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს რესპუბლიკის ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრების ახალი ფარგლების დაწესების საკითხების მომზადება.

4. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახმშენის და სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის მიერ წარმოდგენილი „ინსტრუქცია საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული ცენტრების ახალი ფარგლების განსაზღვრისა და დადგენის წესის შესახებ“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 ივლისი № 507

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 26 ივლისის № 507
დადგენილებით

## ინსტრუქცია

### საქართველოს სსრ ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებისა და რაიონული ცენტრების ახალი ფარგლების განსაზღვრისა და დადგენის წესის შესახებ

1. საქართველოს სსრ ქალაქებში, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბებში, აგრეთვე რაიონულ ცენტრებში მიწათსარგებლობისა და განაშენიანების საკითხების, დაგეგმვის დამტკიცებული პროექტების შესაბამისად მათი ტერიტორიების განვითარების პერსპექტივების დროულად აღრიცხვის მიზნით, ეს ინსტრუქცია ითვალისწინებს ზემოაღნიშნული დასახლებული ადგილების ახალი ფარგლების განსაზღვრისა და დადგენის წესს. ახალ ფარგლებში შეტანილი მიწები რჩება მათ მოსარგებლეებს—კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვ. და საჭიროების შემთხვევაში ჩამოერთმევათ დადგენილი წესით. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს ენიჭებათ უფლება მოაწესრიგონ ფარგლებში შეტანილი მიწების განაშენიანება, აგრეთვე უფლება—გამოიყენონ ისინი მრავალწლიანი კულტურებისა და სხვა ანალოგიური მიზნებისათვის.

2. ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბისა და რაიონული ცენტრის ახალი ფარგლების შემადგენლობაში შეიტანება შემდეგი მიწები:

ა) ყველა განაშენიანებული კვარტალი მოედნებიანად, ქუჩებიანად, შესახვევებიანად და საზოგადოებრივი ადგილებიანად (სკვერები, ბაღები და ა. შ.);

ბ) მიწები, რომლებიც დაგეგმვის დამტკიცებული პროექტებით შეტანილია ქალაქების, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბების, აგრეთვე რაიონული ცენტრების პერსპექტიული განვითარების ზონაში და განკუთვნილია: საბინაო, კულტურული და ადმინისტრაციული მშენებლობისათვის; სამრეწველო, სატრანსპორტო და კომუნალური მშენებლობისათვის; ქალაქებისა და რაიონული ცენტრების გარშემო მდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის, გამწვანების, გატყიანების, მუშა-მოსამსახურეთა მიერ ბაღებისა და ბოსტნების გაშენების მიზნით, აგრეთვე მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის საბალახოდ (იქ, სადაც პირუტყვის შენახვა ნებადართულია).

3. ქალაქებში, მუშათა, სააგარაკო და საკურორტო დაბებსა და რაიონულ ცენტრებში, რომელთაც არა აქვთ დაგეგმვის დამტკიცებული პროექტები, ახალი ფარგლები დაგეგმვის პროექტების დამტკიცებამდე არ დაწესდება. განსაკუთრებულ შემთხვევებში ახალი ფარგლები შეიძლება დაწესდეს იმ მიწების ჩათვლით, რომლებიც აღნიშნულია მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტში.

4. ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბისა და რაიონული ცენტრის ახალ ფარგლებს დააწესებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი ამ ინსტრუქციის შესაბამისად და დაამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარდგენით.

5. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების წინადადებანი ახალი ფარგლების დაწესების შესახებ შედგენილ უნდა იქნას სამ ცალად და უნდა შეიცავდნენ შემდეგ დოკუმენტაციას:

ა) ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბისა და რაიონული ცენტრის დასაყრდენ (არსებულ) გეგმას ერთ-ერთი შემდეგი მასშტაბით: 1 : 2000; 1 : 5000 და 1 : 10.000 (ტერიტორიის ოდენობის ან არსებული ტოპოგრაფიული გეგმების მიხედვით), ძველი ფარგლების (თუ ასეთი არსებობს) და ახალი ფარგლების აღნიშვნით და აღმასკომის, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა ძირითად მიწათმოსარგებლეთა მიწის ფონდების ჩვენებით;

ბ) ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბის ან რაიონული ცენტრის დაგეგმვის დამტკიცებული პროექტის ასლს, ამას-

ბიბლიოთეკა

თან უნდა აღინიშნოს ახალი ფარგლები დასაყრდენი გეგმის მასშტაბით;

გ) განმარტებით ბარათს ახალი ფარგლების დასაბუთებით, შეტანილი მიწების აღწერილობით და ტერიტორიის ბალანსებით არსებული და ახალი ფარგლების დროს;

დ) ცნობებს იმის შესახებ, რომ ახალი ფარგლები შეთანხმებულია რაიაღმასკომთან რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და დაბებისათვის და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან;

ე) პროექტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებისა ახალი ფარგლების მოწონების შესახებ, მისი ზუსტი აღწერილობით და ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბის ან რაიონული ცენტრის ტერიტორიის საერთო ფართობის გამოანგარიშებით ფარგლების დაწესებამდე და მის შემდეგ;

ვ) პროექტს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა ახალი ფარგლების დაწესების შესახებ მისი ზუსტი აღწერილობით და ქალაქის, მუშათა, სააგარაკო, საკურორტო დაბის ან რაიონული ცენტრის ტერიტორიის საერთო ფართობის გამოანგარიშებით ფარგლების დაწესებამდე და მის შემდეგ.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ახალი ფარგლების დამტკიცების შემდეგ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი გადაიტანს მას ნატურაში და დაამაგრებს ფარგლებს გადატეხის კუთხეებში ბეტონის მონოლითებით.

## 66 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მთავრობის წინა წლებში გამოსული ზოგიერთი დადგენილება მოძველდა ან ფაქტიურად ძალადაკარგულად ითვლება მათ შემცვლელ დადგენილებათა მიღების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. **ჯავახიშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი**.

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 ივლისი № 517

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 26 ივლისის № 517
დადგენილების დანართი

## ნ უ ს ხ ა

### საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 8 აპრილის დადგენილება —

„საქართველოს სსრ კინომრეწველობისა და კინოფიკაციის სახელმწიფო ტრესტის (საქართველოს სახკინმრეწვი) ლიკვიდაციისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კინოფიკაციის სამმართველოს შექმნის შესახებ (კან. კრებ., 1938 წ., № 10, მუხ. 44).

2. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1938 წლის 28 დეკემბრის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული მერქნის ლპობის წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრებ., 1938 წ., № 10, მუხ. 53).

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 5 თებერვლის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატებში მორიგეობის შემოღების შესახებ“ (კან. კრ., 1939 წ., № 4, მუხ. 18).

4. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 10 აპრილის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (კან. კრ., 1939 წ., № 11, მუხ. 50).

5. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1939 წლის 22 ნოემბრის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საშენ მასალათა მრეწველობის მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ., 1939 წ., № 21, მუხ. 93).

6. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წლის 28 აპრილის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ. 1940 წ. № 9, მუხ. 38; ცვლილებით 1940 წ., № 29, მუხ. 130).

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 28 ივნისის დადგენილება —

„საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სახალხო კომისარიატის დებულების დამტკიცების შესახებ“ (კან. კრ., 1940 წ., № 18, მუხ. 69).

8. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 11 იანვრის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (კან. კრ., 1941 წ., № 6, მუხ. 31).

9. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 24 მარტის დადგენილება —

„თეატრის ბილეთების ფასების დაკლების შესახებ“ (კან. კრ., 1941 წ., № 13, მუხ. 80 ცვლილებებით დადგ. კრ., 1942 წ. იანვარი, № 185 და 1943 წ. მარტი, № 411).

10. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1941 წლის 25 აპრილის დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ნაკრძალების, ზოოპარკებისა და ზოობაღების სამმართველოსთან სამეცნიერო საბჭოს შექმნის შესახებ“ (კან. კრებ., 1941 წ., № 18, მუხ. 108).

11. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 23 ივნისის დადგენილება —

„სახალხო კომისარიატებსა, დაწესებულებებსა და საწარმოებში ხელმძღვანელ მუშაკთა მორიგეობის შემოღების შესახებ“ (სსრკ კრ., 1941 წ., № 20, მუხ. 130).

12. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 23 მარტის № 273 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ საკურორტო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების სამეურნეო აღდგენის შესახებ“ (დადგ. კრ., 1944 წ. მარტი, №273).

13. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 1 აპრილის № 321 დადგენილება —

„მოსახლეობის კინომომსახურების გაუმჯობესების შესახებ“ (დადგ. კრ., 1944 წ. აპრილი, № 321).

14. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 29 აპრილის № 427 დადგენილება —

„თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლების ვადების დადგენის შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წ. აპრილი, № 427).

15. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1944 წლის 21 დეკემბრის № 1434 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგ. კრ., 1944 წ. დეკემბერი, № 1434).

16. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1955 წლის 22 თებერვლის № 227 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კინემატოგრაფიის საქმეთა სამმართველოს მოწყობის შესახებ“ (დადგ. კრ., 1945 წ. თებერვალი, № 227).

17. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 7 მარტის № 282 დადგენილება —

„გარეული ცხოველის და ნადირის უკანონოდ მოკვლისათვის გადახდევინების ოდენობის შესახებ“ (დადგ. კრ., 1945 წ. მარტი, № 282).

18. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 8 მაისის № 534 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან პოლიგრაფიული და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს მოწყობის შესახებ“ — დანართი დებულებით (დადგ. კრ., 1945 წ. მაისი, № 534).

ბიბლიოთეკა

19. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1945 წლის 28 დეკემბრის № 1705 დადგენილება —

„საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტის: აფხაზეთისა და აჭარის სახკომსაბჭოებთან — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა სამმართველოებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომთან და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან — კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განყოფილებათა მოწყობის შესახებ“ (დადგ. კრ., 1945 წ. დეკემბერი, № 1705).

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 18 აპრილის № 85 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წლის აპრილი, № 85).

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 10 მაისის № 181 დადგენილება —

„საქართველოს სსრ საშუალო სკოლაში სწავლების ვადის ერთი წლით გადიდების შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წ. მაისი, № 181).

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 3 ივნისის № 295 დადგენილება —

„ავტომანქანების მძღოლების შრომის ანაზღაურების შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წ., ივნისი, № 295).

23. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 3 ივნისის № 300 დადგენილება —

„თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სასოფლო-სამეურნეო და ზოოვეტერინარული ინსტიტუტების სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტროს უშუალო გამგებლობაში გადაცემის შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წ. ივნისი, № 300).

24. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 21 ივნისის № 390 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა კომიტეტის სისტემის სალექციო ბიუროს ლექტორების ანაზღაურების შესახებ“ (დადგ. კრ., 1946 წ. ივნისი, № 390).

25. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 31 იანვრის № 94 დადგენილება —

„სიმწიფის ატესტატზე გამოცდების დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგ. კრ., 1947 წ. იანვარი, № 94).

26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 თებერვლის № 119 დადგენილება —

„პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოსთან სავამომცემლო საბჭოს მოწყობისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ (დადგ. კრ., 1947 წ. თებერვალი, № 119).

27. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 17 აპრილის № 327 დადგენილება —

„მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების და ნაწარმოებების ქართული თარგმანის სამუშაო რედაქციისათვის ჰონორარის ანაზღაურების შესახებ“ (დადგ. კრ., 1947 წ. აპრილი, № 327).

28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 30 მარტის № 257 დადგენილება —

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმეთა სამმართველოს კულტმომარაგების მოწყობის შესახებ“ (დადგ. კრ., 1948 წ. მარტი, № 257).

29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 21 დეკემბრის № 1525 დადგენილება —

„მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომების რუსული ენიდან სსრკ ხალხთა ენებზე თარგმნისათვის ჰონორარის ანაზღაურების განაკვეთების შესახებ“ (დადგ. კრ., 1948 წ. დეკემბერი, № 1525).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

## 67 საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხორცის მრეწველობის საწარმოების მიერ პირუტყვის დამზადების საორგანიზაციო-ზედნადები და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების ნორმების შესახებ

„ხორცის მრეწველობის პროდუქციის საბითუმო ფასების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 2 თებერვლის № 115 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

შემცირდეს 1961 წლის 1 იანვრიდან 15—20 პროცენტით [illegible] საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის [illegible] № 1290 დადგენილებით დამტკიცებული ნორმები პირუტყვის დამზადების იმ საორგანიზაციო-ზედნადები და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებისა, რასაც ეწევიან ხორცის მრეწველობის საწარმოები, და დამტკიცდეს 1961 წლის 1 იანვრიდან ნორმები საორგანიზაციო-ზედნადები და სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებისა ცოცხალი წონის ერთ ცენტნერზე: მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა — 32 მანეთი, ცხვრისა და თხისა — 33 მანეთი. ღორისა — 50 მანეთი, ცოცხალი ფრინველისა — 75 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 ივლისი, № 520.

**68** **იმ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების შესაბამისად და იმ მიზნით, რომ უფრო სწორად იქნას გამოყენებული ფულადი და მატერიალური რესურსები კაპიტალურ მშენებლობაში, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ, 1961 წლიდან დაწყებული, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს შეუძლიათ წარმართონ რესპუბლიკური (ასსრ) და ადგილობრივი დაქვემდებარების მრეწველობის გაფართოებისათვის, აგრეთვე საბინაო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის კაპიტალურ სამუშაოთა დამტკიცებული გეგ-

მების ზევით ამ მრეწველობის მოგება (საწარმოს ფონდის ხარჯზე) 35 პროცენტამდე.

2. შემოღებულ იქნას შემდეგი წესი იმ კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სიების დამტკიცებისა, რომელიც სახელმწიფო გეგმის გადამეტებით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, აგრეთვე სახსრების გამოყოფისა ამ მშენებლობისათვის:

ა) 25 მილიონ მანეთზე მეტი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 15 მილიონ მანეთიდან 25 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით;

გ) საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიები, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 15 მილიონი მანეთი და ნაკლებია, აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მშენებლობის გარდამავალი ობიექტების სატიტულო სიები დამტკიცდება იმ წესით, რასაც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო განსაზღვრავს;

დ) სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთიდან 25 მილიონ მანეთამდეა, დაამტკიცებენ სამინისტროები და უწყებები საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით;

ე) სამინისტროების, უწყებებისა და ადგილობრივი საბჭოების იმ ახლად დასაწყებ მშენებლობათა სატიტულო სიებს, რომელთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 5 მილიონი მანეთი და ნაკლებია, აგრეთვე მშენებლობის გარდამავალი ობიექტების სატიტულო სიებს დაამტკიცებენ სამინისტროები, უწყებები და საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები;

ვ) სამრეწველო საწარმოებისა და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტების, აგრეთვე საავტომობილო გზების ახლად დასაწყები მშენებლობისათვის სახსრები გამოიყოფა მხოლოდ მას შემდეგ, რაც უზრუნველყოფილი იქნებიან სახსრებით საექსპლუატაციოდ გადა-

საცემი და გარდამავალი ობიექტები იმ ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ამ ობიექტების მშენებლობის დასამთავრებლად დაწესებულ ვადებში, აგრეთვე იმ პირობით, თუ არსებობს დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

3. დაწესდეს, რომ საცხოვრებელი სახლების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების და ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებისა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების მშენებლობა სახელმწიფო გეგმის ზევით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, შეიძლება დაწყებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ ობიექტების მშენებლობის დასაწყისისათვის არსებობს სახსრები მშენებლობის დასაფინანსებლად სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით და თუ მოიპოვება დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

აღნიშნული ობიექტების მშენებლობა სახელმწიფო გეგმის ზევით საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტის იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც ამ მიზნისათვის წარიმართება დადგენილი წესით, შეიძლება დაწყებულ იქნას იმ პირობით, თუ გამოყოფილია სახსრები ისეთი ოდენობით, რაც უზრუნველყოფს ამ ობიექტების მშენებლობის დამთავრებას დაწესებულ ვადებში და იმ პირობით, თუ არსებობს დამტკიცებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

საცხოვრებელი სახლების მშენებლობა საწარმოების (ორგანიზაციების) მუშა-მოსამსახურეთა შრომითი მონაწილეობით ხორციელდება იმ წესითა და იმ პირობებით, რომლებიც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 31 ივლისის № 931 დადგენილებით, ხოლო საკურორტო ქალაქების მშენებლობა — იმ წესით, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1 ივნისის № 590 დადგენილებით.

4. დაწესდეს, რომ ობიექტების მშენებლობა დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სარეზერვო ფონდის ხარჯზე უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ამ ობიექტების მშენებლობა უზრუნველყოფილია ადგილობრივი საშენი მასალებით და ისეთი მასალებით, რომლებიც ამ მიზნისათვის გამოიყოფა ცენტრალიზებული წესით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს შეამოწმონ იმ ობიექტების სატიტუ-

ლო სიები, რომლებიც დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე შენდება, იმ მიზნით, რომ თავმოყრილ იქნას ფულადი და მატერიალური რესურსები ყველაზე მნიშვნელოვანი და უწინარეს ყოვლისა საექსპლუატაციოდ გადასაცემი ობიექტების მშენებლობაზე და უზრუნველყონ, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გამოიყენონ მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრები მტკიცედ მიზნობრივი დანიშნულებით და შემოწმების შედეგები მოახსენონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს (ასლი — საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას) 1960 წლის 10 სექტემბრისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, ფინანსთა სამინისტროს და სახალხო მეურნეობის საბჭოს დამატებით განიხილონ იმ მშენებლობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის საკითხი, რომელიც სახელმწიფო გეგმის ზევით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, და თავისი წინადადებანი ამ საკითხზე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 1 თებერვლისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში ამ კაპიტალურ დაბანდებათა შემდგომი შემცირება.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და სახელმწიფო ბანკის და სამშენებლო ბანკის რესპუბლიკურმა კანტორებმა გააძლიერონ კონტროლი იმ სახსრების მიზნობრივად გამოყენებისადმი, რომლებიც კაპიტალური დაბანდებებისათვის გამოიყოფა სახელმწიფო გეგმის ზევით დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე.

8. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 29 ივნისის № 692 დადგენილების თანახმად, 1961 წლიდან დაწყებული:

ა) სახსრები, რომლებიც საწარმოებიდან შემოდის ჩამდინარე გაუწმენდავი წყლების ჩაშვებისათვის ჯარიმის გადასახდელად, ჩაირიცხება საკავშირო ბიუჯეტში.

ამასთან დაკავშირებით, 1961 წლიდან დაწყებული, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნას კაპიტალური დაბანდებანი კომუნალური კანალიზაციისა და ჩამდინარე წყლების საწმენდ ნაგებობათა ახალი სისტემების მშენებლობაში, არსებული სისტემების რეკონსტრუქციასა და გაფართოებაში, აგრეთვე დასახლებული ადგილების სანიტარული დასუფთავების საწარმოებისათვის;

ბ) კაპიტალური დაბანდებანი სამოქალაქო საჰაერო ფლოტისათვის თვითმფრინავებისა და მოტორების შესაძენად გათვალისწინებულ უნდა იქნას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით;

გ) იმ მიზნით, რომ ადგილობრივი საშენი მასალებით იქნას უზრუნველყოფილი კაპიტალური მშენებლობა, რომელიც სახელმწიფო გეგმის ზევით ხორციელდება დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, ნება დაერთოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოახდინონ საჭირო შემთხვევებში სახსრების ცენტრალიზაცია დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე (გარდა საწარმოს ფონდის სახსრებისა და იმ სახსრებისა, რომლებიც გადაირიცხება ზეგეგმითი მოგებიდან საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის), რათა წარიმართოს ეს სახსრები ადგილობრივი საშენი მასალებისა და დეტალების მრეწველობის განვითარებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 ივლისი № 523

**69** სამეცნიერო-საკვლევი კრიმინალისტური ლაბორატორიის და ადვოკატთა კოლეგიის მუშაობისადმი ხელმძღვანელობის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიისათვის გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობიდან სამეცნიერო-საკვლევი კრიმინალისტური ლაბორატორია, რომლის შენახვა იწარმოებს ბიუჯეტით განათლების ღონისძიებებისათვის გაღებულ ასიგნობათა ხარჯზე.

სამეცნიერო-საკვლევი კრიმინალისტური ლაბორატორიის მუ-შაკთა შრომის პირობები და შეღავათები შეთანხმებულ იქნას სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან.

2. საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ ადვოკატთა კოლეგიის მუშაობისადმი ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ შესაბამისი ცვლილებანი 1960 წლის შრომის გეგმასა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 ივლისი, № 525

**70 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 აგვისტო, № 547

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 აგვისტოს № 547
დადგენილებით

# დებულება

## საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევს მის სისტემაში შემავალი სასწავლებლების უმაღლეს და საშუალო სპეციალურ განათლებას და თავის საქმიანობაში ემორჩილება როგორც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ისე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსაც.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი განაგებს უშუალოდ მისდამი დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, საწარმოებს და პასუხისმგებელია ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხისა და მათ შორის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ძირითადი ამოცანებია:

ა) ხელმძღვანელობა გაუწიოს იმას, რომ მომზადებულ იქნან უმაღლეს სასწავლებლებში საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლების შეერთების საფუძველზე, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც აკმაყოფილებენ კომუნისტური მშენებლობის მოთხოვნებს, აღზრდილნი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე, დაუფლებულნი ჩვენი ქვეყნის და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს, კარგად მცოდნენი საქმის პრაქტიკისა, რომელთაც შესწევთ უნარი არა მარტო

გამოიყენონ თანამედროვე ტექნიკა, არამედ შექმნან კიდევ [illegible]ლის ტექნიკა;

ბიბლიოთეკა

ბ) უხელმძღვანელოს საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადებას რესპუბლიკის მეურნეობის და კულტურის დაწესებულებათა შესაბამისი დარგებისათვის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომასთან სწავლების მჭიდრო კავშირის საფუძველზე, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ფორმირებას მოსწავლეებში, მათი კომუნისტური შეგნებულობის ამაღლებას, საუკეთესო სპეციალისტთა აღზრდას კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის, საზოგადოებრივი მოვალეობის შეგნების სულისკვეთებით;

გ) განავითაროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება რესპუბლიკის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის სხვადასხვა დარგების მხრივ სპეციალისტებზე არსებული მოთხოვნილების შესაბამისად, აღმოფხვრას გაუმართლებელი პარალელიზმი სპეციალისტთა მომზადების საქმეში;

დ) შეისწავლოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად რესპუბლიკის მოთხოვნილება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე;

ე) უხელმძღვანელოს სასწავლო-მეთოდურ და აღმზრდელობითს მუშაობას საქართველოს სსრ უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში იმ საერთო სასწავლო-მეთოდური მასალების საფუძველზე, რომლებსაც სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო შეიმუშავებს;

ვ) უხელმძღვანელოს სახელმწიფო კომიტეტის სისტემის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის განვითარებას, რაც მიმართულია იმ დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების გადაწყვეტისაკენ, რომლებიც ხელს უწყობენ კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრას;

ზ) უხელმძღვანელოს სახელმწიფო კომიტეტის სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სამეცნიერო-პედაგოგიური კადრების მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და იმ სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლებას, რომლებიც მუშაობენ რესპუბლიკის მეურნეობის დარგებსა და კულტურის დაწესებულებებში, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების და კადრების კომუნისტური აღზრდის ამოცანების შესაბამისად;

თ) განამტკიცოს სახელმწიფო კომიტეტის სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზა და გააუმჯობესოს სახელმწიფო კომიტეტის სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტთა და მუშაკთა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს წარუდგენს:

სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების პერსპექტიულ გეგმებს;

დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში სპეციალობის მიხედვით ასპირანტთა მომზადების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში ახალი ტექნიკის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის სახელმძღვანელოების, სასწავლო და თვალსაჩინო საგნების გამოცემის პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს;

წინადადებებს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების, გარდა პედაგოგიური სასწავლებლებისა, შექმნის, დახურვის, გაერთიანებისა და რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე წინადადებებს სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების განვითარებასთან;

ბ) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს წინადადებებს უმაღლესი პედაგოგიური და საშუალო სპეციალური სასწავლებლების შექმნის, დახურვის, გაერთიანებისა და რეორგანიზაციის შესახებ;

გ) ყოველწლიურად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ

სასწავლებლებში მიღების გეგმებს და ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვების გეგმებს; წარმოების, კაპიტალური მშენებლობის გეგმებს, შრომის გეგმებს, თვითღირებულების და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებს; იმ საწარმოთა სიებს, რომლებიც საჭიროა საწარმოო პრაქტიკის და საწარმოო მუშაობის ბაზებად სახელმწიფო კომიტეტის სისტემის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ტექნიკუმების მოსწავლეებისათვის;

დ) სპეციალისტთა მომზადების დამტკიცებული გეგმების შესაბამისად დააწესებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღების და ამ სასწავლებლებიდან ახალგაზრდა სპეციალისტთა გამოშვების გეგმებს;

ე) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით დროულად მიიღებს ზომებს, რათა სახელმწიფო კომიტეტის სისტემის სასწავლებლებში მოსწავლეთა კონტინგენტი და სპეციალისტთა გამოშვება შეუფარდდეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტებზე;

ვ) შეისწავლის რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის დარგების მოთხოვნილებას სამეცნიერო-პედაგოგიურ კადრებზე და მოაწყობს ამ კადრების მომზადებას;

ზ) დაამტკიცებს სასწავლო პროგრამებს სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დაწესებული სიის თანახმად;

თ) მოამზადებს და გამოსცემს სახელმძღვანელოებს, სასწავლო და თვალსაჩინო საგნებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის;

ი) განახორციელებს უშუალო ხელმძღვანელობას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისადმი; კონტროლს გაუწევს საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრების საქმიანობას; განაზოგადებს და გაავრცელებს ამ კათედრების სასწავლო-მეთოდური, სამეცნიერო და აღმზრდელობითი მუშაობის გამოცდილებას; მოაწყობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების მომზადებას და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას;

ქ) განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ კინოს დანერგვას სასწავლო პროცესში, მოაწყობს რადიოთი და ტელევიზიით სასწავლო გადაცემებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეებისათვის;

ღ) დაამტკიცებს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო-საკვლევი სამუშაოების გეგმებს, კონტროლს გაუწევს ამ გეგმების შესრულებას და დამთავრებული ნამუშევრების გადაცემას სახალხო მეურნეობაში რეალიზაციისათვის;

ყ) დაამტკიცებს სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტრუქტურას, ფაკულტეტების, სპეციალობის, სპეციალიზაციისა და კათედრების შემადგენლობას, ნებას დართავს, რომ მოეწყოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კათედრები და ფაკულტეტები, აგრეთვე ფილიალები, განყოფილებები და სასწავლო-საკონსულტაციო პუნქტები გეგმური რაოდენობის ფარგლებში;

შ) დაამტკიცებს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით სახელმწიფო კომიტეტის გამგებლობაში არსებული უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატებს;

ჩ) დაამტკიცებს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების საბჭოების შემადგენლობას; სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს იმ საბჭოების შემადგენლობას, რომლებსაც ეძლევათ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების უფლება;

ც) დაამტკიცებს დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლების სავამოცდო კომისიების თავმჯდომარეებს და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიების თავმჯდომარეებს;

ძ) აწარმოებს დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა განაწილებას, სპეციალისტთა განაწილების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად, აგრეთვე გაანაწილებს იმ პირებს, რომლებიც ასპირანტურას ამთავრებენ დაქვემდებარებულ უმაღლეს სასწავლებლებში;

დაამტკიცებს ახალგაზრდა სპეციალისტთა პერსონალური განაწილების კომისიების თავმჯდომარეებს;

წ) უზრუნველყოფს შენობების, ნაგებობებისა და სხვა ობიექტების მშენებლობას დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო

სპეციალური სასწავლებლებისათვის, დაწესებულებებისა, ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის;

ს) დააფინანსებს დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, უზრუნველყოფს მათს მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას; მოაწყობს დაქვემდებარებული სასწავლებლების სტუდენტთა და მუშაკთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებას;

ტ) საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგენს წინადადებებს იმის შესახებ, რომ მიკუთვნებულ იქნან დაქვემდებარებული უმაღლესი სასწავლებლები კატეგორიებზე ხელმძღვანელ და მეცნიერ მუშაკთა შრომის ანაზღაურების მხრივ;

უ) აწარმოებს დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების საქმიანობის სტატისტიკურ აღრიცხვას სასწავლებლებიდან მიღებული სტატისტიკური ანგარიშების საფუძველზე, შეიმუშავებს და სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს წარუდგენს დაწესებულ ნაკრებ სტატისტიკურ ანგარიშს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შესახებ;

ფ) მოაწყობს და კონტროლს გაუწევს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში, განიხილავს და დაამტკიცებს უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ნაკრებ ანგარიშებსა და ბალანსებს, შეადგენს პერიოდულ წლიურ ანგარიშებს სახელმწიფო კომიტეტის ყველა სახის საწარმოო და სამეურნეო საქმიანობისათვის, განახორციელებს საფინანსო კონტროლს და მოახდენს დოკუმენტურ რევიზიებს თავისი სისტემის სასწავლებლებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უფლება ენიჭება:

ა) მიიღოს რესპუბლიკის სამინისტროებისა, უწყებებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოსაგან მასალები, რომლებიც საჭიროა სახელმწიფო კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად, აგრეთვე დაწესებული სტატისტიკური ანგარიშგება უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შესახებ;

ბ) მოიწვიოს დადგენილი წესით თათბირები და კონფერენციები უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების საკითხებზე.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს სათავეში უდგას თავმჯდომარე.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს სახელმწიფო კომიტეტის და მისდამი დაქვემდებარებული სასწავლებლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების მთელ საქმიანობას;

უზრუნველყოფს კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებას, რომლებიც სახელმწიფო კომიტეტის საქმიანობას შეეხება, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების შესრულებას;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) გამოსცემს სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე და შესასრულებლად, ამასთან ამოწმებს მათ შესრულებას;

ბ) შეაჩერებს და გააუქმებს საჭირო შემთხვევებში სასწავლებლების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

გ) დაამტკიცებს დებულებებს სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების შესახებ. იხელმძღვანელებს რა ტიპობრივი წესდებით, დაამტკიცებს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების წესდებებს, აგრეთვე უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების წესდებებს; დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს დადგენილი წესით სახელმწიფო კომიტეტის სამმართველო-

ბისა და განყოფილებების უფროსებს, დაქვემდებარებული სასწავლებლების დირექტორებს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს ნომენკლატურის თანახმად;

დ) შექმნის, რეორგანიზაციას მოახდენს და გააუქმებს დადგენილი წესით დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს, საჭირო შემთხვევებში შეცვლის მათ დაქვემდებარებას სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოების და სხვა ორგანოებისადმი;

ე) დადგენილი წესით წარუდგენს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უმაღლესი სკოლის განსაკუთრებით წარჩინებულ მუშაკებს, რათა მიენიჭოთ მათ საპატიო წოდებანი: „საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე“ და „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტში შეიქმნება კოლეგია სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის (კოლეგიის თავმჯდომარე), მისი მოადგილეებისა და სახელმწიფო კომიტეტის ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის შემადგენლობას დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის წარდგენით.

სახელმწიფო კომიტეტის კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სასწავლო-მეთოდურ, სამეცნიერო-საკვლევო, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო-საფინანსო მუშაობის საკითხებს, კადრების მომზადების, შესრულების შემოწმების და სახელმწიფო კომიტეტისადმი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პრაქტიკული ხელმძღვანელობის საკითხებს, მოისმენს სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ხელმძღვანელ მუშაკთა ანგარიშებს, აგრეთვე მოისმენს იმ სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენელთა ანგარიშებს, რომლებსაც ექვემდებარებიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, სახელმწიფო კომიტეტის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე.

ბიბლიოთეკა

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში ტარდება სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ბრძანებებით.

უკეთუ სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლეგიას შორის ადგილი ექნა აზრთა სხვაობას, სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ცხოვრებაში გაატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოების შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს, თავის მხრივ, შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოხატულია საქართველოს სსრ ღერბი და მისი სახელწოდება.

## 71 საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესახებ, დანართის თანახმად.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს დებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 571 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 აგვისტო, № 548

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 აგვისტოს № 548
დადგენილებით

### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუ-

ციის (ძირითადი კანონის) 55-ე მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს საკავშირო რესპუბლიკურ სამინისტროს და ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

2. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 57-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს ჯანმრთელობის დაცვის მთელ საქმიანობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, წარმართავს და ამოწმებს ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების, სამხრეთ ოსეთის საოლქო და ქალაქების ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებისა და რაიონული სავადმყოფოების მუშაობას. განაგებს რესპუბლიკის სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებებს, უმაღლეს და საშუალო სამედიცინო სასწავლებლებს, სამედიცინო სამეცნიეროსაკვლევ ინსტიტუტებს, ტუბერკულოზურ და ბავშვთა საკურორტოსანატორიულ დაწესებულებებს და საავთიაქო ქსელს, ახორციელებს კონტროლს სამინისტროების, უწყებებისა, ორგანიზაციების სამკურნალო და სანიტარული დაწესებულებების მუშაობისადმი.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სათავეში უდგას საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, რომელიც საქართველოს სსრ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 52-ე მუხლის შესაბამისად, ხელმძღვანელობს სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა საქმიანობას.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 53-ე მუხლის შესაბამისად, გამოსცემს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს მოქმედი კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებისა და განკარგულებების, სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებებისა და ინსტრუქციების საფუძველზე, ამასთან ამოწმებს მათ შესრულებას.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი შეაჩერებს და აუქმებს ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის მინისტრებისა და ჯანმრთელობის დაცვის საოლქო და საქალაქო განყოფილებების, აგრეთვე რაიონის სავადმყოფო-

ების ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, რომელნიც [illegible]დეგებიან მოქმედ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებსა და განკარგულებებს, აგრეთვე სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

5. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ნიშნავს და ათავისუფლებს სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოების განყოფილებების ხელმძღვანელ მუშაკებს და იმ რესპუბლიკური და ადგილობრივ დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომლებიც მას უშუალოდ ემორჩილებიან.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში იქმნება კოლეგია მინისტრის (თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეებისა და სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკების შემადგენლობით.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის წარდგენით.

კოლეგია თავის სხდომებზე, რომლებიც რეგულარულად იმართება, განიხილავს პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის საკითხებს, სამინისტროს უმნიშვნელოვანეს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს, მოისმენს სამინისტროს მთავარი სამმართველოების, სამმართველოებისა და განყოფილებების და მისდამი დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკების, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და ჯანმრთელობის დაცვის საოლქო, საქალაქო განყოფილებებისა და რაიონის საავადმყოფოების ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებანი ხორციელდება მინისტრის ბრძანებებით.

მინისტრსა და კოლეგიას შორის უთანხმოების შემთხვევაში მინისტრი ცხოვრებაში ატარებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილი უთანხმოებათა შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, ხოლო კოლეგიის წევრებს თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ძირითადი ამოცანაა:

ა) შეისწავლოს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. შეიმუშაოს მოსახლეობის დაავადებათა და სიკვდილიანობის შემცირების ღონისძიებები და კონტროლი გაუწიოს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მიერ ამ ღონისძიებათა გატარების საქმეს;

ბ) შეიმუშაოს სამკურნალო დახმარების მოსახლეობასთან დაახლოებისა და სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები იმ ანგარიშით, რომ ეს დახმარება იყოს ხელმისაწვდომი და უფასო ყველა მშრომელისათვის, აგრეთვე ღონისძიებები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით პროფილაქტიკის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

გ) შეიმუშაოს რესპუბლიკის მოსახლეობის სანიტარული მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებები;

დ) გაატაროს ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფენ სამკურნალო საქმის სისტემატურად გაუმჯობესებას, მკურნალობისა და პროფილაქტიკის ყველაზე ეფექტური მეთოდების დანერგვას სამედიცინო მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების საფუძველზე; მისცეს ნებართვა დადგენილი წესის შესაბამისად ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა გახსნისა და დახურვის შესახებ, დაადგინოს სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა ექსპლუატაციის ძირითადი წესები.

ე) ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებისა და ჯანმრთელობის დაცვის საოლქო და საქალაქო განყოფილებების, აგრეთვე რაიონული საავადმყოფოების მეშვეობით განახორციელოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ზედამხედველობა გამაფრთხილებელ და მიმდინარე სანიტარულ ღონისძიებებზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; უხელმძღვანელოს დადგენილი წესით სახელმწიფო სანიტარული და ეპიდემიის საწინააღმდეგო სამსახურის ორგანოებს და მისდამი უშუალოდ დაქვემდებარებული ეპიდემიის საწინააღმდეგო დაწესებულებების ქსელს. განახორციელოს ეპიდემიურ დაავადებათა თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის ღონისძიებები.

ვ) ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით ხელმძღვანელობა გაუწიოს ბავშვთა და დედათა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს;

მუხ. 71

კონტროლი დააწესოს ბავშვთა სამედიცინო მომსა[illegible] სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, სასწავლო სახე[illegible] ჩვილ ბავშვთა სახლებში, საბავშვო სახლებში, საბავშვო ბაღ-ბაგებში და პიონერბანაკებში, მიუხედავად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა;

ზ) მოაწყოს ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილი მოსახლეობის საკურორტო-სანატორიული დახმარების საქმე, დააწესოს კონტროლი სამკურნალო და სამეურნეო საქმის დაყენებისადმი ტუბერკულოზურ და ბავშვთა სანატორიუმებში;

თ) განახორციელოს სასამართლო მედიცინის ექსპერტიზისადმი ხელმძღვანელობა;

ი) უხელმძღვანელოს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას მედიცინის დარგში, გაატაროს ღონისძიებანი რესპუბლიკაში მოწინავე სამედიცინო მეცნიერების განვითარების, პრაქტიკაში მკურნალობის ახალი მეთოდების დანერგვის, წამლეულ ნივთიერებათა და სამედიცინო პრეპარატების გამოყენების უზრუნველსაყოფად, რაც მოწონებულია სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს მიერ.

8. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო:

ა) პროფესიონალური კავშირების მონაწილეობით ხელმძღვანელობას უწევს ჯანმრთელობის დაცვის დარგში გამომგონებლობის და რაციონალიზაციის საქმეს და დადგენილი წესის თანახმად წარადგენს დასკვნას, თუ რამდენად სასარგებლოა ახალი გამოგონებანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში;

ბ) ამტკიცებს ნებაყოფლობითი სამეცნიერო-სამედიცინო საზოგადოებების წესდებებს, მეთვალყურეობას და კონტროლს უწევს მათს საქმიანობას;

გ) იწვევს დადგენილი წესით ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა სამეცნიერო ყრილობებსა და თათბირებს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების მუშაობის ცალკეულ დარგებში;

დ) განაგებს უშუალოდ სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ უმაღლეს და საშუალო სამედიცინო სასწავლებლებს, ახორციელებს კონტროლს მედიცინისა და ფარმაცევტული კადრების მომზადებისა, დახელოვნებისა, სპეციალიზაციისა და იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმეში.

ე) აწყობს მედიცინის მუშაკთა სახელმწიფო რეგისტრაციასა და აღრიცხვას, ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის კადრების სწორად განლაგებისა და განაწილების ღონისძიებებს.

ვ) ახორციელებს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და საწარმოებისადმი საანგარიშო-სტატისტიკურ სამუშაოთა ორგანიზაციულ-მეთოდურ და ოპერატიულ ხელმძღვანელობას მოსახლეობის დაავადებიანობის, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებისა და ორგანოების საქმიანობის, სამკურნალო-პროფილაქტიკური და გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ეფექტურობის შესწავლის საქმეში. ;

ზ) უზრუნველყოფს მოსახლეობის მომარაგებას მედიკამენტებით, მთავარი სააფთიაქო სამმართველოს სააფთიაქო ქსელის მეშვეობით აწესებს კონტროლს მათი საქმიანობისადმი, ხელმძღვანელობს სააფთიაქო საქმეს.

თ) ხელმძღვანელობს და აწესრიგებს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის დაწესებულებათა და საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეს.

ი) ახორციელებს რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა და საწარმოთა მშენებლობას; ავტონომიური რესპუბლიკების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მეშვეობით ხელმძღვანელობს ადგილობრივი დაქვემდებარების სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა მშენებლობას და კონტროლს უწევს ამ მშენებლობას; ატარებს სამედიცინო დაწესებულებათა და საწარმოთა ახლად ასაშენებელი და სარეკონსტრუქციო შენობების პროექტების ექსპერტიზას და, დადგენილი წესით ამტკიცებს გეგმურ და საპროექტო დავალებებს, მათ ტექნიკურ პროექტებსა და ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტის ხარჯთაღრიცხვებს; აძლევს ყველა უწყებისა და ორგანიზაციებისათვის სავალდებულო დასკვნებს სამედიცინო-სანიტარულ დაწესებულებათა შენობების დაგეგმვისა და მშენებლობის პროექტების საკითხში.

კ) აწყობს საგეგმო-საფინანსო მუშაობას ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში; ადგენს სამედიცინო-სანიტარული დაწესებულებების ქსელის გაშლის, სამედიცინო კადრების მომზადების, დახელოვნებისა და სპეციალიზაციის, შრომისა და ხელფასის პერსპექტიულ და წლიურ ნაკრებ გეგმებს; აფინანსებს დადგენილი წესით სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს;

ლ) აწყობს საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგებას და კონტროლს უწევს აღრიცხვა-ანგარიშგების დაყენებას ჯანმრთელობის

დაცვის სამინისტროში; ამტკიცებს მთავარი სამმართველოების და უშუალოდ დაქვემდებარებული დაწესებულებების, საწარმოე-ბის და ორგანიზაციების ბალანსებსა და ანგარიშებს; ადგენს ნაკრებ საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს სამინისტროს ყველა სახის საქმიანობისათვის; ახორციელებს საფინანსო კონტროლს და ახდენს დოკუმენტურ რევიზიებს სამინისტროს დაწესებულებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში;

მ) კონტროლს უწევს სამინისტროს სისტემაში სამეურნეო ხელ-შეკრულებათა შესრულებას;

ნ) ახორციელებს ღონისძიებებს სამინისტროს დაწესებულება-თა, საწარმოთა და ორგანიზაციათა სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დაცვისადმი.

ო) სრულიად საიდუმლო.

9. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს უფლება ეძლევა:

ა) მიიღოს საჭირო ცნობები საქართველოს სსრ სახალხო მე-ურნეობის საბჭოდან, სამინისტროებიდან, რესპუბლიკის სხვა უწყებებიდან და ორგანიზაციებიდან სამინისტროზე დაკისრებული ფუნქციების შესრულების საჭიროებისათვის;

ბ) განახორციელოს კონტროლი სამინისტროების, უწყებების და საწარმოთა მიერ ახალ სამედიცინო ნაკეთობათა დანერგვის საქმეში.

10. ჯანმრთელობის დაცვის ხელმძღვანელ მუშაკთა და წარჩი-ნებულთა მუშაობის მოწინავე გამოცდილების გაზიარების მიზნით, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო და მისი მთავარი სამმართველოები იწვევენ აქტივებს და განიხილავენ სა-წარმოო-სამეურნეო საქმიანობის საკითხებს.

11. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სტრუქტურას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

## 72 საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 დეკემბრის № 696 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სახელ-მწიფო ნოტარიატის დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლი-ლებანი:

ქვემომოყვანილი მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბიბლიოთეკა

1. 1-ლი მუხლი:

„1. სანოტარო მოქმედებას ასრულებენ სახელმწიფო სანოტარო კანტორები და აგრეთვე ამ დებულების მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები“.

2. მე-2 მუხლი:

„2. სახელმწიფო სანოტარო კანტორების ქსელს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგენით“.

3. მე-6 მუხლი:

„6. უფროს ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და ნოტარიუსებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში შემავალი რაიონებისა და ქალაქების უფროს ნოტარიუსებს, მათ მოადგილეებსა და ნოტარიუსებს დანიშნავს და სამსახურიდან დაითხოვს ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეები და ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე შესაბამისად“.

4. მე-8 მუხლი:

„8. საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო სანოტარო კანტორის საქმიანობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს ახორციელებს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო.

იმ სანოტარო კანტორების საქმიანობისადმი ხელმძღვანელობასა და კონტროლს, რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის შემადგენლობაში შედიან, ახორციელებს აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოები და ავტონომიური ოლქის სასამართლო შესაბამისად“.

5. მე-10 მუხლი:

„10. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ამ დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებებს:

ა) დაამოწმებენ ხელშეკრულებებს თანხით არა უმეტეს 6000 მანეთისა;

ბ) დაამოწმებენ იმ მოქალაქის ანდერძს, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე;

გ) დაამოწმებენ მინდობილობებს, გარდა მინდობილობებისა საზღვარგარეთ მოქმედების შესრულების შესახებ;

დ) დაამოწმებენ მოცემული საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე მუდმივ მცხოვრებ მოქალაქეებისათვის ისეთი დოკუმენტის ასლის სისწორეს, რომელიც შეეხება მოქალაქის ქონებრივ მდგომარეობას, მის ოჯახურ მდგომარეობას (დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობა), ცნობისა საბჭოთა არმიაში სამსახურის შესახებ, რომელიც გაცემულია სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის შეღავათების მისანიჭებლად, აგრეთვე კოლმეურნეობისა და სარეწაო არტელის იმ დადგენილების ამონაწერისა, რომელიც მოცემულ მოქალაქეს შეეხება.

ე) დაამოწმებენ დოკუმენტებზე ხელმოწერის სინამდვილეს;

ვ) მიიღებენ ზომებს გარდაცვალებულის შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად;

ზ) დაამოწმებენ დოკუმენტის წარდგენის დროს;

თ) გადასცემენ მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებსა და დაწესებულებებს“.

**შენიშვნა:** „იმ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში, სადაც სანოტარო კანტორები არსებობენ, ყველა სანოტარო მოქმედებას ასრულებენ სანოტარო კანტორები“.

6. მე-11 მუხლის მეორე აბზაცი:

„11. იმ თანამდებობის პირთა ინსტრუქტირებისათვის, რომლებიც სანოტარო მოქმედებას ასრულებენ, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ მოიწვიონ სახელმწიფო ნოტარიატისა და სასამართლოს ორგანოების მუშაკები“.

7. მე-12 მუხლი:

„12. სანოტარო კანტორების შენახვა ხდება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს ხარჯთაღრიცხვით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 აგვისტო, № 549

**73** მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ინსტრუქცია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 6 აგვისტო, № 550

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 6 აგვისტოს № 550
დადგენილებით

## ინსტრუქცია

**მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ**

### 1. ზოგადი წესები

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 14 დეკემბრის № 696 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულების“ მე-10 მუხლის შესაბამისად, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ასრულებენ შემდეგ სანოტარო მოქმედებას:

ა) დაამოწმებენ ხელშეკრულებებს თანხით არა უმეტეს 5000 მანეთისა;

ბ) დაამოწმებენ იმ მოქალაქეთა ანდერძებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ მოცემული საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე;

გ) დაამოწმებენ მინდობილობებს, გარდა ისეთი მინდობილობებისა, რომლებიც უნდა იქნეს შესრულებული საზღვარგარეთ;

დ) დაამოწმებენ მოცემული საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის ისეთი დოკუმენტების ასლის სისწორეს, რომელიც შეეხება მათ ქონებრივ მდგომარეობას და ოჯახურ მდგომარეობას (დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმობა), საბუთების ასლის სისწორეს, საბჭოთა არმიაში სამსახურის შესახებ, რომელიც გაცემულია სამხედრო მოსამსახურის ოჯახისათვის შეღავათის მიჩიჭების შესახებ, სამხედრო მაგიდების ცნობას სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულების შესახებ, აგრეთვე კოლმეურნეობის და სარეწაო არტელის დადგენილებების ამონაწერებს, რომელიც მოცემულ მოქალაქეს შეეხება;

ე) დაამოწმებენ საბუთებზე ხელმოწერის სინამდვილეს;

ვ) მიიღებენ ზომებს გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონების დასაცავად;

ზ) დაამოწმებენ დოკუმენტის წარდგენის დროს;

თ) გადასცემენ მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებებს სხვა მოქალაქეებსა და დაწესებულებებს;

ი) გაუწევენ ტექნიკურ მომსახურებას (ხელშეკრულებების, ანდერძების, მინდობილობების შედგენა) იმ პირებს, რომლებისთვისაც წარმოებს სანოტარო მოქმედების შესრულება.

შენიშვნა: იმ ქალაქებში, დაბებსა და სოფლებში, სადაც სანოტარო კანტორები არსებობენ, ყველა სანოტარო მოქმედებას ასრულებენ სანოტარო კანტორები.

2. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება არ აქვთ შეასრულონ ამ ინსტრუქციის 1-ლ პუნქტში ჩამოთვლილ სანოტარო მოქმედებათა გარდა სხვა სანოტარო მოქმედებანი.

3. სანოტარო მოქმედებებს ასრულებს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ან მდივანი, სათანადო საბჭოს გადაწყვეტილებით.

თანამდებობის ამ პირებს უფლება არ აქვთ სანოტარო მოქმედება შეასრულონ თავისი სახელით, თავისი მეუღლის სახელით ან

მის სახელზე, აგრეთვე მისი და თავისი პირდაპირი ხაზის შთამომავლების, დების და ძმების სახელზე და ვალდებულია დაიცვას მათ მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებათა საიდუმლოება.

4. სიტყვიერი და წერილობითი ცნობები მიეცემა მხოლოდ იმ პირებს, რომელთა მიმართ შესრულებულია სანოტარო მოქმედება, აგრეთვე მათი მინდობილობით სხვა პირებს, ასევე სასამართლოს და საგამოძიებლო ორგანოებს მათი მოთხოვნით და კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ცნობა ანდერძის შესახებ მიეცემა მოქალაქეს, რომლის სასარგებლოდაც დატოვებულია ანდერძი, მხოლოდ მოანდერძის გარდაცვალების შემდეგ, გარდაცვალების მოწმობის წარდგენისას.

5. იმ შემთხვევაში, როდესაც ამა თუ იმ საბუთის დასამოწმებლად აღმასკომში გამოცხადებული პირი უცნობია, აღმასკომის თავმჯდომარემ ან მდივანმა უნდა დაადგინოს მისი ვინაობა პასპორტით, ან სხვა სათანადო ცნობებით.

სამხედრო მოსამსახურის ვინაობა დადგინდება პირადობის მოწმობით.

16 წლამდე ასაკის არასრულწლოვანთა ვინაობა დადგინდება მშობლების პასპორტში მათი ჩანაწერის საფუძველზე, ხოლო ამ ჩანაწერის უქონლობისას — დაბადების მოწმობის საფუძველზე.

6. დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმების დროს დოკუმენტზე გაკეთდება დაწესებული ფორმის დამამოწმებელი წარწერა ღერბის ბეჭდის დასმით და ამ დოკუმენტის რეგისტრაცია მოხდება სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში (რეესტრში).

ყველა სანოტარო წესით დასამოწმებელი გარიგებების და შესამოწმებელი დოკუმენტების ტექსტი დაწერილი უნდა იყოს მელნით ნათლად და გარკვევით. ის თარიღები და ვადები, რომლებიც დოკუმენტის შინაარსს შეეხება უნდა აღინიშნოს ერთხელ მაინც სიტყვებით, შეუვსებელი სტრიქონები უნდა გადაიხაზოს, მინაწერები აღინიშნება დოკუმენტზე ხელისმომწერი მოქალაქის ხელისმოწერის წინ და განმეორდება დამამოწმებელი წარწერის დასასრულს, ხოლო თუ მინაწერები და გასწორებანი გაკეთებულია ტექსტში, რომელსაც ხელს არ აწერენ მხარეები, აღნიშვნა გაკეთდება დასამოწმებელი წარწერის ბოლოში და ხელს მოაწერს აღმასკომის თავმჯდომარე ან მდივანი. დოკუმენტებში ამოფხეკა არ დაიშვება. დოკუმენტები, რომელიც ჩამოყალიბებულია რამდენიმე ფურ-

ცელზე, უნდა იყოს დანომრილი, ზონარგაყრილი და ბეჭდის დასმით შემოწმებული. დამამოწმებელი წარწერის ფორმები, სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის წესი განისაზღვრება ამ ინსტრუქციის დანართის შესაბამისად.

## II. მინდობილობის დამოწმება

7. მინდობილობის გაცემა შეუძლია მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებულ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მოქალაქეებს, რომლებმაც მიაღწიეს სრულწლოვანების ასაკს, ე. ი. 18 წლის ასაკს. და რომლებიც მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ ამ საბჭოს ტერიტორიაზე.

14 წლის ასაკს მიღწეულ არასრულწლოვანთ შეუძლიათ გასცენ მინდობილობა თავიანთ კანონიერ წარმომადგენელთა (მშობლები, შვილად ამყვანნი, მზრუნველნი) თანხმობით.

მცირეწლოვანთა (რომლებმაც არ მიაღწიეს 14 წლის ასაკს) ინტერესების დაცვის მიზნით მინდობილობას გასცემენ მშობლები, შვილად ამყვანნი ან მეურვენი.

8. მე-7 პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ გასცენ მინდობილობები ისეთი მოქმედების შესრულებისათვის, რომელიც ნებადართულია იმ წესდებით ან დებულებით, რომელთა საფუძველზე აღნიშნული ორგანიზაციები მოქმედებენ.

9. მრწმუნებელის პიროვნებისა და უფლებამოსილების შემოწმებისათვის გამოთხოვილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

ა) სახელმწიფო საწარმოებიდან და დაწესებულებებიდან კანონით დადგენილი წესის შესაბამისად დამტკიცებული წესდება ან დებულება და ბრძანება საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ;

ბ) კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან — წესდების ან დებულების გარდა, ორგანიზაციის წევრთა საერთო კრების ოქმი გამგეობის არჩევის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ორგანიზაციის წესდება ან დებულება არ არის დამტკიცებული, ან ვადა, რომლითაც არჩეულია გამგეობის წევრები, გასულია, ან მინდობილობაზე ხელს აწერს გამგეობის წევრთა რაოდენობის უმცირესობა, ვიდრე ეს გათვალისწინებულია წესდებით, ასეთი მინდობილობები არ შეიძლება დამოწმებულ იქნეს.

10. თუ მინდობილობის გამცემი პირი უცნობია სანოტარო მოქ-მედების შემსრულებლებისათვის, მისი ვინაობა უნდა შემოწმდეს ამ ინსტრუქციის მე-5 პუნქტში აღნიშნული წესის მიხედვით.

11. მინდობილობა შეიძლება გაცემული იქნეს ვადით არაუმეტეს სამი წლისა. უკეთუ მინდობილობაში არ არის აღნიშნული ვადა, იგი ძალაშია ერთი წლის განმავლობაში დღიდან მისი გაცემისა. კოლმეურნეობების, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების გამგეობები მინდობილობას აძლევენ ისეთი ვადით, რომელიც არ შეიძლება აღემატებოდეს წესდებით (დებულებით) გათვალისწინებულ მათი რწმუნების ვადას, მაგრამ არა უმეტეს სამი წლისა.

12. ყოველგვარი გადანდობა მოითხოვს სავალდებულო სანოტარო დამოწმებას, გადანდობა შეიძლება დამოწმებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ პირს წარედგინება ძირითადი მინდობილობა. თავისი უფლებამოსილობის მეორე პირისათვის გადანდობა წარმომადგენელს შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მას მიეცა მინდობილობა გადანდობის უფლებით. თვით გადანდობა არ უნდა შეიცავდეს იმაზე უფრო მეტ უფლებებს, ვიდრე ეს მინიჭებულია ძირითადი მინდობილობის მიხედვით.

გადანდობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ძირითადი მინდობილობის ვადას.

13. გადანდობაში უნდა აღინიშნოს რწმუნებულის სრული სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი, ხოლო საჭირო შემთხვევაში მისი თანამდებობა, აგრეთვე ისიც, რომ იგი მოქმედებს რწმუნებულის სახელით, სადაც აღინიშნება უკანასკნელის გვარი, სახელი და მამის სახელი, ძირითადი მინდობილობის შემოწმების დრო და ადგილი.

სახელმწიფო დაწესებულების და საწარმოს, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით გადანდობის სხვა იურიდიული პირისათვის გადაცემისას, აღინიშნება მათი სრული სახელწოდება და ხელმძღვანელი ორგანოს ადგილსამყოფელი (მაგ. გამგეობა).

14. ძირითად მინდობილობაზე კეთდება აღნიშვნა გადანდობის შემოწმების შესახებ, სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი თანამდებობის პირის ხელის მოწერით.

ძირითადი მინდობილობის ასლი და გადანდობის პირველი ეგზემპლარი ინახება აღმასრულებელ კომიტეტში განსაკუთრებულ განრიგში.

15. მინდობილობა სანოტარო დამოწმებისათვის წარდგენილი უნდა იყოს ორ სავსებით ერთნაირ ეგზემპლარად: მათ შორის ერთი მიეცემა მრწმუნებელს, მეორე რჩება საბჭოს საქმეებში და ინახება სპეციალურ განრიგში.

მინდობილობის დამოწმება წარმოებს ამ ინსტრუქციის 6 პუნქტში აღნიშნული წესით.

მინდობილობის შინაარსი ჩაიწერება სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ სპეციალურ წიგნში.

## III. ხელშეკრულებათა დამოწმება

16. ამ ინსტრუქციის 1-ლ პუნქტში აღნიშნულ ხელშეკრულებათა დამოწმება შეუძლია საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასკომს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთ-ერთი მხარეთაგანი ცხოვრობს ან მისი ქონება იმყოფება მოცემული საბჭოს ტერიტორიაზე.

ხელშეკრულებები შეიძლება დადონ სახელმწიფო საწარმოებმა და დაწესებულებებმა, კოოპერაციულმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა (იურიდიული პირი) და მოქალაქეებმა, რომლებსაც შეუსრულდათ სრულწლოვანების ასაკი, ე. ი. 18 წელი.

არასრულწლოვანს, რომელსაც 14 წელი შეუსრულდა, შეუძლია დადოს ხელშეკრულება თავისი კანონიერი წარმომადგენლის (მშობლები, შვილად ამყვანნი, მზრუნველი) **თანხმობით.**

მცირეწლოვანთა (14 წლამდე) ინტერესებისათვის ხელშეკრულება შეიძლება დადოს მათმა კანონიერმა წარმომადგენელმა (მშობლები, შვილად ამყვანნი, მეურვე).

17. მე-16 პუნქტში აღნიშნულ სახელმწიფო საწარმოებს და დაწესებულებებს, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ნებადართულია იმ წესდებით და დებულებით, რომელთა საფუძველზე აღნიშნული ორგანიზაციები მოქმედებენ.

სახელმწიფო საწარმოების და დაწესებულებების სახელით ხელშეკრულებებს ხელს აწერენ მათი ხელმძღვანელები, ხოლო კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახელით—თავმჯდომარე და გამგეობის წევრები, როგორც ეს გათვალისწინებულია წესდებით, ან მათი წარმომადგენელი ამ ინსტრუქციის 8 მუხლის შესაბამისად შესრულებული მინდობილობის საფუძველზე.

18. საწარმოების და დაწესებულებების, კოოპერაციული და სა-
ზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ვინაობის და უფ-
ლებამოსილების შემოწმებისათვის სანოტარო მოქმედებათა შემს-
რულებელი პირი გამოითხოვს ამ ინსტრუქციის მე-8 და მე-9 პუნქ-
ტებში აღნიშნულ დოკუმენტებს.

19. ნაგებობის გასხვისების (გაყიდვა, გაჩუქება, გაცვლა) ხელ-
შეკრულებების დამოწმება წარმოებს ნაგებობის ადგილსამყოფე-
ლის მიხედვით.

ამ ხელშეკრულებათა დამოწმებისას აუცილებლად უნდა შემო-
წმდეს, ეკუთვნის თუ არა გამყიდველს ნაგებობა, აგრეთვე გამოთ-
ხოვილი უნდა იქნეს ცნობა გადასახადის გადახდის შესახებ.

თუ ნაგებობა ეკუთვნის გლეხურ კომლს, ჩამოთვლილ დოკუმენ-
ტებს გარდა გამოთხოვილი უნდა იქნეს კომლის სრულწლოვანი წევ-
რების წერილობითი თანხმობა ნაგებობის გაყიდვის შესახებ, ხო-
ლო თუ კომლის შემადგენლობაში არიან კომლის არასრულწლოვა-
ნი და სხვა ქმედობაუნარიანობის არმქონე წევრები—მეურვეობის
ორგანოების წერილობითი თანხმობა.

მეურვეობაში მყოფი პირის ქონების გაჩუქება არ შეიძლება.

თუ ნაგებობა შეძენილია ქორწინების განმავლობაში ისეთი პი-
რის მიერ, რომელიც არ ეწევა სოფლის მეურნეობას, გამოთხოვილი
უნდა იქნეს მეორე მეუღლის წერილობითი თანხმობა ნაგებობის
გაყიდვის შესახებ.

კოლმეურნეობაზე მიმაგრებულ მიწაზე არსებული შენობის გას-
ხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას, გარდა ჩამოთვლილი დო-
კუმენტებისა, წარდგენილ უნდა იქნეს კოლმეურნეობის წევრთა
ან რწმუნებულთა კრების დადგენილება შენობის შემძენისათვის იმ
მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ, რო-
მელზედაც შენობა არის მოთავსებული, ასაღები შენობის გასხვისე-
ბის ხელშეკრულების დამოწმებისას გამოთხოვილი უნდა იქნეს ისე-
თივე დოკუმენტები, როგორც ადგილზე დარჩენილი შენობათა გას-
ხვისების ხელშეკრულებების შემოწმების დროს, გარდა კოლმეურ-
ნეობის წევრთა ან რწმუნებულთა კრების დადგენილებისა იმის შე-
სახებ, რომ მიწის ნაკვეთი გადაეცეს შენობის შემძენს სარგებლო-
ბაში.

ნაგებობათა გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებამდე შე-
მოწმებული უნდა იქნეს აგრეთვე, დადებულია თუ არა შენობაზე
აკრძალვა (ყადაღა). ისეთი შენობის განსხვისება, რომელზედაც არ-

სებობს აკრძალვა, შეიძლება მხოლოდ აკრძალვის მოხსნის შემდეგ ან კრედიტორის თანხმობით ვალის შემძენზე გადატანის პირობით..

თუ შენობა იყიდება 500 მანეთზე მეტ თანხაში (6000 მანეთამდე) სახელმწიფო ბაჟის ოდენობის განსაზღვრისათვის გამოთხოვილი უნდა იქნეს ცნობა შენობის სადაზღვევო შეფასების შესახებ.

შენობათა გაჩუქების ან გაცვლის ხელშეკრულების დამოწმებისას დაცული უნდა იქნეს ისეთივე წესი, როგორც გაყიდვისას.

შენობათა გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისას სახელმწიფო ბაჟი გამოთვლილი უნდა იქნეს იმ თანხიდან, რომელსაც უჩვენებს მხარეები, მაგრამ არა ნაკლებ სადაზღვევო შეფასებითი თანხისა.

სახელმწიფო საწარმოს და დაწესებულების, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ მოქალაქეთა კუთვნილი შენობათა შეძენა შეიძლება მხოლოდ ისეთ ფასად, რომელიც არ აღემატება სადაზღვევო შეფასებას.

20. ისეთი სხვადასხვა სახის ქონების გასხვისების ხელშეკრულებების დამოწმებისას, რომლებიც აღებულია განსაკუთრებულ აღრიცხვაზე (ავტომობილი, მოტოციკლი და ა. შ.) აღმასკომის თავმჯდომარე ან მდივანი მფლობელისათვის მის კუთვნილებას ამოწმებს სათანადო დოკუმენტების გამოთხოვით, ავტოინსპექციის, ტექნიკური პასპორტით, გარდა ამისა გამოითხოვს ცნობას დაწესებული გამოსაღების გადახდის შესახებ.

21. ხელშეკრულებაში სრულად უნდა იყოს აღნიშნული ხელშეკრულების მონაწილეთა სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი. თუ ხელშეკრულებაში მონაწილეობს სახელმწიფო დაწესებულება (საწარმო) ან კოოპერაციული (საზოგადოებრივი) ორგანიზაცია, იმ შემთხვევაში აღნიშნული უნდა იყოს ორგანიზაციის სრული სახელწოდება, მისი ადგილსამყოფელის მითითებით.

22. სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირის მიერ ხელშეკრულების კანონიერების შემოწმებისა, აგრეთვე ხელშეკრულების მონაწილეთა და მათი წარმომადგენლების (რწმუნებულები) ვინაობისა და უფლებამოსილების შემოწმების შემდეგ, ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარს ხელს მოაწერენ ხელშეკრულების მონაწილენი.

თუ ხელის მოწერა შესრულებულია წინასწარ, სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირი შეამოწმებს მის ნამდვილობას ხელშეკრულების მონაწილეთა დაკითხვით.

23. სანოტარო წესით დასამოწმებელი ხელშეკრულება წარედგინება სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ პირს ორ, სამ და მეტ

სრულიად ერთნაირ ეგზემპლარად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა ოდენობის მიხედვით. ხელშეკრულების ყველა ეგზემპლარს ხელს აწერენ მხარეები, ხოლო დამამოწმებელ წარწერას ასრულებს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირი.

24. ხელშეკრულების პირველი (ძირითადი) ეგზემპლარი რჩება აღმასკომში და ინახება სპეციალურ განაწესში (საქმეში). მეორე, მესამე და ა. შ. ეგზემპლარი გაიცემა ხელშეკრულებაში აღნიშნულ მხარეებზე ხელწერილის ქვეშ სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში.

25. ხელშეკრულების შინაარსი ჩაიწერება სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ სპეციალურ წიგნში.

26. ხელშეკრულებების დამოწმება წარმოებს ამ ინსტრუქციის 6 მუხლით დაწესებული წესით.

### IV. ანდერძის დამოწმების წესი

27. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ანდერძის დამოწმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე (მოანდერძე) მუდმივად ცხოვრობს მოცემული საბჭოს სამოქმედო ტერიტორიაზე, ანდერძის დამოწმება შეიძლება მხოლოდ მოანდერძის თანდასწრებით.

თუ მოანდერძეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია აღმასკომში გამოცხადება, თავმჯდომარეს ან მდივანს შეუძლია ანდერძი დაამოწმოს მოანდერძის ადგილსამყოფელზე (საავადმყოფო, ბინა).

ანდერძის დამოწმება რწმუნებულთა საშუალებით არ დაიშვება.

ანდერძის დამოწმებამდე აღმასკომის თავმჯდომარემ ან მდივანმა უნდა შეამოწმოს მოანდერძის ვინაობა. თუ მოანდერძე მათთვის უცნობია, მისი ვინაობა შემოწმდება ამ ინსტრუქციის მე-5 მუხლით დადგენილი წესით.

28. მოანდერძეს შეუძლია მთელი თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდ. 418 მუხლში აღნიშნულ პირთა შორის ერთს ან რამდენიმე პირს, აგრეთვე სახელმწიფო ორგანოებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 418მ მუხლის თანახმად კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან გარდაცვლებულის შვილები (მათ შორის შვილად აყვანილები), მეუღლე, შრომისუნარმოკლებული მშობლები, აგრეთვე სხვა შრომისუნარმო-

ბიბლიოთეკა

კლებულნი, რომლებიც გარდაცვალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ არა ნაკლებ ერთი წლისა მის გარდაცვალებამდე.

თუ სამკვიდროს დამტოვებლის შვილთაგან რომელიმე გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე, მისი სამემკვიდრო წილი გადადის მის შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილებზე), ხოლო უკანასკნელთა გარდაცვალების შემთხვევაში — მათ შვილებზე (სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილის შვილებზე).

თუ აღნიშნული მემკვიდრეები არ არიან ან ისინი მემკვიდრეობას არ მიიღებენ, კანონით მემკვიდრეებად ითვლებიან შრომისუნარიანი მშობლები, ხოლო თუ მშობლები აღარ არიან, გარდაცვალებულის დები და ძმები.

მოანდერძეს არ შეუძლია თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუნარმოკლებულ მემკვიდრეებს უფლება მოუსპოს მემკვიდრეობის იმ წილზე, რომელიც მათ ერგებოდათ კანონით მემკვიდრეობის მიღების დროს. ამის შესახებ მოანდერძეს განემარტება ანდერძის დამოწმებამდე რაც აღინიშნება ანდერძის ტექსტში.

თუ 418 მუხლში აღნიშნული პირები არ არიან, მოანდერძეს შეუძლია ქონება უანდერძოს ყველა პირს.

კანონით მემკვიდრეთა წრეში შემავალ პირთა არყოფნის დადგენა წარმოებს არა ანდერძის დამოწმების დროს, არამედ მემკვიდრეობის გახსნის მომენტში. ამიტომ მოანდერძეს უფლება აქვს უანდერძოს თავისი ქონება გარეშე პირს, დამოუკიდებლად იმისა ჰყავს თუ არა მას ანდერძის დამოწმების მომენტში კანონით მემკვიდრეები. აღმასკომის თავმჯდომარემ ან მდივანმა ანდერძის დამოწმების დროს უნდა გააფრთხილოს მოანდერძე იმის შესახებ, რომ თუ მემკვიდრეობის გახსნის მომენტში, ცოცხალი იქნება რომელიმე მისი კანონიერი მემკვიდრე და სურს მიიღოს მემკვიდრეობა, გარეშე პირის სასარგებლოდ შედგენილი ანდერძი ჩაითვლება გაუქმებულად. ამ გაფრთხილების შესახებ აღინიშნება ანდერძის ტექსტში.

29. კომლის (საკოლმეურნეო და ერთპიროვნული კომლი) პირადი საკუთრების ქონება (საცხოვრებელი სახლი, პროდუქტიული პირუტყვი, ფრინველი, წვრილი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი) შეიძლება იყოს საანდერძო განკარგულების საგანი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოანდერძე არის კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წარმომადგენელი, რაც აღინიშნება ანდერძის ტექსტში.

30. ანდერძში აღნიშნული უნდა იქნეს მოანდერძის სახელი, მამის სახელი, გვარი და საცხოვრებელი ადგილი.

ანდერძი შედგენილი უნდა იქნეს ორ ეგზემპლარად, რომელსაც ხელს აწერს მოანდერძე და დაამოწმებს სანოტარო მოქმედებისას შემსრულებელი პირი. ანდერძის პირველი ეგზემპლარი რჩება აღმასკომში და ინახება სპეციალურ საქმეში, ხოლო მეორე მიეცემა მოანდერძეს სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში ხელისმოწერის შემდეგ.

თუ მოანდერძემ წერა-კითხვა არ იცის, მისი პირადი თხოვნით ანდერძს ხელს აწერს სხვა პირი. ანდერძზე ხელისმოწერა არ შეუძლიათ იმ პირებს, რომელთა სასარგებლოდ შედგენილია ანდერძი.

ანდერძის დამოწმება წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით დადგენილი წესით.

31. ანდერძის დამოწმების დროს არ შეიძლება შემოწმებული იქნეს ანდერძში მოხსენებული ქონება ეკუთვნის თუ არა მოანდერძეს, აგრეთვე იმ პირთან ნათესაური კავშირი, რომლის სასარგებლოდ შედგენილია ანდერძი.

32. მოანდერძეს შეუძლია გააუქმოს თავისი ანდერძი, ანდერძის გაუქმება წარმოებს ახალი ანდერძის შედგენით ან სათანადო განცხადების შეტანით იმ აღმასკომში, რომელმაც მისი ანდერძი დაამოწმა. ხელისმოწერა განცხადებაზე ანდერძის გაუქმების შესახებ დამოწმებულ უნდა იქნეს სანოტარო წესით. განცხადება ანდერძის გაუქმების შესახებ დაერთვის გაუქმებული ანდერძის პირველ ეგზემპლარს.

### V. სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებანი

33. გარდაცვალებულის ქონების დაცვის ღონისძიებანი მიიღება დაწესებულების, ორგანიზაციის ცნობით და დაინტერესებულ პირთა განცხადებით, ისეთ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია სახელმწიფოს ან მემკვიდრეთა **ინტერესებისათვის.**

34. სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომი—მემკვიდრეობის გახსნის ადგილის მიხედვით.

მემკვიდრეობის გახსნის ადგილად ითვლება გარდაცვალებულის უკანასკნელი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

35. განცხადების ან ცნობის მიღებიდან არა უგვიანეს ორი დღისა აღმასკომის თავმჯდომარე ან მდივანი, ხოლო მათი არ ყოფნისას, მათი დავალებით, სხვა პირი მიდის მემკვიდრეობის გახსნის ადგილზე და მოწმეთა და დაინტერესებულ მოქალაქეთა თანდასწრებით ახდენს ქონების აღწერას, ადგენს აღწერის აქტს, რომელშიაც და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილებით იქნება აღწერილი და შეფასებული მასში ჩამოთვლილი საგნები.

აღწერილი საგნების შეფასება ხდება სახელმწიფო საცალო ფასების მიხედვით გაცვეთილობის მხედველობაში მიღებით, ხოლო ის საგნები, რომლებზედაც არ არსებობს სახელმწიფო საცალო ფასები, შეფასდება მცოდნე პირთა დასკვნით. ნაგებობანი შეფასდება დაზღვევი ფასის მიხედვით.

36. აღწერილი ქონების შემადგენლობაში შესული ფასეულობანი არა უგვიანეს მეორე დღისა ბარდება შესანახად: სავალუტო ფასეულობანი, საბჭოთა ფულის ნიშნები, ძვირფასი ლითონის ნაკეთობანი, სახელმწიფო სესხის ობლიგაციები—სსრკ სახელმწიფო ბანკის დაწესებულებას. იარაღი (გარდა სანადიროსი) და ფეთქებადი ნივთიერება, რაც კი აღმოჩენილი იქნება გარდაცვალებულის ქონების შემადგენლობაში, აღწერილი იქნება ცალკე და ჩაბარდება მილიციის ორგანოს.

37. აღწერილი ქონება, გარდა ამ ინსტრუქციის 36-ე პუნქტში აღნიშნული საგნებისა, ბარდება პასუხსაგებ შესანახად დამსწრე მემკვიდრეს ან სხვა პირს ხელწერილის ქვეშ აღწერის აქტზე.

38. უკეთუ აღწერილი ქონების შემადგენლობაში აღმოჩნდება ძვირფასი ხელნაწერი, პროექტი, ლიტერატურული შრომა, მხატვრული, ისტორიული ან სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე წერილები, ეს საბუთები შევა ცალკე აღწერილობაში და ბარდება პასუხსაგებ შესანახად მემკვიდრეებს ან სათანადო ორგანიზაციებს.

39. საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი მემკვიდრეობის გახსნისა და მის დასაცავად მიღებულ ზომებზე აუწყებს უახლოეს სანოტარო კანტორას.

40. მოქმედებანი სამემკვიდრეო ქონების დაცვითი ღონისძიების მიღების მიზნით ჩაიწერება სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში ცალკე ნომრით.

### VI. დოკუმენტთა ასლების სისწორის დამოწმება

41. ასლების სისწორის დამოწმება წარმოებს მხოლოდ იმ დოკუმენტებისა, რომლებიც ჩამოთვლილია ამ ინსტრუქციის 1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში. საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომი სხვა დოკუმენტების ასლების სისწორეს არ ამოწმებს. კერძოდ არ შეიძლება დამოწმებული იქნას პასპორტის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დოკუმენტის, პროფკავშირული ორგანიზაციის საწევრო ბილეთის, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკის ორდენით და სიგელით დაჯილდოების დოკუმენტის სადეპუტა-

ტო მოწმობის, სამხედრო ბილეთის ასლები, საპატიმრო ადგილებიდან განთავისუფლების ცნობის, სხვადასხვა ქალაქებში და დაწესებულებში შესასვლელი საშვის, შენობაში, ქარხნებსა და ფაბრიკებში შესასვლელი საშვის, სამხედრო სარდლობის დავალებათა შესრულების საბუთის, სამხედრო პირთა სამსახურებრივი მივლინების მოწმობის, პირადობის მოწმობის, პარტიზანულ რაზმებში მყოფ პირთა შესახებ ცნობების და აგრეთვე ფანქრით დაწერილი დოკუმენტების ასლების სისწორე.

დამოწმება არ შეიძლება ისეთი დოკუმენტის ასლის სისწორისა, რომელშიაც არის ამოფხეკილი ადგილები. დოკუმენტის ასლიდან ასლის დამოწმება არ შეიძლება.

თუ ასლის გადასაღებად წარდგენილ დოკუმენტში აღმოჩნდება შესწორება, რომელიც სათანადო წესით არ არის აღნიშნული, მაშინ ასეთი დოკუმენტის ასლის სისწორის შემოწმება არ შეიძლება.

42. დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმებისას ასლი შედარებულ უნდა იქნეს დედანთან. ასლში სიტყვასიტყვით უნდა იქნეს განმეორებული დედანი დოკუმენტის შინაარსი. თუ ასლში არის რაიმე შესწორებანი, იგი აღინიშნოს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირის ხელის მოწერით.

43. დოკუმენტის ასლის სისწორის დამოწმება და მისი რეგისტრაცია წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-6 მუხლით დაწესებული წესით.

## VII. დოკუმენტებზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება

44. ხელის მოწერის ნამდვილობის დასამოწმებლად მიიღება ისეთი დოკუმენტი, რომელიც თავისი შინაარსით კანონს არ ეწინააღმდეგება და გარიგების ხასიათი არ აქვს.

აკრძალულია მოქალაქეთა ხელის მოწერის ნამდვილობის დამოწმება:

ა) ანგარიშებზე და ხელწერილებზე, რომლებიც ეძლევათ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენლებს გაყიდული საქონლის და პროდუქტებისათვის ფულადი თანხების მიღებაზე და გაწეული მომსახურებისათვის;

ბ) განცხადებებზე, თუ ამ განცხადებაში მოქალაქე ამტკიცებს ისეთ გარემოებას, რომლის დამოწმება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების მიერ (მაგ. დაბადების და გარდაცვალების დრო).

45. დასამოწმებელი ხელმოწერა საბუთზე უნდა მოხდეს იმ პირის თანდასწრებით, რომელიც ასრულებს სანოტარო მოქმედებას, ამასთანავე მოწმდება საბუთზე ხელის მომწერის ვინაობა.

უკეთუ დასამოწმებლად საბუთის წარმომდგენ პირს არ შეუძლია თვითონ მიაწეროს ხელი წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზის გამო, მაშინ მას შეუძლია საბუთზე ხელის მოწერა დაავალოს სხვა პირს. საბუთზე ხელის მოწერა ამ შემთხვევაში ხდება სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირის თანდასწრებით.

ის, ვინც ხელს აწერს სხვა პირის ნაცვლად, ხელმოწერის წინ აღნიშნავს, რომ მან ხელი მოაწერა სხვის ნაცვლად, მისი თხოვნით და ამა და ამ მიზეზით, ეს გარემოება აღნიშნული უნდა იქნას დამოწმების წარწერაშიც. ამასთან მოწმდება როგორც ხელის მომწერის ვინაობა, ისე იმისიც, ვის მაგივრადაც მან ხელი მოაწერა.

46. დოკუმენტზე ხელმოწერის სინამდვილის დამოწმება წარმოებს ამ ინსტრუქციის მე-5 და მე-6 მუხლებით დადგენილი წესით.

## VIII. სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის გადასახდევინებელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობა

47. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებში სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 29 აპრილის № 598 დადგენილების „სახელმწიფო ბაჟის განაკვეთის შესახებ“ (დადგ. კრ. 1942 წ. № 4, მუხ. 47) და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1947 წლის 14 მარტის № 160 და 1947 წლის 7 ივლისის № 504 ინსტრუქციების შესაბამისად სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს შემდეგი ოდენობით:

| დასახელება მოქმედებისა და საბუთისა, რომელთათვისაც გადაეხდევინება ბაჟი | ბაჟის განაკვეთები | |
|---|---|---|
| | მანეთობით | საბუთების თანხის %-ში |
| 1. ადგილზე დატოვებით შენობათა გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის<br>თანხით 500 მანეთამდე<br>თანხით 500 მ. ზევით 6.000 მანეთამდე | 3 მან. | 3 პროც. მაგრამ არა ნაკლები 50 მანეთისა |
| 2. ასაღები შენობების გასხვისების ხელშეკრულების დამოწმებისათვის: თანხით 500 მანეთამდე<br>თანხით 500 მანეთზე ზევით 6000 მანეთამდე | 3 მან. | 1 პროც. მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა |

| დასახელება მოქმედებისა და საბუთისა, რომელთათვისაც გადაეხდევინება ბაჟი | ბაჟის განაკვეთები | |
|---|---|---|
| | მანეთობით | საბუთების თანხის %-ში |
| 3. სხვა ხელშეკრულებების დამოწმებისათვის (გარიგებები):<br>თანხით 500 მანეთამდე<br>თანხით 500 მანეთზე ზევით 6000 მანეთამდე | 3 მან. | 1 პროც. მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა |
| 4. ისეთი ხელშეკრულებების დამოწმებისათვის, რომელიც შეფასებას არ ექვემდებარება | 3 მან. | |
| 5. ქონებრივი ქარავნობის ხელშეკრულების დამოწმებისათვის:<br>თანხით 500 მანეთამდე<br>თანხით 500 მანეთზე ზევით 6000 მანეთამდე | 3 მან. | 3 პროც. მაგრამ არა ნაკლებ 15 მანეთისა |
| 6. ანდერძის დამოწმებისათვის | 10 მან. | |
| 7. მინდობილობის დამოწმებისათვის | 3 მან. | |
| 8. ისეთ დოკუმენტზე ასლის ხელისმოწერის ნამდვილობის დამოწმებისათვის, რომელიც არ შეიცავს გარიგების შინაარსს (თვითეულ დოკუმენტზე) | 1 მან. | |
| 9. ასლების და ამონაწერების დამოწმებისათვის (ფურცლობით) | 1 მან. | |
| 10. დოკუმენტის წარდგენის დროის დამოწმებისათვის | 1 მან. | |
| 11. მოქალაქეთა და დაწესებულებათა განცხადებების სხვა მოქალაქეებისა და დაწესებულებებისათვის გადაცემისათვის | 5 მან. | |
| 12. დოკუმენტების პროექტის შედგენისათვის: | | |
| ა) ხელშეკრულებათა პროექტები | 25 მან. | |
| ბ) ანდერძების პროექტებისათვის | 10 მან. | |
| გ) მინდობილობების და განცხადებების პროექტები | 5 მან. | |

[library stamp]

48. სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებათა მიღებისათვის სახელმწიფო ბაჟი გადახდევინებული უნდა იქნეს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1947 წლის 14 მარტის № 160 ინსტრუქციის 38 პარაგრაფის 1 პუნქტის „რ“ ლ. შესაბამისად ხუთი მანეთი.

თუ სამკვიდრო ქონების დაცვის ღონისძიებანი მიღებულია ორგანიზაციის განცხადებით, პირველად სახელმწიფო ბაჟი არ იქნება გადახდევინებული, რის შესახებ უნდა გაკეთდეს აღნიშვნა, რომ დაცვითი ღონისძიებანი მიღებულია ორგანიზაციის განცხადებით.

49. მოქალაქეთა თხოვნით აღმასრულებელი კომიტეტის შენობის გარეთ (ბინაზე) სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფო ბაჟი გადაიხდევინება ორმაგად.

50. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სახელმწიფო ბაჟს ახდევინებენ მხოლოდ ნაღდი ფულით, ამასთან ფული გადახდევინებული უნდა იქნეს სანოტარო მოქმედების შესრულების და დოკუმენტის გაცემისას.

აღმასკომი ვალდებულია სახელმწიფო ბაჟის მიღებისას გადამხდელს მისცეს № 10 ფორმის ქვითარი და გადახდილი თანხის შესახებ სათანადო წარწერა გააკეთოს გაცემულ დოკუმენტზე და სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში.

სახელმწიფო ბაჟის თანხები ჩაიწერება შემოსავალთა ნუსხაში და დღის ბოლოს საერთო ჯამით შეიტანება აღმასკომის სალაროს წიგნში.

სახელმწიფო ბაჟის თანხები კვირაში არა ნაკლებ ერთიჯერისა შეიტანება სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ბიუჯეტში ჩასარიცხავად.

51. ალიმენტის, მარტოხელა და მრავალშვილიანი დედებისათვის დახმარების გაცემის, მეურვეობის, შვილად აყვანის და არასრულწლოვანთა სოციალურ-უფლებრივი დაცვის საქმეებზე დოკუმენტების ასლების დამოწმებისათვის სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდევინება.

### IX. სანოტარო საქმისწარმოება

52. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ვალდებული არიან აწარმოონ სანოტარო მოქმედებათა ჩანაწერების წიგნი სსრკ ცსს დამტკიცებული ფორმის მიხედვით და განსაკუთრებული განწესი (საქმე).

სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირი ვალდებულია სანოტარო მოქმედებათა ჩანაწერების წიგნის 1-ლ გრაფაში ჩაწეროს რიგითი ნომერი, მე-2 გრაფაში — სანოტარო მოქმედების შესრულების თარიღი, მე-3 გრაფაში იმ პირის სახელწოდება, რომლისთვისაც სრულდება სანოტარო მოქმედება, მე-4 გრაფაში—სანოტარო მოქმედებათა შინაარსი, მე-5 გრაფაში—ვინაობის დამადასტურებელი საბუთი, მე-6 გრაფაში—სახელმწიფო ბაჟის თანხები და ქვითრის ნომერი, მე-7 გრაფაში—დოკუმენტის მიმღები პირის ხელისმოწერა.

**შენიშვნა:** უკეთუ საბუთის შედგენის მონაწილენი განთავისუფლებული არიან, თანახმად მოქმედი წესისა, სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, მე-6 გრაფაში ჩაიწერება „სახბაჟის გადახდისაგან თავისუფალია". ასევე აღინიშნება განთავისუფლების საფუძველი.

53. თვითეული სანოტარო მოქმედება აუცილებლად მელნით უნდა იყოს ჩაწერილი სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში რიგითი ნომრის დაცვით.

სანოტარო მოქმედებათა წიგნში ამოშლა დაუშვებელია, ხარვეზებზე (შეუვსებელ ადგილებზე) გაივლება ხაზი, ხოლო შეტანილი შესწორებანი აღინიშნება სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირის ხელმოწერით.

წიგნში ჩანაწერის რიგითი ნომერი უნდა დაისვას საბუთის დამამოწმებელ წარწერაზედაც.

ყოველი კალენდარული წლის დასაწყისიდან სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერ წიგნში დანომვრა ხდება პირველი ნომრიდან.

54. სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი უნდა იქნას დანომრილი, ზონარგაყრილი და სათანადო საბჭოს აღმასკომის ბეჭდით დამოწმებული.

55. განსაკუთრებულ განყოფილებაში (საქმეში) ჩაიკერება ყველა ნოტარიალურად შემოწმებული ხელშეკრულებისა და მინდობილობის პირველი ეგზემპლარი, ასევე ყველა ცნობა და საბუთი, რაც საჭირო იყო მათი ნოტარიალურად დასამოწმებლად.

ყველა საბუთზე, რაც კი მიეკუთვნება ამა თუ იმ ხელშეკრულებას ან მინდობილობას, დაისმება იგივე ნომერი, რომლითაც ხელშეკრულება ან მინდობილობა ჩაწერილია რეესტრში.

56. გარდა სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნისა, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოს აღმასკომმა უნდა შემოიღოს წიგნი ნაგებობაზე აკრძალვის სარეგისტრაციოდ და აკრძალვის განწესი.

 მუზ. 73

### X. აღმასრულებელი კომიტეტების მიერ შესრულებული სანოტარო მოქმედებათა გასაჩივრების წესი

ბიბლიოთეკა

57. საჩივარს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე მონაწილე პირნი შეიტანენ სახალხო სასამართლოში აღმასკომის სამყოფელი ადგილის მიხედვით, ორი კვირის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მომჩივნისათვის ცნობილი გახდა, რომ სანოტარო მოქმედება შესრულებულია ან უარი ეთქვა ასეთის შესრულებაზე.

58. საჩივარი სანოტარო მოქმედების შესრულებაზე ან შეუსრულებლობაზე შეიძლება შეტანილ იქნას სახალხო სასამართლოში როგორც უშუალოდ, ისე სათანადო აღმასკომის მეშვეობით.

აღმასკომში ვადის დაცვით შესული საჩივარი სამი დღის განმავლობაში უნდა გადაეცეს სახალხო სასამართლოს აღმასკომის თავმჯდომარის ან მდივნის განმარტებით და საჭირო საბუთების დართვით.

გასაჩივრების ვადის გამშვებ პირს შეუძლია თხოვოს სასამართლოს ვადის აღდგენის შესახებ.

59. საჩივარი სანოტარო მოქმედებათა შესრულების გაჭიანურებაზე არსებითად განსახილველად შეიტანება აღმასკომში დაქვემდებარების წესით.

ვადა ასეთ საჩივართა შესატანად განუსაზღვრელია.

60. სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელი პირი ვალდებულია განუმარტოს მოქალაქეებს და ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებსაც მისი მოქმედება არ მიაჩნიათ სწორად, ამ მოქმედებათა გასაჩივრების წესი და ვადა.

### XI. ხელმძღვანელობა საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების საქმიანობისადმი სანოტარო მოქმედებათა შესრულების დარგში

61. ხელმძღვანელობას საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების საქმიანობისადმი სანოტარო მოქმედებათა შესრულების დარგში ახორციელებენ მათი ზემდგომი ორგანოები.

სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ თანამდებობის პირების ინსტრუქტირების გასაწევად მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, შეუძლიათ მოიწვიონ სახელმწიფო ნოტარიატის და სასამართლოს ორგანოების მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ანდერძი

ანდერძის ფორმა

დაბა სურამი, ათას ცხრაას სამოცი წელი, ხუთი მაისი.

მე, მიხეილ სამსონის-ძე კაპანაძე, მცხოვრები დაბა სურამში ოქტომბრის ქუჩა № 5, ამ ანდერძით ვიძლევი შემდეგ განკარგულებას:

1. მთელ ქონებას, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის ჩემს კუთვნილებაში აღმოჩნდება, სადაც არ უნდა იყოს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, ვუანდერძებ ჩემს ქალიშვილს — ოლღა მიხეილის ასულ კაპანაძეს და ძმას—სიმონ სამსონის-ძე კაპანაძეს თანაბარ წილად.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლი მე განმემარტა[1].

3. ეს ანდერძი შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სურამის სადაბო საბჭოს საქმეებში, ხოლო მეორე ეძლევა მოანდერძე მიხეილ სამსონის ძე კაპანაძეს.

მოანდერძის ხელის მოწერა: მიხეილ სამსონის-ძე კაპანაძე.

დამოწმების წარწერა

## ანდერძი

ანდერძის ფორმა

საკოლმეურნეო კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრისა

საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონი, სოფელი სართიჭალა ათას ცხრაას სამოცი წელი. ოცდაათი სექტემბერი.

მე, ანა პეტრეს ასული ხუციშვილი, მცხოვრები საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში, როგორც საკოლმეურნეო კომლის ერთადერთი და უკანასკნელი წევრი, ამ ანდერძით ვიძლევი შემდეგ განკარგულებას:

1. მთელ ქონებას, რომელიც ჩემი გარდაცვალების დღისათვის ჩემს კუთვნილებაში აღმოჩნდება, სადაც არ უნდა იყოს და რისგანაც არ უნდა შედგებოდეს იგი, მათ შორის სახლთმფლობელობა,

---

[1]) საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლის თანახმად მოანდერძეს არ შეუძლია თავის არასრულწლოვან შვილებს და სხვა შრომისუუნარმოკლებულ მემკვიდრეებს უფლება მოუსპოს მემკვიდრეობის იმ წილზე, რომელიც მათ ერგებოდათ კანონით მემკვიდრეობის მიღების დროს.

რომელიც მდებარეობს საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის სოფელ სართიჭალაში, ვუანდერძებ ჩემს შვილებს სიმონ ალექსანდრეს ძე ხუციშვილს და ნინა ალექსანდრეს ასულ ხუციშვილს—თანაბარ წილად.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 421 მუხლი მე განმემარტა.

3. ეს ანდერძი შედგენილი და ხელმოწერილია ჩემს მიერ ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება სართიჭალის სასოფლო საბჭოს საქმეებში, ხოლო მეორეს ვღებულობ მე ანა პეტრეს ასული ხუციშვილი ხელზე.

მოანდერძის ხელის მოწერა: ანა პეტრეს ასული ხუციშვილი.

დამოწმების წარწერა

ფორმა № 1

**განცხადება ანდერძის გაუქმების შესახებ**

სურამის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომს

მცხოვრები დაბა სურამში ოქტომბრის ქ.
სახლი № 5 მიხეილ სამსონის-ძე
კაპანაძის

**განცხადება**

სურამის სადაბო საბჭოს აღმასკომში 1960 წლის 5 მაისს რეესტრის № 183 ჩემი სახელით დამოწმებულ ანდერძს ვაუქმებ ამ განცხადებით.

1960 წლის 15 სექტემბერი
ხელმოწერა: მ. ს. კაპანაძე
დამოწმების წარწერა

ფორმა № 2

**დამოწმების წარწერა ხელშეკრულებაზე**

196 წ. „ “ იანვარი

ეს ხელშეკრულება ნოტარიალურად დამოწმებულია საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი . . . მანეთი. ეროვნული ბიბლიოთეკა
სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი №
თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)
ბეჭედი

ფორმა № 3

**დამოწმების წარწერა ანდერძზე**

196 . წ. იანვარი

ეს ანდერძი ნოტარიალურად დამოწმებულია საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 10 მანეთი.
სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი №
თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)
ბეჭედი

ფორმა № 4

**დამოწმების წარწერა მინდობილობაზე**

1960 . . წ. მაისის დღე.

ეს მინდობილობა ნოტარიალურად დამოწმებულია საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მიერ.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 3 მანეთი.
სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი № .
თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)
ბეჭედი

ფორმა № 5

**დამოწმების წარწერა დოკუმენტის ასლის ნამდვილობის შემოწმების დროს**

196 წ. მაისი.

საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ამოწმებს ამ ასლის ნამდვილობას დედანთან.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 1 მანეთი.

მეს. 73
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი № . .

თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)

ბეჭედი

ფორმა № 6

**დამოწმების წარწერა ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების დროს**

196 წ. მაისი.

საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ამოწმებს ამ დოკუმენტზე ივანე ალექსანდრეს-ძე აბულაძის ხელმოწერის ნამდვილობას.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 3 მანეთი.
სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი № . .

(თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)

ბეჭედი

ფორმა № 7

**დამოწმების წარწერა იმ პირის ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმების დროს, რომელმაც ხელი მოაწერა წერა-კითხვის არმცოდნის მაგივრად**

196 წ. მაისი.

საქართველოს სსრ საგარეჯოს რაიონის მშრომელთა დეპუტატების სართიჭალის სასოფლო საბჭოს აღმასკომი ამოწმებს სამსონ სტეფანეს-ძე კაკაურიძის ხელის მოწერას, რომელმაც ხელი მოაწერა ალექსანდრე პეტრეს-ძე იმედაშვილის თხოვნით მის მაგივრად, წერა-კითხვის უცოდინარობის გამო.

გადახდილია სახელმწიფო ბაჟი 1 მანეთი.
სანოტარო მოქმედებათა ჩასაწერი წიგნი № . .

თავმჯდომარე ან მდივანი (ხელმოწერა)

ბეჭედი

## წ ი გ ნ ი (რეესტრი)

### სანოტარო მოქმედებათა ჩაწერისათვის

| №№ რიგზე | წელი, თვე და რიცხვი | იმ პირებისა და მათი წარმომადგენლების დასახელება, რომელთა მიმართ წარმოებს სანოტარო მოქმედების შესრულება, მათი საცხოვრებელი ადგილი | სანოტარო მოქმედების შინაარსი | დოკუმენტები, წარმოდგენილი იმ პირთა მიერ, რომელთა მიმართ სრულდება სანოტარო მოქმედება | სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება ან აღნიშვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან განთავისუფლების შესახებ | გაფორმებული დოკუმენტის მიღებაზე ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 5 იანვარი 1960 წელი | სერგო იოსების-ძე ჩიხლაძე, მცხოვრები ხაშურის რაიონის დაბა სურამში და შალვა ნესტორის-ძე მუხაძე, მცხოვრები იქვე. | დაბა სურამში მდებარე სახლის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ხელშეკრულება, თანხით 2000 მანეთი. | პასპორტი გაცემული ჩიხლაძეზე ხაშურის მილიციის რაიონული განყოფილების მიერ 5/XII — 1955 წ. № 571465 პასპორტი გაცემული მუხაძეზე იგივე მილიციის რაიონული განყოფილების! მიერ 1/X—1956 წ. № 593652 | ქვითარი № 1 60 | 5/II–1960 წელი ს. ჩიხლაძე |
| 2 | 9 იანვარი 1960 წ. | თენგიზ ზურაბის-ძე ახობაძე, მცხოვრები ხაშურის რაიონის დაბა სურამში | სასამართლოს მინდობილობა ირინა სერგოს-ძე ბოცვაძის სახელზე | პასპორტი, გაცემული ახობაძის სახელზე ხაშურის მილიციის რაიონული განყოფილების მიერ | ქვითარი № 2 3 მანეთი | 9/I 1960 წ. თ. ახობაძე |
| 3 | 12 იანვარი 1960 წელი | ზაქრო ანდრიას-ძე აგლაძე მცხოვრები ხაშურის რაიონის დაბა სურამში | მოწმობის ასლი ზაქრო ანდრიას ძე აგლაძის 1922 წლის 9 მაისს დაბადების შესახებ, გაცემული 1939 წლის 21/X № 647 საქართველოს სსრ გორის მმაჩის მიერ, ერთ გვერდზე | | ქვითარი № 3 1 მანეთი | 12/I 1960 წ. აგლაძე |

ეროვნული ბიბლიოთეკა

8ბს/73
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

| №№ რიგზე | წელი, თვე და რიცხვი | იმ პირებისა და მათი წარმომადგენლების დასახელება, რომელთა მიმართ წარმოებს სანოტარო მოქმედების შესრულება, მათი საცხოვრებელი ადგილი | სანოტარო მოქმედების შინაარსი | დოკუმენტები, წარმოდგენილი იმ პირთა მიერ, რომელთა მიმართ სრულდება სანოტარო მოქმედება | სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება ან აღნიშვნა სახელმწიფო ბაჟის გადახდევინებისაგან განთავისუფლების შესახებ | გაფორმებული დოკუმენტის მიღებაზე ხელის მოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | 15 იანვარი 1960 წელი | თეკლე მირონის ასული გიორგაძე, მცხოვრები ხაშურის რაიონის დაბა სურამში | ხელმოწერა განცხადებაზე მისი ქმრის დავით მირონის-ძე გიორგაძის მიერ ნაგებობის გაყიდვაზე თანხმობის შესახებ, რომელიც მდებარეობს ქ. გორში რუსთაველის ქ. № 16 | პასპორტი, გაცემული ხაშურის მილიციის რაიონული განყოფილების მიერ 27/V—1951 წ. № 531644 | ქვითარი № 4 1 მანეთი | 15/I-1960 წელი გიორგაძე |
| 5 | 18 იანვარი 1960 წელი | ანა მიხეილის ასული ბალავაძე, მცხოვრები ხაშურის რაიონის დაბა სურამში | ანდერძი მისი სახელით თამარა შალვას ასულ ბალავაძის სასარგებლოდ | პასპორტი გაცემული ბალავაძეზე ხაშურის რაიონში მილიციის განყოფილების მიერ 1953 წ. 5 მაისს № 641526 | ქვითარი № 5 20 მანეთი მათ შორის 10 მანეთი ტექნიკური სამუშაოებისათვის | 18/I-1960 წელი ბალავაძე |

## 74 საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მეფუტკრეობის შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი კოლმეურნეობათა მეფუტკრეების შრომის დამატებითი ანაზღაურების წესები, დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 11 აგვისტო № 571

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 11 აგვისტოს № 575
დადგენილებით

### წ ე ს ე ბ ი
### საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მეფუტკრეების შრომის დამატებითი ანაზღაურების შესახებ

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

ა) მეფუტკრეებს თაფლის საერთო მოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, თუ ამავე დროს შესრულებულია ცვილის მიღებისა და ფუტკრის ოჯახების მატების გეგმა, მიეცეთ თაფლი ან მისი ღირებულება ფულად სახელმწიფო შესყიდვის ფასით, კოლმეურნეთა საერთო კრების დადგენილებით, გეგმის გადამეტებით მიღებული თაფლის ღირებულების 30-დან 50-მდე პროცენტი;

ბ) ცვილის მიღების გეგმის გადაჭარბებისათვის მეფუტკრეს მიეცეს შრომის დამატებითი ანაზღაურება იმ შემთხვევაში, თუ შესრულებულია თაფლისა და ფუტკრის ოჯახების ნამატის მიღების გეგმა, გეგმის ზევით მიღებული ცვილის სახელმწიფო შესყიდვის შეფასებითი ღირებულების 30-დან 50 პროცენტამდე;

გ) ფუტკრის ოჯახების მატების გეგმის გადაჭარბებისათვის, თუ შესრულებულია თაფლისა და ცვილის მიღების გეგმა, მეფუტკრეს გეგმის ზევით მიღებული თვითეული ოჯახისათვის მიეცეს 50—100 მანეთი.

**75** **საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის დარგების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და სახელმწიფო აპარატის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ივლისის № 577 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ძირითად ფორმებს წარმოადგენს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების არსებულ საღამოს და დაუსწრებელ ფაკულტეტებსა და დღის განყოფილებებზე, სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან, უწყებებთან, დიდ საწარმოებთან, მშენებლობებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოკლევადიან კურსებზე.

დაწესდეს აღნიშნული მუშაკებისათვის სწავლების ხანგრძლიობა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ კვალიფიკაციის ამაღლების დროს: უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — ერთ წლამდე

ხელმძღვანელ ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება ახალი ტექნიკის სპეციალურ საკითხებზე შეიძლება მოხდეს როგორც გამონაკლისი, წარმოებისაგან მოწყვეტით სწავლების 3 თვემდე ვადით.

2. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის წინადადება და მომზადდეს 1960 წელს: უმაღლეს და საშუალო სასწავლებლებში — 405 კაცი წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, მათ შორის ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 105 და ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 25 კაცი; საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 275 კაცი, მათ შორის თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში — 75, თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში — 100, თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმში — 50 და ქუთაისის სამთო ტექნიკუმში — 50 კაცი, რაც განაწილდეს სპეციალობებისა და ორგანიზაციების მიხედვით, დანართის თანახმად.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მოაწყოს 1960 წელს, როგორც გამონაკლისი, ვ. ი. ლენინის სახე-

ლობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან — [illegible] კურსები წარმოებისაგან მოწყვეტით „ავტომატიკისა და ტელემექანიკის“ სპეციალობაში 25 კაცის კონტინგენტით.

4. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს უზრუნველყოს ამ დადგენილების მე-2 მუხლში აღნიშნული უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სასწავლო ლიტერატურით და სხვა სასწავლო-მეთოდური მასალებით იმ რაოდენობით, რაც კურსებზე მოსწავლეებს დასჭირდებათ.

5. დაწესდეს, რომ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ჩარიცხვა სასწავლებლებში და მოკლევადიან კურსებზე კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოებს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიმართვებით სასწავლებლებთან და კურსებთან დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე, იმ სახსრების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია კადრების მოსამზადებლად და მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად ყოველი წლისათვის.

6. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) უზრუნველყონ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება იმ ანგარიშით, რომ ამ მუშაკებს საშუალება მიეცეს როგორც თავიანთი თეორიული ცოდნის ამაღლებისა, ისე იმისა, რომ გაეცნონ მეცნიერების, ტექნიკის, ეკონომიკის უახლეს მიღწევებს და წარმოების მოწინავე გამოცდილებას უშუალოდ საწარმოებსა და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში;

ბ) შეუფარდონ 1960—1961 წლების განმავლობაში ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების არსებული ფორმები კვალიფიკაციის ამაღლების ამ დადგენილებით დაწესებულ ახალ ფორმებს, გააუქმონ დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული ინსტიტუტები, გარდა მასწავლებელთა, მედიცინის მუშაკთა დახელოვნების და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტიტუტებისა;

გ) უზრუნველყონ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სას-

წავლებლებში და კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოკლევადიან კურსებზე, რომელთაც მოეპოვებათ საჭირო სასწავლო-საწარმოო ბაზა და სპეციალისტთა მაღალკვალიფიციური კადრები, ამასთან არ დაუშვან იმ მუშაკთა კონტინგენტის დაქსაქსვა ბევრ სასწავლებლებში, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ.

საჭიროდ ჩაითვალოს, რომ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოკლევადიან კურსებზე მასწავლებლებად მოწვეულ იქნან სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

7. შეუნარჩუნდეთ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც კვალიოფიკაციას იმაღლებენ წარმოებისაგან მოწყვეტით ამ დადგენილების 1 მუხლით გათვალისწინებული წესით, ხელფასი თანამდებობრივი განაკვეთის ოდენობით ძირითად სამუშაო ადგილზე.

8. ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც წარმატებით იმაღლებენ კვალიფიკაციას იმ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სადაც სწავლების ვადა არ არის ათ თვეზე ნაკლები, მიეცეთ ჩათვლების, გამოცდების ან გამოსაშვები შრომების დაცვის დროს დამატებითი შვებულება 10 კალენდარული დღის ხანგრძლიობით და შეუნარჩუნდეთ ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე.

ის დრო, რაც საჭიროა სასწავლებლის სამყოფელ ადგილამდე მგზავრობისა და უკან დაბრუნებისათვის, მიეცემათ დამატებითი შვებულების ზევით, ხელფასის შენარჩუნებით ძირითად სამუშაო ადგილზე.

9. დაწესდეს, რომ მგზავრობის ღირებულებას (წელიწადში ერთხელ) ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ დაუსწრებლად, სასწავლო-საგამოცდო სესიებზე სასწავლებლის სამყოფელ ადგილამდე და უკან დაბრუნებით, ხოლო მუშაკებს, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ წარმოებისაგან მოწყვეტით — სწავლების ადგილამდე და უკან დაბრუნებით, აუნაზღაურებენ ის საწარმოები და დაწესებულებები, რომლებშიაც ისინი მუშაობენ.

იმ პირებს, რომლებიც ჩამოდიან კვალიფიკაციის ასამაღლებლად წარმოებისაგან მოწყვეტით ან გამოცდებისა და ჩათვლების ჩასაბარებლად, საერთო საცხოვრებელს უფასოდ დაუთმობენ სასწავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებლები და შესაბამისი დაწესებულებები, რომლებიც სწავლებას აწყობენ.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ გამოყოფილ იქნას საცხოვრებლები იმ პირთათვის, რომლებიც მოდიან წარმოებისაგან მოწყვეტით კვალიფიკაციის ასამაღლებლად ან გამოცდების და ჩათვლების ჩასაბარებლად უმაღლესი სასწავლებლების ან ადგილობრივი სპეციალური სასწავლებლების ადგილსამყოფელის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 12 აგვისტო № 578.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 12 აგვისტოს № 578
დადგენილების დანართი

# გ ე გ მ ა

**ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა მომზადებისა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ერთ წლამდე სწავლების ვადით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ხაზით 1960 წლისათვის**

| სასწავლებლებისა და სპეციალობის დასახელება | სულ | მათ შორის: სახალხო მეურნეობის საბჭო | მათ შორის: კავშირგაბმულობის სამინისტრო |
|---|---|---|---|
| სულ უმაღლეს სასწავლებლებში | 130 | 130 | — |
| აქედან: | | | |
| ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი — სულ | 105 | 105 | — |
| მათ შორის: | | | |
| მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია | 30 | 30 | — |
| არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგია | 25 | 25 | — |
| ავტომატიკა და ტელემექანიკა | 25 | 25 | — |
| ელექტრომანქანები და აპარატები | 25 | 25 | — |
| ი. ბ. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი — სულ | 25 | 25 | — |
| მათ შორის: | | | |
| მრეწველობის ეკონომიკა | 25 | 25 | — |
| საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — სულ | 275 | 200 | 75 |
| აქედან: | | | |
| თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი — სულ | 75 | — | 75 |
| მათ შორის: | | | |
| საფოსტო კავშირგაბმულობა | 25 | — | 25 |
| რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა | 25 | — | 25 |
| საქალაქო სატელეფონო კავშირი | 25 | — | 25 |
| თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი — სულ | 100 | 100 | — |
| მათ შორის: | | | — |
| ლითონების დამუშავება ჭრით | 25 | 25 | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| სასწავლებლებისა და სპეციალობის დასახელება | სულ | მათ შორის: სახალხო მეურნეობის საბჭო | მათ შორის: კავშირგაბმულობის სამინისტრო |
|---|---|---|---|
| ავტომატიკა და ტელემექანიკა | 25 | 25 | — |
| შემდუღებლობის წარმოება | 25 | 25 | — |
| სამრეწველო საწარმოებისა და დანადგარების ელექტრომოწყობილობა | 25 | 25 | — |
| **თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმი — სულ** | 50 | 50 | — |
| მათ შორის: | | | |
| სართავი წარმოება | 25 | 25 | — |
| ფეხსაცმლის წარმოება | 25 | 25 | — |
| **ქუთაისის სამთო ტექნიკუმი — სულ** | 50 | 50 | — |
| მათ შორის: | | | |
| ქვანახშირის საბადოების მიწისქვეშა დამუშავება | 25 | 25 | — |
| სამთო ელექტრომექანიკა | 25 | 25 | — |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

**76** **სახვითი და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა რეალიზაციის მოწესრიგების ზომების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს საბჭოთა სახვითმა ხელოვნებამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, უკანასკნელ წლებში შექმნილია ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ახალი ნაწარმოებები, რომლებსაც დიდი იდეურ-აღმზრდელობითი და კულტურული მნიშვნელობა აქვთ.

ამ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპონირებული იყო რესპუბლიკურ, საკავშირო და უცხოეთის გამოფენებზე და ფართო აღიარება დაიმსახურა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 22 ივნისის № 649 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ და საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირმა საჭირო წესრიგი დაამყარონ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შესყიდვის, აგრეთვე მათი შექმნის შესახებ შეკვეთების მიცემის ორგანიზაციის საქმეში, რათა უზრუნველყოფილ იქნას საქართველოს სსრ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, სახელმწიფო სურათების გალერიის, გამოფენებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ფონდების შევსება მაღალი იდეურმხატვრული ხარისხის ნაწარმოებებით.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ სასტიკი კონტროლი გაუწიოს იმას, რომ რაციონალურად იქნას გამოყენებული სახსრები, რომლებიც ყოველწლიურად გამოიყოფა სახვითი და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და შეძენის შეკვეთების დასაფინანსებლად.

2. დაწესდეს, რომ:

ა) შეკვეთები სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაზე, აგრეთვე შეკვეთები რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის გამოფენების, საზოგადოებრივი შენობების, ნაგებობებისა და სხვათა მხატვრული გაფორმების შესახებ უნდა განახორციელონ სამინისტროებმა, უწყებებმა, სახელმწიფო და კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა საქართველოს მხატვართა კავშირის მეშვეობით;

ბ) სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შეძენას სამინისტროები, უწყებები, სახალხო მეურნეობის საბჭო, საწარმოები, დაწესებუ-

ლებები და ორგანიზაციები სადგომების მხატვრული გაფორმებისათვის განახორციელებენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან და საქართველოს საბჭოთა მხატვართა კავშირთან შეთანხმებით;

გ) საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო უშუალოდ განახორციელებს შეკვეთებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნაზე, აწარმოებს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შესყიდვას, მუზეუმების, სურათების გალერიების, გამოფენების ფონდების შესავსებად, აგრეთვე ეწევა ძეგლების დაპროექტებას.

3. რჩევა მიეცეს საქართველოს მხატვართა კავშირს გამოყოს სახვითი ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისა და შეძენის შეკვეთებისათვის საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის საწარმოთა ყოველწლიური დაგროვების თანხების 20 პროცენტამდე იმ სახსრების ანგარიშში, რომლებიც წინათ კაპიტალურ მშენებლობას ხმარდებოდა.

4. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს და საქართველოს მხატვართა კავშირს უსასყიდლოდ გადასცენ თავიანთი მარაგიდან სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები მუზეუმებს, სურათების გალერიებს, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლებს.

5. დაევალოთ აჭარის ასსრ და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, თბილისის და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა მხატვრებისა და მოქანდაკეებისათვის ხელოვნების მუშაკთა სხვა კატეგორიების თანაბრად, აგრეთვე გაითვალისწინონ კაპიტალურ სამუშაოთა გეგმებით სახელოსნოების მშენებლობა მხატვრებისა და მოქანდაკეებისათვის.

6. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, აგრეთვე თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს არ შეუსრულებიათ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 11 დეკემბრის № 708 დადგენილების ის ნაწილი, რომელიც შეეხება შემოქმედებითი ინდივიდუალური სახელოსნოების მშენებლობას მხატვრებისათვის სამინისტროების, უწყებებისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების შენდებადი სახლების მანსარდებში.

დაევალოს საბჭოთა კონტროლის კომისიას შეისწავლოს აღნიშნული დადგენილების შეუსრულებლობის მიზეზები და შედეგები ერთი თვის ვადაში მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 29 აგვისტო № 618

**77 საქართველოს სსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკთა დაჯილდოებისა და მათთვის ერთდროული დახმარების გასაწევად სახსრების ხარჯვის მოწესრიგების შესახებ**

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკთა დაჯილდოებისა და მათთვის ერთდროული დახმარების გასაწევად სახსრების ხარჯვის საქმის მოწესრიგების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 29 ივნისის № 23 დავალების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების ცენტრალური აპარატის, სახალხო მეურნეობის საბჭოს და მისი დარგობრივი სამმართველოების აპარატის მუშაკები დაჯილდოვდებიან მუშაობაში მიღწეული წარმატებებისა და ცალკეულ დავალებათა შესრულებისათვის (წარმოების გეგმების, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების, სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმების გადაჭარბებით შესრულება და სამინისტროების, უწყებების ხელმძღვანელების და სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის სხვა დავალებანი) მხოლოდ იმ ასიგნობათა ანგარიშში, რომლებიც ბიუჯეტიდან გამოიყოფა ცალკეულ წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

2. აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სამინისტროების, სახალხო მეურნეობის საბჭოს, მათი დარგობრივი სამმართველოების და სახელმწიფო მმართველობის სხვა ორგანოების ცენტრალური აპარატის მუშაკებისათვის ერთდროული დახმარების გაწევა შეიძლება

მოხდეს მხოლოდ იმ ასიგნობათა ანგარიშში, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტით გამოიყოფა მმართველობის ორგანოების მუშაკთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 აგვისტო № 620

## 78 საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დეკემბრის პლენუმის მიერ და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის № 182 დადგენილებით დასახულ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რესპუბლიკურმა, საბჭოთა და პროფკავშირულმა ორგანოებმა, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებმა ერთგვარი მუშაობა გასწიეს საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის გაუმჯობესებისათვის.

გასულ წლებთან შედარებით რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებში გაიზარდა სტაციონარული და საველე სასადილოების, მაღაზიების, პურის საცხობების, საწყობების რაოდენობა, გადიდდა იქ მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი, რომლებიც სასადილოებში იკვებებიან.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ბევრ საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივი კვება მოწყობილია არადამაკმაყოფილებლად, 15 საბჭოთა მეურნეობაში დღემდე არა აქვთ სასადილოები, ხოლო 33 საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივი კვების საწარმოები მოთავსებულია უვარგის სადგომებში.

ბევრ საბჭოთა მეურნეობაში საზოგადოებრივი კვების საწარმოები საკმაოდ არ არიან მომარაგებული ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, სამზარეულო და სასადილო ჭურჭლით, ხოლო საბჭოთა მეურნეობების დირექტორები ამ საქმეს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

სასადილოებისათვის განკუთვნილი სადგომების ნაწილი დანიშნულებისამებრ არ არის გამოყენებული. ბევრ სასადილოში კერძების ხარისხი დაბალია, მათი ღირებულება კი მაღალი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 17 ივნისის № 622 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიონულ აღმასკომებს, ცეკავშირის გამგეობას, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) განიხილონ საბჭოთა მეურნეობებში საზოგადოებრივი კვებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ვაჭრობის მდგომარეობა, მიიღონ კონკრეტული ზომები ამ საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად იმ ანგარიშით, რომ უკვე მიმდინარე წელს უზრუნველყონ საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის მნიშვნელოვანი განვითარება და გაუმჯობესება საბჭოთა მეურნეობებში;

ბ) უზრუნველყონ საბჭოთა მეურნეობებში სასადილოების, მაღაზიებისა და პურსაცხობების, საწყობების, საყინულეებისა და ბოსტნეულსაცავების მშენებლობის 1960 წლისათვის დამტკიცებული გეგმების უცილობლივ შესრულება, აგრეთვე მიიღონ ზომები და გაათავისუფლონ სასადილოებისათვის განკუთვნილი და არადანიშნულებით გამოყენებული სადგომები;

გ) განიხილონ საბჭოთა მეურნეობების სასადილოების ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობით, სამზარეულო, სასადილო ჭურჭლითა და ინვენტარით უზრუნველყოფის საკითხი, აგრეთვე გამოყონ დანაკლისი მოწყობილობა, ჭურჭელი და ინვენტარი გამოყოფილი ფონდების ხარჯზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაითვალისწინოს 1961 წლიდან დაწყებული, აღნიშნული მოწყობილობის, ჭურჭლისა და ინვენტარის გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით საბჭოთა მეურნეობების სასადილოებისათვის;

დ) მოაწყონ საბჭოთა მეურნეობებისათვის მზარეულების და სასადილოთა გამგეების მომზადება და გადამზადება მოკლევადიან კურსებზე სამომხმარებლო კოოპერაციის სკოლა-სასადილოებში, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ინდივიდუალური პრაქტიკული სწავლების გზით.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს:

ა) ორი კვირის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავიანთი წინადადებანი ცალკე თვითეული საბჭოთა მეურნეობის მიხედვით იმ ხორცის, რძის, კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ოდენობის შესახებ, რაც საჭიროა იმ საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი კვებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდად, რომლებსაც აქვთ ამ პროდუქტების სახელმწიფოსათვის ჩაბარების გეგმა.

იმ პროდუქტების რაოდენობა, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განსაზღვრა საზოგადოებრივი კვებისათვის და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდად, შეიტანება საბჭოთა მეურნეობების საწარმოო-საფინანსო გეგმებში, გაიცემა საბჭოთა მეურნეობების მიერ და ჩაითვლება სახელმწიფოსათვის ამ პროდუქტების ჩაბარების გეგმაში კვარტალური გეგმების შესრულების პროპორციულად;

ბ) დატოვონ საბჭოთა მეურნეობების დირექტორების განკარგულებაში საზოგადოებრივი კვების გასაუმჯობესებლად და მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდად, მოთხოვნილების მიხედვით, 80 პროცენტამდე ხორცი და რძე იმ პროდუქტების რაოდენობიდან, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობები აბარებენ სახელმწიფოს კვარტალური გეგმის ზევით.

დაწესდეს, რომ ხორცს, რძეს, კარტოფილს, ბოსტნეულსა და ბაღჩეულ კულტურებს გასცემენ საბჭოთა მეურნეობები საზოგადოებრივი კვებისათვის გეგმური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო საცალო ფასებისა, სავაჭრო ფასნამატების გამოქვითვით, და მიჰყიდიან საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს გეგმური თვითღირებულებით, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო საცალო ფასებისა.

დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სასურსათო საქონლის განაწილების გეგმებით გამოუყონ ცეკავშირს

მუზ. 78

სასურსათო საქონლის საჭირო ფონდები საზოგადოებრივ კვებისა-ქსელის ნორმალური მომარაგების მოსაწყობად და საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებისათვის მისაყიდად, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა ამ საქონლით მათი მომარაგების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

3, ნება დაერთოს საბჭოთა მეურნეობებს გაითვალისწინონ საწარმოო საფინანსო გეგმებით საზოგადოებრივი კვებისათვის საჭირო რაოდენობის მარცვლეული, ბოსტნეულის და პარკოსანი კულტურები შესაბამისი წლის მოსავლიდან.

4. ეცნობოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 17 ივნისის № 622 დადგენილებით:

ა) დაავალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პურეული პროდუქტების სახელმწიფო კომიტეტს მიიღოს საბჭოთა მეურნეობებისაგან საზოგადოებრივი კვებისათვის განკუთვნილი მარცვლეული, ბოსტნეული და პარკოსანი კულტურები ფქვილსა და ბურღულზე გადაცვლით სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებულ პირობებში;

ბ) გაავრცელა საზოგადოებრივი კვების საწარმოებზე, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 15 ივლისის № 9269 განკარგულების პირველი აბზაცი.

ნება დართო საბჭოთა მეურნეობებს უფასოდ დაუთმონ საზოგადოებრივი კვების საწარმოებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, სათბობი საჭმლის მოსამზადებლად და ტრანსპორტი იმ ანგარიშით, რომ ეს ხარჯები მიეკუთვნოს საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის თვითღირებულებას.

5. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, რაიაღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სახალხო მეურნეობის საბჭოს, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს მოაწყონ საბჭოთა მეურნეობებში ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება, რათა სავსებით იქნას დაკმაყოფილებული საზოგადოებრივი კვების მოთხოვნილება ამ პროდუქტებზე და მიეყიდოს ეს პროდუქტები საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეებს, ამასთან გამოყონ ამ მიზნით საჭირო ფართობები აღნიშნული კულტურებისათვის.

ეროვნული

გამოიყენონ ბოსტნებში ბოსტნეულისა და კარტოფილის მოყვანაზე მუშების, მოსამსახურეების და მათი ოჯახების შრომისუნარიანი წევრების შრომა იმ ანგარიშით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მაღალი მოსავლის მიღება და პროდუქციის თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირება.

6. დაევალოთ ცეკავშირს და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს უზრუნველყონ სამზარეულო და საბუფეტე პროდუქციაზე ფასნამატის მაქსიმალური შემცირება, რისთვისაც დანერგონ რაციონალიზატორული წინადადებანი და უკეთ მოაწყონ საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობა საბჭოთა მეურნეობებში, ამასთან დაუწესონ მათ დაგროვების ოდენობა ბრუნვის არა უმეტეს ერთი პროცენტისა.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, სახალხო მეურნეობის საბჭოს და ცეკავშირის გამგეობას მოაწყონ სახელმწიფო საწარმოებსა და სამომხმარებლო კოოპერაციის საწარმოებში რძის, ხორცის და პირუტყვის გადამუშავება საზოგადოებრივი კვებისათვის სამიმწოდებლო საფუძვლებზე საბჭოთა მეურნეობებისათვის მათი შეკვეთებით.

დაწესდეს, რომ აღნიშნული პროდუქტების გადამმუშავებელი საწარმოები საბჭოთა მეურნეობებს გადაახდევინებენ გადამუშავების საფასურს გადამუშავების გეგმური ხარჯების, აგრეთვე დაგროვების მიხედვით არა უმეტეს 3 პროცენტისა.

სამიმწოდებლო საფუძვლებზე გამომუშავებულ პროდუქციას საბჭოთა მეურნეობები გასცემენ საზოგადოებრივი კვებისათვის რძისა და ხორცის გეგმური თვითღირებულებით, მზა პროდუქციის გამოსავლის და გადაზიდვა-გადამუშავების ხარჯების გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს სახელმწიფო საცალო ფასებისა სავაჭრო ფასჩამოკლების გამოქვითვით.

8. საქართველოს პროფსაბჭომ გააძლიეროს საზოგადოებრივი კონტროლი საბჭოთა მეურნეობებში ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაობისადმი, ყოველნაირად გაშალოს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრება

საბჭოთა მეურნეობების სასადილოების მუშაობის უკეთ ორგანიზა-
ციისა და მუშა-მოსამსახურეთა კარგი მომსახურებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 აგვისტო № 624

**79 საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების დებულების დამტკიცების შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დებულება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 აპრილის № 280 დადგენილებით დამტკიცებული დებულება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილსი, 1960 წლის 5 სექტემბერი № 633

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 5 სექტემბრის № 633
დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა
### საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შესახებ

### I. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება წარმოადგენს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომელიც შეიქმნება საქართველოს

სსრ კონსტიტუციის 139 მუხლის შესაბამისად და მოქმედებს ამ დებულების და იმ წესდების საფუძველზე, რომელსაც მიიღებს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ყრილობა და დაამტკიცებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო.

2. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება წარმოადგენს რესპუბლიკის უსინათლო მოქალაქეთა გაერთიანებას, რომლის მიზანია მოიზიდოს ისინი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომითი საქმიანობისათვის, გააუმჯობესოს უსინათლოთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურება, ხელი შეუწყოს მათი იდეურ-პოლიტიკური, ზოგადსაგანმანათლებლო დონის ამაღლებას და ჩააბას ისინი კომუნისტური საზოგადოების აქტიურ მშენებელთა რიგებში.

3. ამ ამოცანების განსახორციელებლად საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება:

ა) მოიზიდავს უსინათლოებს საზოგადოების წევრებად;

ბ) მიიღებს ზომებს, რათა ჩააბას უსინათლონი საზოგადოებრივ სასარგებლო შრომითს საქმიანობაში, რისთვისაც აღმოუჩენს მათ დახმარებას საწარმოო კვალიფიკაციისა და სპეციალური მომზადების მიღებაში, მოაწყობს სამუშაოზე საზოგადოების სასწავლო-წარმოებითს საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებში, დაწესებულებებში, ორგანიზაციებში და სოფლის მეურნეობაში;

გ) მოაწყობს და ჩაატარებს უსინათლოთა შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას და ხელს შეუწყობს მათ ზოგადი საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებაში;

დ) მიიღებს ზომებს, რათა შეიმუშაოს და დანერგოს თანამედროვე კონსტრუქციები და ტექნიკური ხელსაწყოები, სპეციალური მოწყობილობანი, რომლებიც აფართოებენ უსინათლოთა საწარმოო და კულტურულ შესაძლებლობებს, აგრეთვე აუმჯობესებენ მათს საყოფაცხოვრებო პირობებს და ორიენტირებას სივრცეში.

ე) ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს იმ მხრივ, რომ გაშალონ უსინათლოებისადმი სამედიცინო დახმარება და აწარმოონ ფართო სანიტარული და პროფილაქტიკური მუშაობა უსინათლობის თავიდან აცილებისა და დარჩენილი მხედველობის შენარჩუნებისათვის;

ვ) მოაწყობს საზოგადოების განყოფილებებსა და პირველადს ორგანიზაციებს, შექმნის სასწავლო-წარმოებითს საწარმოებს, საკონ-

სტრუქტორო ბიუროებს, სამეურნეო ანგარიშის კანტორებს და ბაზებს განყოფილებებისა და სასწავლო-წარმოებითი საწარმოების მომარაგებისათვის;

მოაწყობს კადრების მოსამზადებელ და გადასამზადებელ სკოლებს, ჩაატარებს სისტემის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებსა და სემინარებს, გახსნის კულტურის სახლებს, კლუბებს, წითელ კუთხეებს, კულტბაზებს, სპორტულ მოედნებს;

ააშენებს საცხოვრებელ სახლებს, საერთო საცხოვრებლებს, ინტერნატებს;

მოაწყობს სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს, პიონერ-ბანაკებს, საბავშვო ბაღებსა და ბაგებს;

შექმნის დამხმარე მეურნეობებს, სასადილოებსა და უსინათლოთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სხვა საწარმოებს.

4. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს საერთო ხელმძღვანელობითა და კონტროლით, ხოლო საზოგადოების ადგილობრივი ორგანოები ამ საქმიანობას ახორციელებენ უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის ხელმძღვანელობით და სოციალური უზრუნველყოფის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების მეთვალყურეობითა და კონტროლით.

5. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება და მისი ადგილობრივი ორგანოები სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით და დამოუკიდებლად არიან პასუხისმგებელი ნაკისრი ვალდებულებებისათვის თავიანთი ქონებით, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

6. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები გამოდიან წარმომადგენლებად საზოგადოების და მის წევრთა საქმეებზე ცენტრალურ და ადგილობრივ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

## II. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების საქმეთა მმართველობა

7. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მმართველობისა და კონტროლის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები იქმნებიან და მოქმედებენ იმ საფუძვლებზე, რომლებსაც საზოგადოების წესდება განსაზღვრავს.

8. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების მთელი მუშაობის დაფინანსება წარმოებს საზოგადოების საკუთარი სახსრებიდან.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების სახსრებს ხარჯავს საზოგადოების ამოცანების შესაბამისად, საზოგადოების საფინანსო ხარჯთაღრიცხვებისა და მუშაობის გეგმების მიხედვით.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვას ამტკიცებს საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პლენუმი, ხოლო საზოგადოების ცენტრალური გამგეობის აპარატის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვას—საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი და რეგისტრირებული იქნება შესაბამის საფინანსო ორგანოში.

საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული განყოფილებების და საზოგადოების სასწავლო-წარმოებითი საწარმოების ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე საზოგადოების განყოფილებებისა და სასწავლო-წარმოებითი საწარმოების საწარმოო საქმიანობის ძირითად გეგმურ მაჩვენებლებს დაამტკიცებს საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პრეზიდიუმი.

9. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობა საზოგადოების საქმიანობას წარმართავს ამ დებულების და საზოგადოების წესდების შესასრულებლად, იგი ასრულებს ფუნქციებს, რომლებსაც მას წესდება აკისრებს და მას უფლება აქვს:

ა) შექმნას და გააუქმოს, დადგენილი წესით, საზოგადოების ორგანიზაციები, საწარმოები და დაწესებულებები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დებულების მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით;

ბ) დაამტკიცოს საზოგადოების ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა სტრუქტურა და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატები საზოგადოებისათვის დაწესებული ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, თანამდებობრივი განაკვეთების სქემების დაცვით.

საზოგადოების ორგანიზაციათა, საწარმოთა და დაწესებულებათა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვები და საშტატო ცხრილები შემდგომ რეგისტრირებულ უნდა იქნას შესაბამის საფინანსო ორგანოებში;

გ) დაიტოვოს თავის განკარგულებაში საზოგადოების ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის შრომის გეგმის და ხელფასის ფონდის განაწილების დროს 2 პროცენტამდე;

დ) დაამტკიცოს დადგენილი წესით საკუთარი მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ხარჯთაღრიცხვები, აგრეთვე იმ მშენებლობის საპროექტო დავალებანი და საანგარიშო-საფინანსო გაანგარიშებანი, რომელიც ხორციელდება შესაბამისი ორგანოების მიერ დამტკიცებული ტიპობრივი პროექტებითა და განმეორებითი გამოყენების პროექტებით;

ე) შეიტანოს საჭიროების დროს დაზუსტებანი მშენებლობათა საპროექტო დავალებებსა და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებში, გარდა მთავრობის მიერ დამტკიცებული ძირითადი მაჩვენებლებისა, ისე, რომ არ გადიდდეს მშენებლობის საერთო ღირებულება;

ვ) დააწესოს ასამუშავებელი მშენებლობებისა და ისეთი მშენებლობებისათვის, რომელთაც შეუძლიათ გეგმის გადაჭარბებით შესრულება, კაპიტალურ სამუშაოთა დამატებითი მოცემულობანი დაწესებული გეგმის გადამეტებით, სხვა მშენებლობათა დაფინანსების გეგმის შემცირების ხარჯზე, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ, მაგრამ ისე, რომ უცვლელი დარჩეს სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემის დაწესებული გეგმა, რაც უნდა ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას;

ზ) დანიშნოს კომისიები საწარმოების მისაღებად ექსპლუატაციაში, აგრეთვე დახუროს ზელიმიტური მშენებლობის ობიექტების ხარჯთაღრიცხვები და სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებანი;

თ) გადაანაწილოს ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის საკუთარი საბრუნავი სახსრების გარდამეტი კვარტალური ბალანსებით, რისთვისაც გაგზავნოს ბანკების მეშვეობით ბრძანებები, რომელთა შესრულება სავალდებულოა;

ი) გადაანაწილოს საზოგადოების განყოფილებებსა და საწარმოებს შორის ზედმეტი და გამოუყენებელი მასალები, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა მატერიალური ფასეულობანი, ნება დართოს ამ ფასეულობათა რეალიზაციისა, აგრეთვე გადასცეს ფონდები ან აძლიოს თავისი არსებული რესურსებიდან მასალები და წვრილი მაკომპლექტებელი მოწყობილობა საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებს დაწესებული ნორმების მიხედვით, რათა დამზადდეს ხელშეკრულებების თანახმად საჭირო პროდუქცია;

კ) განიხილოს ტექნიკური პირობები და ნახაზები ყველა სახის პროდუქციისა, რომელსაც საზოგადოების განყოფილებები და სა-

წარმოები უშვებენ, და დასამტკიცებლად წარუდგინოს ისინი შესაბამის ორგანოებს.

### III. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წევრები

10. საზოგადოების წევრთა მიღებისა და გარიცხვის წესი, მათი უფლება-მოვალეობანი, საწევრო შენატანების გადახდევინების წესი და ოდენობა განისაზღვრება საქართველოს უსინათლოთა საზოგადოების წესდებით.

### IV. შეღავათები და უპირატესობანი, რომლებიც საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას ენიჭება

11. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოება, მისი ადგილობრივი განყოფილებები, აგრეთვე სასწავლო-წარმოებითი საწარმოები და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები თავისუფლდებიან მიწის ნაკვეთების საიჯარო ქირისაგან.

12. საქართველოს უსინათლოთა საზოგადოებას, მის განყოფილებებსა და სასწავლო-წარმოებითს საწარმოებს უპირატესობრივი უფლება აქვთ მიიღონ სამრეწველო საწარმოთა ნარჩენები, რაც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოიპოვება, გარდა იმ ნარჩენებისა. რომლებიც რესურსებში ჩაითვლება მომარაგების სახელმწიფო გეგმით.

## 80 მსუბუქი ტაქსმოტორებით სარგებლობის ტარიფების შეცვლის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 14 დეკემბრის № 960 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას 1961 წლის 1 იანვრიდან ყველა მარკის მსუბუქი ავტომობილების—ტაქსის სარგებლობის ერთიანი ტარიფები შემდეგი ოდენობით:

| | |
|---|---|
| გარბენის ერთ კილომეტრში | — 1 მანეთი |
| კლიენტთან გაცდენის ერთ საათში | —10 მანეთი |

დამატებითი ქირა თვითეული მგზავრობისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანძილის დამოუკიდებლად — 1 მანეთი
რაც შესაბამისად იქნას გადაანგარიშებული 1961 წლის 1 იანვრიდან 10 : 1 თანაფარდობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 5 სექტემბერი № 638

**81** **„დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების შეფარდების ინსტრუქციის დამატების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„დრამატული და მუსიკალური ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 6 თებერვლის № 81 დადგენილების შეფარდების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის 28-ე მუხლს დაემატოს მეორე აბზაცი შემდეგი შინაარსისა:

„თეატრალიზებული, საესტრადო, საცირკო წარმოდგენებისა და კონცერტებისათვის, რომლებიც მასობრივ არენაზე ტარდება (სტადიონები, სპორტის სასახლეები და ა. შ.), საავტორო ჰონორარი დაერიცხება საერთო შემოსავლის 0,5 პროცენტის ოდენობით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 7 სექტემბერი № 644

## 82 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიუროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. გადაეცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის გამგებლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი ორგანოების ბიურო და მმაჩის რესპუბლიკური არქივი.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეიტანონ სათანადო ცვლილებანი 1960 წლის შრომის გეგმასა და ბიუჯეტში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 სექტემბერი № 664

## 83 საქართველოს სსრ მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სსრ მთავრობის წინა წლებში გამოსული ზოგიერთი დადგენილება მოძველდა ან ფაქტიურად ძალადაკარგულად ითვლება მათ შემცვლელ დადგენილებათა მიღების გამო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი, დართული ნუსხის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 სექტემბერი № 669.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 26 სექტემბრის № 669
დადგენილების დანართი

# ნუსხა

## საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა, რომლებიც ცნობილია ძალადაკარგულად

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 31 აგვისტოს № 1109 დადგენილება—„საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 8 დეკემბრის № 1165 დადგენილება — „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების გამოცემისას ზოგიერთი სარედაქციო სამუშაოს ანაზღაურების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 თებერვლის № 159 დადგენილება—„საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 7 თებერვლის № 160 დადგენილება — „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რადიოინფორმაციის კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 14 თებერვლის № 196 დადგენილება—„საქართველოს სსრ სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის დამუშავების პროდუქციის გასაღების მთავარ სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 დეკემბრის № 1837 დადგენილება — „რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების დაცვისა და სარგებლობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 9 იანვრის № 35 დადგენილება—„საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 9 იანვრის № 36 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან

არსებული გადასახლება-დასახლების სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 2 თებერვლის № 121 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სასოფლო და საკოლმეურნეო მშენებლობის მთავარი სამმართველოს და მისი ადგილობრივი ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ“.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 10 აპრილის № 424 დადგენილება — „საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 12 ივნისის № 732 დადგენილება—„საქართველოს სსრ სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 6 მაისის № 572 დადგენილება—„თბილისის და ქუთაისის ოლქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების არქიტექტურის საქმეთა განყოფილებების დებულების დამტკიცების შესახებ“.

13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 25 ივნისის № 938 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სანადირო მეურნეობის საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 9 დეკემბრის № 1641 დადგენილება—„საქართველოს სსრ ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

15. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 29 იანვრის № 87 დადგენილება—„საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 18 მარტის № 224 დადგენილება—„საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 8 აპრილის № 288 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 მარტის № 181 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან არსებული თევზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საქმთავთევზმრეწვის დებულების დამტკიცების შესახებ“.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 ივლისის № 415 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული გადასახლება-დასახლებისა და მუშათა ორგანიზებული შეგროვების მთავარი სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ“.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 28 იანვრის № 23 დადგენილება—„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 651 დადგენილება—„საქართველოს სსრ საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

22. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 20 ნოემბრის № 652 დადგენილება—„საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. შირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 26 სექტემბერი № 669

## 84 სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 23 ივლისის № 772 დადგენილების შესაბამისად და რესპუბლიკაში სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს 1962—1964 წლებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის მრეწველობისათვის კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 9 მილიონი მანეთის რაოდენობით, აქედან 5 მილიონი მანეთი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის, რაც განაწილდეს წლების მიხედვით, № 1 დანართის თანახმად.

2. დამტკიცდეს დავალება სამშენებლო და საგზაო მანქანების წარმოებაზე საწარმოთა სპეციალიზაციისა და ამ საწარმოებში აღნიშნული მოწყობილობის გამოშვების სიმძლავრეთა შექმნისათვის № 2 დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ ქარხნების სპეციალიზაცია შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს:

ა) უზრუნველყოს არსებული საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური დარგების გაფართოება სამშენებლო და საგზაო მანქანების დამამზადებელ ქარხნებში;

ბ) უზრუნველყოს 1960—1962 წლებში რუსთავის მექანიკური ქარხნის მონაწილეობა მობილური კოშკური ამწეების ისეთი საცდელი ნიმუშების შემუშავებასა, დამზადებასა და გამოცდაში, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ავტომატიზაციისა და მანქანათმშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის და სსრ კავშირის სახმშენის მიერ დამტკიცებული ტიპაჟით.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი იმის შესახებ, რომ შეიქმნას 1961 წლიდან სახალხო მეურნეობის საბჭოში სამშენებლო მანქანების კაპიტალური რემონტის ბაზა, ამასთან იქონიონ მხედველობაში რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება ამ მანქანების კაპიტალური რემონტის მხრივ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ შეიქმნას რესპუბლიკის დიდ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც სამშენებლო სამუშაოთა მოცულობა დიდია, საპათქაშო ხსნარების, პასტების, საგოზის და სამღებრო შედგენილობათა ცენტრალიზებული ავტომატიზებული მომზადების საწარმოები.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ კომიტეტს უზრუნველყონ საცდელ-საკონსტრუქტორო და სამეცნიერო-საკვლევი მუშაობის გაფართოება სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის დარგში, აგრეთვე საჭირო პირობების შექმნა სამშენებლო და საგზაო მანქანების ახალი პროგრესული კონსტრუქციების შემუშავებისა და ათვისებისათვის.

6. ვინაიდან კაპიტალდაბანდებებს, რაც რესპუბლიკას გამოეყო 1961—1965 წლებისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960

წლის 23 ივლისის № 772 დადგენილებით, შეუძლია უზრუნველყოს საწარმოო სიმძლავრეთა საჭირო განვითარება მხოლოდ რუსთავის მექანიკურ ქარხანაში, ეთხოვოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გამოუყოს საქართველოს სს რესპუბლიკას 1961—1965 წლებისათვის კაპიტალდაბანდებანი 20 მილიონი მანეთის მოცულობით ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხნის გადასაკეთებლად, ურომლისოდაც ვერ იქნება უზრუნველყოფილი იმ დავალების შესრულება, რომლის მიხედვითაც უნდა გადიდდეს ამ ქარხნის სიმძლავრე ისე, რომ მან გამოუშვას მოწყობილობა ჰიდრომელიორაციისათვის 56 მილიონი მანეთის მოცულობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1960 წლის 28 სექტემბერი № 678

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 28 სექტემბრის № 678
დადგენილების დანართი № 1

## მოცულობა

### კაპიტალური დაბანდებებისა, რაც დაუწესდა 1962—1964 წლებისათვის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის ქარხნებისათვის

(მილიონ მანეთი)

| | 1962–1964 წლები სულ | ა ქ ე დ ა ნ 1962 წელი | 1963 წელი | 1964 წელი |
|---|---|---|---|---|
| კაპიტალური დაბანდებანი — სულ . . | 9 | 3 | 3 | 3 |
| მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები . . . . . . | 5 | 2 | 2 | 1 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 28 სექტემბრის № 678
დადგენილების დანართი № 2

## დავალება

### საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოების სპეციალიზაციისა სამშენებლო და საგზაო მანქანების შექმნაზე და ამ მოწყობილობის გამოშვების საწარმოო სიმძლავრეთა შექმნისა

| ქარხნის დასახელება | ქარხნის ძირითადი პროფილი | ძირითადი პროდუქცია, რომელსაც ქარხანა უშვებს მისი სპეციალიზაციის მიხედვით | ზომის ერთეული | პროდუქციის წარმოების სიმძლავრე 1965 წელს |
|---|---|---|---|---|
| რუსთავის მექანიკური ქარხანა | კოშკური ამწეები | კოშკური ამწეები 5 ტონამდე ტვირთამწეობისა | ცალი | 200 |
| ფოთის მექანიკური ქარხანა | მოწყობილობა ჰიდრომექანიზაციისათვის | მოწყობილობა ჰიდრომექანიზაციისათვის | მილ. მან. | 56 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

(1961 წლის 1 იანვრიდან—3 მან.)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 39